შალვა მარკოზაშვილი

მწერალი მასწავლებლები

თბილისი 2004

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
ვაჟა-ფშაველა	4
დანიელ ჭონქაძე	11
ვასილ გარნოვი	14
გაჩანა	19
თეოდო რაზიკაშვილი	25
ეგნატე ნინოშვილი	28
ნიკო ღომოური	33
ივანე როსტომაშვილი	40
სოფრომ მგალობლიშვილი	45
ეკატერინე გაგაშვილი	51
ანასტასია ერისთავ-ხოშტარია	56
ილია რუხაძე	59
ლალიონი	65
ია ეკალაძე	69
ცახელი	72
ანა ხახუტაშვილი	74
გალაკტიონი	77
დავით თურდოსპირელი	83
ილია სიხარულიძე	89

გულწრფელ მადლობას მოვახსენებ სპონსორს, გატონ
რევაზ შალვას ძე ჩარკვიანს გაწეული დახმარებისათვის

რედაქტორი თეიმურაზ მეტრეველი
ტექრედაქტორი ლაღი რამოევა
კორექტორები: თამარ ცხვედიანი,
თალიკო ქობულია

წინასიტყვაობა

ქართველ მწერლებს თვალსაჩინო წვლილი აქვთ შეტანილი პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში. კალმის ოსტატთა დიდი ნაწილი პრაქტიკულად მოღვაწეობდა სხვადასხვა სახელწოდებისა და დანიშნულების სკოლებში, ქვეყანას უზრდიდა საიმედო თაობას და ამით მის მომავალს მყარ საძირკველს უდებდა.

წარსულიდანვე საქართველოში განათლება და აღზრდა განიხილებოდა არა როგორც თითოეული პიროვნების კერძო საქმე, არამედ, როგორც სახელმწიფოებრივი, საერთო-სახალხო საქმე. სკოლისა და საზოგადოების ორგანული კავშირი ახალი ადამიანის აღზრდაში ფრიად მნიშვნელოვანი პირობაა.

თაობათა აღზრდაში ნეტარმოსაგონარი სახელი დაიმკვიდრეს გამოჩენილმა პედაგოგებმა: სოლომონ დოდაშვილმა, იაკობ გოგებაშვილმა, ვასილ ბარნოვმა, ლუარსაბ ბოცვაძემ და სხვებმა, რომლებიც მთელი მონდომებითა და სიყვარულით ემსახურებოდნენ მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ცნობილი რუსი პედაგოგი კონსტანტინე უშინსკი შთაგვაგონებდა, რომ „აღზრდაში ყველაფერი აღმზრდელის პიროვნებაზეა დამყარებული... ვერავითარი წესდება და პროგრამა, ვერავითარი ხელოვნური ორგანიზმი სწავლებისა, რაც უნდა მოხერხებულად იყოს მოსაზრებული, ვერ შეცვლის აღმზრდელს აღზრდის საქმეში“.

კ. უშინსკის ეს გონიერული მოსაზრება უთუოდ ქართველი პედაგოგებისათვის ყურადსაღებია.

სწავლის დიდოსტატები თითებზე ჩამოსათვლელები არ არიან, ისინი ნაყოფიერად ემსახურებიან ჩვენს სამშობლოს და ამით დამწყებ მასწავლებლებს მაგალითს აძლევენ. სადღეისო და სახვალიო ამოცანებზე ფიქრი, მუშაობის უკეთ წარმართვისათვის მათი დაუოკებელი სურვილია.

ამ პატარა წიგნით ჩვენი მკითხველები მოკლედ გაეცნობიან იმ ღირსეული მწერლების ღვაწლს, რომელთაც წლების განმავლობაში მასწავლებლად უმსახურიათ და ნათელი კვალი დაუტოვებიათ ჩვენს ცხოვრებაში.

შალვა მარკოზაშვილი

ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველა სიყმაწვილიდანვე დაინტერესებული იყო მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილური საქმით და უთუოდ შემთხვევითი არ ყოფილა, რომ 1879 წელს ჩაირიცხა გორის საოსტატო სემინარიაში, რომელიც სოფლისათვის სახალხო მასწავლებლებს ამზადებდა. იმ დროისათვის ვაჟა უკვე ლექსებსაც წერდა და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ჰქონდა საყურადღებო კორესპოდენციები ფშავ-ხევსურთა ყოფა-ცხოვრებაზე. ახალბედა პოეტის წერილები ძვირფას ეთნოგრაფიულ მასალას წარმოადგენს და ბუნებრივია, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

როგორც პოეტის ბიოგრაფები წერენ და თანამედროვეები იგონებენ, ვაჟა ყოველი გაკვეთილისათვის გულმოდგინედ ემზადებოდა, გაკვეთილების შემდეგ კი, თავისუფალ დროს აქტიურად მონაწილეობდა ახალგაზრდების მიერ მოწყობილ სპორტულ ღონისძიებებში. მას უყვარდა კრივი და ქართულ ჭიდაობაშიც მარტო თანატოლებთან კი არა, ხშირად უფროსებთან შერკინებაშიც იმარჯვებდა.

1882 წლის ივლისიდან ვაჟას საოსტატო სემინარიის დამთავრების საბუთი მისცეს და მასწავლებლად ტოლაანთ სოფელში (თიანეთის რაიონი) გაამწესეს. ახალბედა მასწავლებელი დროულად გამოცხადდა სამსახურში.

ტოლაანთსოფლის მეზობლად უფრო მოზრდილი სოფელი ამტნისხევია. მდინარე ამტნისხევის ნაპირზე იდგა ომა ქისტაურის ფიცრული სახლი, რომელშიც სკოლა უნდა გახსნილიყო. მალე მოვიდა გადაწყვეტილება, რომ ხალხში შეგროვილი ფულით ამტნისხევში უნდა აშენებულიყო სკოლისათვის შენობა, რასაც სიხარულით მოელოდნენ იქაური მცხოვრებლები, განსაკუთრებით სასკოლო ასაკის ბავშვები, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მოლოდინი არ გამართლდა, სკოლის ასაგები მასალა მიიტანეს ტოლაანთსოფელში. სადაც მთავრობის ადგილობრივი მოსახლეებიც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ.

ახალი შენობის აგებამდე სკოლა მოთავსებული იყო ერთ პატარა ფიცრულ შენობაში, რომელსაც ეზოც პატარა ჰქონდა.

ვაჟა-ფშაველა სკოლაში რომ გამოცხადდა, მაშინვე შეატყობინეს ეს ამბავი და ჯავრი მოუვიდა უვიც მოხელეებზე, რომლებიც არ იცავდნენ ხალხის ინტერესებს, ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ამტნისხევში ბუნებრივი პირობები გაცილებით უკეთესი იყო ტოლაანთსოფლის გარემოზე.

სკოლაში მისვლის პირველი დღეებიდანვე ვაჟა გაეცნო თავისი აღსაზრდელი ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობებს და რამდენადაც კი შეეძლო, ქალაქიდან ჩამოტანილი სასწავლო ნივთებითა და სახელმძღვანელოებით მოამარაგა ისინი.

პოეტი მალე სოფლის მცხოვრებლებსაც გაეცნო და მხარში ამოუდგა დაბეჩავებულ გლეხებს, მიწის მუშებსა და მეცხვარეებს. მიუხედავად იმისა, რომ თავადაც არ ულხინდა, ყოველთვის ნახულობდა დროსა და საშუალებას იმისათვის, რომ დახმარებოდა მათ ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში.

თავისუფალ დროს ვაჟა ამტნისხევშიც მიდიოდა, ესაუბრებოდა იქაურ გლეხებს სწავლა-აღზრდის საკითხებზე, ზოგჯერ კი ქვეყნად შექმნილ ვითარებაზეც.

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ვაჟა ამტნისხევში ავიდა, შეხვდა სოფლის თავკაცებს: თორღვამ, ომამ, ჭრელამ, უშიშამ და ვეფხია ქისტაურებმა ეზოში მოიყარეს თავი და პოეტი-მასწავლებლის პატივსაცემად, თორღვამ ლექსით მიმართა:

„დიდი ხარ ვაჟა-ფშაველა,
მხარბეჭიანი კოხტაო,
ხელმწიფეს უნდა უმღერდე,
რო თამარ მეფეს შოთაო“.

ვაჟამაც არ დააყოვნა საპასუხო და თორღვას გაელექსა:

„დიდთან დიდია ვაჟაი,
პატარაისთან ცოტაო,
მოსისხლეს არვის ვუმღერებ,
მეცავ ვსცნობ თავის სწორთაო“.

სხვათაშორის, იქ გამართულ პურმარილზედაც ამტნისხეველებმა გულისტკივილით აღნიშნეს, რომ სკოლა მათ სოფელში უნდა ყოფილიყო და მისი აშენებისათვის გამოყოფილ მასალას კი ერთეული მოხელეების წადილით ტოლაანთსოფელში ეზიდებოდნენო. მათ ნათქვამზე ვაჟას სახე მოეღრუბლა, წამოდგა ფეხზე, გაიარ-გამოიარა, მერე ერთ ადგილზე რამდენჯერმე მაგრად დაჰკრა ფეხი და თავისებური რიხიანი ხმით განაცხადა: სკოლა იქ კი არა, აქ უნდა აშენდესო.

— ღმერთმა გისმინოს, ჩვენო ქომაგო! ერთხმად უპასუხეს მოქეიფეებმა.

სოფლის მშრომელებთან ვაჟას დაახლოვება ადგილობრივ მოხელეებს არ მოსწონდათ, ვარაუდობდნენ, რომ იგი მათ წინააღმდეგ დარაზმავდა ხალხს. პოეტს განსაკუთრებით გადაემტერა მღვდელი აღნიაშვილი, რომელსაც აღნიევის გვარით უფრო იცნობდნენ სოფელში. მასწავლებლისა და მღვდლის დამოკიდებულება იმდენად დაიძაბა, რომ ერთხელ, სერიოზული კამათის დროს, ვაჟამ მას მთავრობის ლაქია უწოდა და დაუმატა: გადაგვარებული კაცი ხარ, ქართული გვარის ტარებაც არ გინდაო.

მალე მღვდელს მხარში ამოუდგა რამდენიმე რუსიფიკატორი მოხელე და ვაჟა მთავრობასთან დააბეზღეს: „ეს მასწავლებელი აქ დასაყენებელი არ არის, ნიღილისტი და სოციალისტია, მოწაფეებს ხელისუფლების საწინააღმდეგო აზრებს უნერგავსო“.

ასეთ პირობებში ვაჟას სოფელი მიატოვებინეს, აიძულეს წასულიყო იქიდან, სადაც მან გულმოდგინედ დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. აღსანიშნავია ისიც, რომ პოეტმა იმ ხანებში დაწერა ლექსი „მთიელის გოდება“, რომელშიც ვკითხულობთ:

„ვერ შემაშინებ ბილწო თათარო,
თვალთა ბრიალით, კბილთა ღრჭენითა,
ვერ შემაძულებ ჩემს მოძმე ქართველთ,
თუნდ გარდმიწყვიტო დაწვა ცეცხლითა“.

1886 წელს ვაჟა-ფშაველა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მასწავლებლად და-

ნიშნა მანგლისთან ახლოს, სოფელ დიდ თონეთში. პოეტი იქ-აც ჩვეული გულისყურით მოეკიდა მოზარდი თაობის აღზრ-დის საქმეს და პატარებმაც მაშინვე შეიყვარეს მათზე მზრუ-ველი, გულმართალი ადამიანი. მალე სოფლის გლეხებმაც შეიცნეს უსამართლობის წინააღმდეგ შეუპოვრად მებრძოლი მასწავლებელი. ვაჟა დაბეჯითებით მოითხოვდა ახალგაზრდე-ბის მეტ შემართებასა და გაბედულებას, რომ ებრძოლათ იმ მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც წინ ეღობებოდნენ მო-ზარდების სწავლას და ხალხის გათვითცნობიერებას.

ვაჟას ნამოწაფარმა ლევან ზაქარიაშვილმა ასე გაიხსენა წარსული: „ლუკა რაზიკაშვილი მასწავლებელი იყო დიდ თო-ნეთში. ჩემმა მშობლებმა მიმაბარეს მასთან სკოლაში. იმ ხა-ნებში სკოლას ბევრი გაურბოდა, რადგან მასწავლებლები სას-ტიკად ეპყრობოდნენ მოზარდებს, ასეთი არ იყო ვაჟა. მოწა-ფეები მას კი არ გაურბოდნენ, პირიქით, მის კლასში იმდენი ბავშვი იყრიდა თავს, რომ ტევა არ იყო. ამის მიზეზი ვაჟას კეთილი, მოსიყვარულე გული იყო. მან კარგად იცოდა ბავშ-ვის ბუნება. დიდი შესვენების დროს რაიმე სათამაშოს გამო-იგონებდა და თვითონაც ეს უზარმაზარი კაცი ჩვენთან ერთად ხტოდა და თამაშობდა. არა მარტო დიდ თონეთელებს, არა-მედ სხვა სოფლელებსაც მოჰყავდათ მასთან სასწავლებლად ბავშვები.

ერთხელ პატარა თონეთის დალაქს გლახა ქებაძეს ჩას-ჭიდა ხელი, შემოიყვანა კლასში და უთხრა: რად უშლი შენს შვილს სწავლას? კაცო, ახლა ისეთი დროება მოდის, რომ ჩვენ, ქართველებს, სწავლის მეტი არაფერი გვიშველისო. შემდეგ მოსწავლეებს მოგვმართა: აი, ბალღებო, ვისაც ასეთი მამა ჰყავს, მითხარით და მე მათ თვითონ მოველაპარაკებიო“.

ვაჟას ადგილობრივი მოხელეები უკიჟინებდნენ, თავი და-ენებებინა გლეხებთან საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებ-ზე საუბრებისათვის, რადგან ეს მისი საქმე არ იყო, მაგრამ პო-ეტი არ უჯერებდა მათ და თავისუფლად გადიოდა ხალხში.

სოფლის მოხელეებმა მასწავლებელს წერა-კითხვის გა-მავრცელებელი საზოგადოების კომიტეტში უჩივლეს: მასწავ-ლებელი ვაჟა-ფშაველა ცუდად იქცევა, მუშტიკრივით გვიმას-პინძლდება და ხანჯლითაც გვემუქრებაო. ამ საკითხის შესას-წავლად საზოგადოებამ გაგზავნა საქმის მწარმოებელი, ცნო-

ბილი ჟურნალისტი იაკობ მანსვეტაშვილი. ბატონმა იაკობმა ვაჟასთან შეხვედრა ასე გაიხსენა: „... თონეთში სამი რუსი ოფიცერი მისულიყო და დუქანში ქეიფი გაემართათ, მიეწვიათ ვაჟაც. სმის დროს ერთ ოფიცერს რაღაც არასაკადრისი სიტყვა ეთქვა ქართველების შესახებ. ეს ვაჟას შეურაცხყოფად მიეღო და სილა გაერტყა იმ ოფიცერისათვის. ატეხილიყო ჩხუბი, აურზაური, ამით გათავებულიყო საქმე“.

მასწავლებლის სიმართლე მანსვეტაშვილთან სხვებმაც დაადასტურეს. ვაჟამ კი შემმოწმებელს ასე მიმართა: თუ საზოგადოებას რაიმე უსიამოვნება მოელის ჩემის გულისთვის, მე თითონ დავანებებ თავს აქაურ სკოლასაო.

მეორე დღეს მანსვეტაშვილი დაესწრო ვაჟას გაკვეთილებზე. მასწავლებელი პატარებს უხსნიდა, თუ რა არის ერთეული და როცა პატარა ბიჭი წამოაყენა და ჰკითხა, რა გყავთ შინ ერთად-ერთიო, იმანაც ჩამოთვალა: დედა, მამა, ძმა, მურია ძაღლი, ძროხა... უცებ მეორე ბავშვმა ხელი ასწია, მაგრამ სანამ მასწავლებელი მას ეტყოდა რამეს, პატარამ გაამტყუნა თანაკლასელი:

— რად ტყუი, ბიჭო? ერთი კი არა, ორი ძროხა გყავთო!

— ის მეორე ხომ ბერწიაო, — დაუყოვნებლივ უპასუხა პირველმა. როგორც იაკობი აღნიშნავს: „ეს პასუხი მეტად საგულისხმო იყო, როგორც გამომსახველი გლეხის ბავშვის შეხედულებისა. იმას ისე წარმოედგინა, ვითომ ძროხას ეწოდება ძროხობა მხოლოდ მაშინ, თუ ხბო ჰყავს და რძეს იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არც ძროხაა, არც ხარი, არამედ საშუალო რაღაც არსება“.

ი. მანსვეტაშვილი ვაჟას გაკვეთილით კმაყოფილი დარჩა და გლეხებთან მისი ურთიერთობაც მოიწონა.

სამწუხაროდ, მთავრობის მოხელეები გასაქანს არ აძლევდნენ ვაჟას ნორმალური მუშაობისათვის და აიძულეს 1888 წლის სექტემბერში მიეტოვებინა სკოლა და გასცლოდა დიდ თონეთს. მასწავლებლისა და მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საკითხებზე გულისტკივილი ვაჟას სიკვდილამდე გაჰყვა.

მართალია, თონეთიდან წასვლის შემდეგ ვაჟა-ფშაველას სკოლაში აღარ უმუშავია, მაგრამ როგორც კი მასწავლებელს

შეხვდებოდა, უყვარდა მასთან საუბარი მოზარდების აღზრდა-განათლების შესახებ. ერთ დღესაც, როცა ვაჟა ახმეტაში შეხვდა მეგობარ მასწავლებელს ნიკო კურდღელაშვილს, მისალმების შემდეგ ჰკითხა, საით გაგიწევია ნიკოლოზ? იმანაც უპასუხა: პანკისისკენ მივდივარ, იქ ვმუშაობ მასწავლებლადაო.

— კარგია მასწავლებლობა, — უთხრა ვაჟამ, — სკოლის გარდა სოფელსაც არგებს კაცი რასმესაო და მერე გულისტკივილით დაუმატა: მეც ვიყავი მასწავლებელი, მაგრამ არ მომასვენესო.

როგორც არტნელი ივანე აბალიშვილი იგონებს: ვაჟა ხშირად მიდიოდა სოფელ ლიშოში, მაშინ იქ ოთხკლასიანი სკოლა იყო კეჟერაანთ ვანოს სახლში, მასწავლებლად მუშაობდა გუდამაყრელი ვანო წიკლაური.

კარგად არ მახსოვს, 1904 თუ 1905 წელი იყო, ვაჟა სკოლაში მოვიდა და მასწავლებელს უთხრა: ბავშვებს ნუ გამიწირავ, უცოდინრებს, ეცადე კარგად ასწავლო, აქ ჩამორჩენილი კუთხეა, მეტი მუშაობა გვმართებს, რომ კარგ გზაზე დადგნენ, არ იყვნენ დაჩაგრულები ამ ასაკში, როგორც მე ვიყავიო.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ვაჟას აქტიური მონაწილეობა მიუღია ჩარგალში წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლის გახსნაში. ერთხანს იქ გაუგზავნიათ რუსი მასწავლებელი, რომელსაც ქართული სრულიად არ სცოდნია, ხალხში ვაჟას მამის, მღვდელ პავლე რაზიკაშვილის მეთაურობით ბოიკოტი გამოუცხადებია მასწავლებლისთვის, სკოლაში შვილები აღარ გაგზავნეს და სასწავლებელიც მალე დაკეტეს.

ვაჟას უმცროსი ძმა სანდრო რაზიკაშვილი აღნიშნავდა, რომ მისი ძმები: ვაჟა, ბაჩანა და თედო ჩარგლელ ახალგაზრდებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, მათ სემინარიაშიც კი მიაღებინეს ორი ფშაველი, რომელთაგან ერთი იყო გრიგოლ აფშინაშვილი, მეორე კი მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილის მამა, კარატიელად წოდებული.

ვაჟა თავისი შინაარსიანი ცხოვრების მანძილზე მოითხოვდა სკოლების გახსნას, სადაც მოზარდები მშობლიურ ენაზე ისწავლიდნენ. მას სწამდა, რომ მცოდნე ადამიანი უფრო მეტ სამსახურს გაუწევდა საყვარელ სამშობლოს.

„სოფლის სურათებში“ პოეტს შესანიშნავად აქვს წარმოდგენილი სახე სოფლის მასწავლებლისა, რომელიც თავისი შეგირდებით მშიერტიტველია. სკოლაში არა აქვს სახელმძღვანელოები, დაფის მაგიერ წერენ სიფრიფანა ქვებზე, „ლილის ფერი“ აქვთ პატარებს სიცივისაგან, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი მხნედ არიან: „უსწავლელის ყოფნა რა ყოფნაა, უსწავლელის სიცოცხლე რა სიცოცხლეა!“ — აცხადებს გულმოსული მასწავლებელი და როცა მის ნათქვამს ვკითხულობთ, უთუოდ თვალწინ წარმოგვიდგება ვაჟა-ფშაველა სოფლის მასწავლებლად მოღვაწეობის პერიოდში.

პოეტი ყოველთვის დიდად აფასებდა ჩვენი ქვეყნის ღირსეულ პედაგოგებს, რომლებიც წერდნენ შრომებს სახალხო განათლების საკითხებზე, მას ყოველთვის პატივისცემით მოუხსენებია ღვაწლმოსილი იაკობ გოგებაშვილი.

გენიალური შემოქმედი წუხდა, რომ მასწავლებლის შრომა საკადრისად არ იყო დაფასებული და უთუოდ ამიტომაც იყო, რომ 1915 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, მასწავლებელ ლადო ბზვანელისადმი მიძღვნილ სამახსოვრო ლექსში გულისტკივილით წერდა: „მასწავლებელის ბედზედა მრავალჯერ დამიკვნესია“.

დანიელ ჭონქაძე

დანიელ გიორგის ძე ჭონქაძეს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ცნობილი მოთხრობა „სურამის ციხის“ გამოქვეყნებით თვალსაჩინო ფურცელი გადაშალა ქართულ მწერლობაში. ამ ნაწარმოებით გაბედულად აღიმაღლა ხმა ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ, რის გამოც შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მის ავტორს — დრომოჭმული წყობილების წინააღმდეგ მებრძოლს, გააფთრებული დევნა დაუწყეს, მშრომელ ხალხში კი მწერალმა მოიხვეჭა სიყვარული და პატივისცემა. სამართლიანად იყო აღნიშნული, რომ იმხანად „სურამის ციხე“ იყო გასროლილი ყუმბარა, რომელმაც ააყაყანა ბნელეთის მოციქულები“.

დანიელ ჭონქაძის ღვაწლი არ ამოიწურებოდა მოთხრობა „სურამის ციხით“. ცნობილია, რომ ამ ნაწარმოების გამოქვეყნებამდე იგი ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

დუშეთის მაზრის სოფელ ყვავილში დაბადებულმა დ. ჭონქაძემ თავისი ბავშვობისა და ყრმობის სამახსოვრო წლები ჩრდილო ოსეთში, ქალაქ ვლადიკავკავში გაატარა და პირველდაწყებითი განათლებაც იქაურ სასულიერო სასწავლებელში მიიღო.

ცოდნამოწყურებული დანიელი მალე დაეუფლა ოსურ ენას და თავისუფლად მეტყველებდა ამ ენაზე. დაინტერესებული იყო ოსური ფოლკლორით, გატაცებით ისმენდა თქმულებებს ნართებზე და სხვა საყურადღებო ლეგენდებზე. ყოველივე ეს ნათლად აღიბეჭდა მის მეხსიერებაში და მალე გახდა ოსური ფოლკლორის მკვლევარი.

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მამამ დანიელი თბილისის სასულიერო სემინარიაში შეიყვანა, სადაც უფრო მეტი მონდომებით შეუდგა მეცადინეობას და არა მარტო თანატოლების, არამედ აღმზრდელი მასწავლებლების ყურადღებაც დაიმსახურა.

სამწუხაროდ, იმხანად მამა გარდაეცვალა და მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება და მეცადინეობა.

სანამ დანიელი სემინარიას დაამთავრებდა, კავკასიის სასულიერო სემინარიის გამგეობამ ქალაქ სტავროპოლიდან თხოვნით მიმართა თბილისის სასულიერო სემინარიას, რათა უფროსკლასელთაგან შეერჩიათ კანდიდატურა, რომელიც შეესძლებდა ოსური ენის მასწავლებლობას. სემინარიაში მაშინვე არჩევანი ბეჯით მოსწავლე დანიელზე შეჩერდა.

1851 წელს სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ დ. ჭონქაძე სტავროპოლს გაემგზავრა, დაიწყო მასწავლებლობა და მალე გაამართლა უფროსი კოლეგების იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდნენ. მისი გაკვეთილები იმდენად საინტერესო ყოფილა, რომ მოზარდებს ხალისსა და ცოდნას მატებდა. მწერალი-მასწავლებელი თავისუფალ დროს მოსწავლეებს ხშირად ესაუბრებოდა სხვადასხვა ერის ხალხთა მეგობრობაზე. სხვა მასწავლებლებისგან განსხვავებით დ. ჭონქაძე იკვლევდა ოსი ხალხის ეთნოგრაფიას, მათ ფოლკლორს.

კავკასიის ხალხთა ცხოვრების მკვლევარმა ა. შიფნერმა ყურადღება მიაქცია დანიელის შრომას, გამოსცა წიგნი „ოსური ტექსტები დანიელ ჭონქაძისა და ვასილ ცორაევის მიერ“, რომელშიც ნათლად აისახა ამ ორი პიროვნების ღვაწლი.

ერთ ხანს დანიელმა თბილისის სასულიერო სემინარიაშიც დაიწყო მასწავლებლობა და იქაც, როგორც შრომის მოყვარე და გულისხმიერმა აღმზრდელმა, მალე მოსწავლეთა სიყვარული დაიმსახურა, დასვენების დროსაც კი უქმად არ კარგავდა, თავის აღსაზრდელებში ტრიალებდა, უღვივებდა ცოდნის მიღების წყურვილს. იმ ხანად სემინარიაში სწავლობდა იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც ესმოდა, რომ დანიელი საუკეთესო მასწავლებელი იყო, მაგრამ წუხდა, რომ მას, ოსური ენის მასწავლებელს, ხშირად დრო არ ჰქონდა, ქართველ ბავშვებთან თავისუფლად ესაუბრა და სანუგეშო ეთქვა რამ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ თხოვა დანიელს, რომ შეედგინა ოსურ-რუსული და რუსულ-ოსური ლექსიკონი. ამ შრომატევად საქმესაც მან გულმოდგინედ მოკიდა ხელი და შეუდგა მუშაობას, მაგრამ მძიმე ავადმყოფობამ შეუშალა ხელი, შრომა ბოლომდე ვერ მიიყვანა და ლოგინად ჩავარდნილი გულისტკივილით წერდა ცოლის ძმას, მთელი ენერგიით დაწყებული საქმე ავადმყოფობის გამო დაუმთავრებელი მრჩებაო. ბედმა უმუხთლა და ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი-მასწავლებელი 1860 წელს გარდაიცვალა.

მადლიერი ქართველი და ოსი ეროვნების ხალხები პატივისცემის გრძნობით იხსენებენ მას.

ვასილ ბარნოვი

ვ ამოჩენილი მწერალი და მასწავლებელი ვასილ ბარნოვი მეტად გულისხმიერი, მგრძნობიარე და ხალხის ერთგული, საიმედო კაცი იყო. პირადი მაგალითით არა ერთ და ორ მოწაფეს აუნთო გული სამშობლოს სიყვარულით, რითაც საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ვ. ბარნოვმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და ერთი წელი იქვე დარჩა ზედამხედველად, ხოლო შემდეგ გაგზავნეს ქ. მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, სადაც მთელი გულმოდგინებით ეუფლებოდა ცოდნას. მან ჩვეული წარმატებით დაასრულა აკადემიის ისტორიის ფაკულტეტი და ამის შემდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე ნაყოფიერად ეწეოდა სამწერლო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ვ. ბარნოვმა პირველად მუშაობა დაიწყო სამეგრელოში, — ახალ სენაკის სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველ ამბროსი ხელაძის თანაშემწედ. მან თავიდანვე გულმოდგინედ მოკიდა ხელი მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საქმეს და ავტორიტეტი დაიმსახურა. იქ ბატონმა ვასილმა სამი წელი დაჰყო და შემდეგ დედაქალაქში გადავიდა სამუშაოდ. დაიწყო სამსახური სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ.

როგორც მისი ნამოწაფრები იგონებენ, ვ. ბარნოვი ყოველ ნაწარმოებზე აძლევდა მოზარდებს თავის საკუთარ ხელნაწერ კონსპექტებს სახელმძღვანელოდ. ამით ეცნობოდნენ ქართულ ლიტერატურას. მასწავლებელმა გააძლიერა მოსწავლეებში მშობლიური ლიტერატურის სიყვარული, შრომისმოყვარეობა.

ვ. ბარნოვი თავიდანვე გატაცებული იყო საქართველოს ისტორიით, იზიდავდა ხალხური გადმოცემები, თქმულებები, ლეგენდები; ხიბლავდა მთიელთა ცხოვრება, იქაური ადათ-წესები, წარმართობის გადმონაშთები. მისი პირველი თხზულება, რომელიც 1878 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა,

იყო „რამდენიმე სურათი ხევსურეთის ცხოვრებიდან“. ამას მალე მოჰყვა გადმოკეთებული მოთხრობა „პირველი სკრიპკა“.

მართალია, ვ. ბარნოვი ძირითადად ისტორიულ თემებზე წერდა, მაგრამ არც აწმყოს ივიწყებდა, არაერთი საინტერესო მოთხრობა დაგვიტოვა, რომელიც ასახავს თანამედროვეთა ცხოვრებას.

სასულიერო სემინარიაში ვ. ბარნოვის მოღვაწეობა უთუოდ ხანგრძლივად უნდა გაგრძელებულიყო, რომ იქ არეულობა არ მომხდარიყო; ი. ლაღიაშვილის მიერ რექტორ ჩუდეცკის მკვლელობამ საშინელი მღელვარება გამოიწვია, გაირიცხა რამდენიმე მოსწავლე და პედაგოგთა ნაწილიც იძულებული გახდა სემინარია დაეტოვებინა. ბატონმა ვასილმა თელავში არჩია წასვლა და იქ სასულიერო სასწავლებელში დაიწყო მასწავლებლობა, დროდადრო კი სამოქალაქო და წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელშიც ატარებდა გაკვეთილებს. ახალგაზრდა მასწავლებელი თელავში ყველას აძლევდა მაგალითს ზნეობრივი უმწიკვლოების, სათნოებისა და მოყვასის სიყვარულში. მისი ყოველი გაკვეთილი იმდენად საინტერესო და შთამაგონებელი იყო, რომ მოზარდები გულდასმით უსმენდნენ, გამორიცხული ყოფილა დისციპლინის თუნდაც მცირე დარღვევის შემთხვევები.

თელავში იმ ხანად ცნობილი მოღვაწის ივანე როსტომაშვილის ხელმძღვანელობით გახსნილი იყო ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი, რომელშიც ბატონი ვასილი დროდადრო დაიარებოდა და თავის მოსწავლეებს ურჩევდა, თუ რა სახელწოდების ლიტერატურა ეკითხათ.

მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევდა თითოეული მოსწავლის ნიჭსა თუ მისწრაფებას, ცდილობდა მათ უნარს ფართო გზა მისცემოდა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მან თელაველი გოგონას ელენე ახვლედიანის ნახატები რომ ნახა, მოიწონა, ურჩია მეტი ემუშავა, ეხატა თელავის ისტორიული ძეგლები, ალაზნის ველის თვალწარმტაცი მიდამოები... ბეჯით მოსწავლეზე მასწავლებლის ქებამ გავლენა მოახდინა, ქალბატონმა ელენემ გაიკაფა გზა და მარტო თელავში კი არა, საქართველოს რესპუბლიკაში, როგორც ნიჭიერმა ხელოვანმა, თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა. ვინ მოთვლის, კიდევ რა-

მდენ ნიჭიერ მოზარდს დაულოცა გზა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მედიცინაში, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ შრომაში.

ვ. ბარნოვი თელავშივე დაოჯახდა, მისი მეუღლე ნინო ბენაშვილი, განათლებული და გულისხმიერი ადამიანი, ხელს უწყობდა შრომისმოყვარე ქმარს მუშაობაში.

როგორც ბატონი ვასილის ქალიშვილი ლელა ბარნაველი იგონებს, „დედამისი ყოფილა მუზა მამამისისათვის". მხატვრულ ნაწარმოებთა თარიღებიდანაც ჩანს, რომ ლიტერატურაში შემოქმედებითი მუშაობა ვ. ბარნოვმა დაიწყო ქალბატონ ნინოსთან შეუღლების შემდეგ.

ვ. ბარნოვი მოსწავლეებს ყურადღებას აქცევდა არა მარტო სასწავლებელში, არამედ მის გარეთაც, დროდადრო დაიარებოდა მათ ოჯახებში და ამოწმებდა, თუ ვის როგორი პირობები ჰქონდა სწავლისათვის. მან არაერთ ღარიბსა და ავადმყოფ მოზარდს გაუწია დახმარება.

მასწავლებელი ვერ ეგუებოდა ქუჩაში უქმად გაჩერებულ მოზარდებს, რომლებიც სასწავლებელში არ სწავლობდნენ, დროს ლოთობასა და ცუღლუტობაში ჰკარგავდნენ. მათ შენიშვნას აძლევდა, არიგებდა, თუ როგორ მოქცეულიყვნენ.

თელავში ვ. ბარნოვის მოღვაწეობა დაემთხვა 1905 წლის რევოლუციის ბობოქარ დღეებს, რომელმაც გრიგალივით გადაუარა რუსეთის ვრცელ იმპერიას და ძირფესვიანად შეარყია დრომოჭმული წყობილება.

თელავის სკოლებიდან რევოლუციურ გამოსვლებში ყველაზე დიდი დაბრკოლება სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს ეღობებოდათ. მათი სასწავლებელი მეფე ერეკლეს ეულ სასახლეში იყო მოთავსებული. იქ დღე-ღამის განმავლობაში მუდამ თოფმომარჯვებული მცველი იდგა. სასწავლებლის ინსპექტორი მკაცრად ადევნებდა თვალყურს მოსწავლეებს და ხშირად მუქარით ეუბნებოდა: ქუჩა-ქუჩა მოხეტიალე თავხედ ახალგაზრდებს ნუ აჰყვებით, თორემ სასწავლებლიდან გაირიცხებითო. სკოლის ეზოდან გასვლა მოსწავლეებს ეკრძალებოდათ.

წინასწარ, მოსწავლე ახალგაზრდობის ერთ-ერთ შეკრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ მათ სასწავლებლის ხელმძღვანელობისათვის მოეთხოვათ, ძირითადი საგნების

სწავლება მშობლიურ ენაზე ყოფილიყო, აკრძალულიყო მოსწავლეთა მკაცრი დასჯის ზომები და თავისუფლება მისცემოდათ, რათა უფროსებთან ერთად გამოსულიყვნენ მიტინგებზე და სხვ.

1905 წლის 29 მარტს ქალაქის ყველა სასწავლებელმა შეწყვიტა მეცადინეობა. მოსწავლეთა საპროტესტო გამოსვლა სამოქალაქო სასწავლებლიდან დაიწყო. მათ მოითხოვეს სკოლიდან ჯაშუშების განდევნა და თეატრში დასწრების უფლება. უფროსმა მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღელვებულმა მოზარდებმა დატოვეს სკოლა და სასულიერო სასწავლებლისკენ გაემართნენ.

ახმეტის რაიონის სოფ. ხორხლის მცხოვრებმა პენსიონერმა პედაგოგმა სანდრო მამულაშვილმა ასე გაიხსენა ის დრო: „მე სასულიერო სასწავლებელში ვსწავლობდი. სასწავლებლის ხელმძღვანელობა გვზღუდავდა, რომ უფროსებთან ერთად გამოსვლებში მონაწილეობა მიგვეღო და გარიცხვითაც გვემუქრებოდნენ, მაგრამ ჩვენ არ ვუჯერებდით... როცა ქალაქის სხვა სკოლებიდან ჭიშკართან მოგვადგნენ მოსწავლეები და გვთხოვეს მათთან გავსულიყავით, ჩვენმა ინსპექტორმა ნ. მამინეიშვილმა დაგვავალა, არ გამოვლაპარაკებოდით მათ და ჭიშკარს მოვცილებოდით. მის ბრძანებას არ დავემორჩილეთ, მივაწყდით კარებს, მაგრამ მისი გაღება ვერ შევძელით. მოულოდნელად გარედან გოგონებმა თავიანთი შლაპები გადმოგვიგდეს. ერთ მათგანში ასეთი წერილი აღმოჩნდა: „თუ გარეთ არ გამოხვალთ, მაშინ დაიხურეთ ეს შლაპები და ისე იარეთო!“ წერილმა უფრო მეტად აგვაღელვა და ავხმაურდით“...

თელავის რაიონის სოფ. ფშავლის მკვიდრი ირODიონ მარკოზაშვილი იგონებს:

„როცა ჭიშკართან შეგროვილმა მოსწავლეებმა მოვითხოვეთ გარეთ გასვლის ნებართვა, ინსპექტორმა უარი თქვა.

— გაგვიშვით, გაგვიშვით გარეთ! — ვიგრიალეთ ისევ. სანამ ინსპექტორი კიდევ გვეტყოდა რამეს, მოულოდნელად გამოჩნდა საყვარელი მასწავლებელი ვასილ ბარნოვი, რომელიც დინჯი ნაბიჯით ჭიშკარს მოუახლოვდა. მის დანახვაზე მოსწავლეებმა თავაზიანად უკან დაიწიეს და გზა მისცეს. ინსპექტორმა მას კარები გაუღო. ბარნოვი შიგნით შემოვიდა,

წუთით შეჩერდა, თავი გადააქნია და თქვა: ნეტა, რად უკეტავთ ამ ბავშვებს კარებს? გაუშვით გარეთ, გაიხარონო. ძისმა ნათქვამმა გაგვამხნევა, კარები ფართოდ გავაღეთ, გავცივდით გარეთ და ხმაურით შევუერთდით იქ მყოფ მოსწავლეებს. ინსპექტორი გაწყრა, ასე არ შეიძლება, უწესრიგობა იქნებაო. ბარნოვმა დაამშვიდა: ნუ სწუხარ მაგაზე, მე მათ თან გავყვები და შიში ნუ გექნებაო. მართლაც, ბარნოვი თან გამოგყვა და ჩვენ სიმღერით გავიარეთ ბაზრის სანაპირო ქუჩა, მივედით ყოდორის მაღლობზე, იქ დაგვხვდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლი ვაჟკაცები ხირსელაშვილი და ნარეკლიშვილი. ჩატარდა მიტინგი. იქ მოსწავლეები დაგვარიგეს, რომ სანამ ჩვენს ადრე შემუშავებულ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებდნენ, სასწავლებელში აღარ დავბრუნებულიყავით. ჩვენც ასე მოვიქეცით.

სასწავლო წლის ბოლოს გამოცდები აღარ გვქონია, წლიური ნიშნების საფუძველზე მოხდა მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა და დარჩენა.

როცა სასწავლებელში დავბრუნდით, სამწუხაროდ, ჩვენი მოთხოვნები მაინც არ დააკმაყოფილეს, მხოლოდ ბერძნული ენა შეცვალეს ლათინურით და თან შეგვპირდნენ, პიროებს გაგიუმჯობესებთო“.

როგორც ცნობილია, მეფის მთავრობამ სასტიკი ზომების გამოყენებით ჩაახშო ხალხის გამოსვლები, მაგრამ ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ კიდევ გრძელდებოდა, რაშიც თელაველ მოზარდებს შეჰქონდათ თავისი წვლილი.

1910 წელს ვ. ბარნოვმა გადაწყვიტა, რომ სამუშაოდ დედაქალაქში გადასულიყო, დაეტოვებინა კახეთის ეს მშვენიერი, ისტორიული ქალაქი, სადაც მან თავისი შინაარსიანი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები გაატარა. კახელები პატივისცემით ეთხოვებოდნენ ამაგდარ პედაგოგს და პირდებოდნენ, რომ მის ღვაწლს არასოდეს დაივიწყებდნენ.

ვ. ბარნოვი თელავში გატარებულ წლებს მუდამ კეთილად იგონებდა, მაგრამ გულისტკივილით იხსენებდა იმასაც, რომ არაერთმა ახალგაზრდამ ჩაახშო ღვინოში თავისი ნიჭი, რომ არ ელოთათ, ვინ იცის, ცხოვრებაში რა კეთილ კვალს დატოვებდნენო.

ბ ა ჩ ა ნ ა

ნიკოლოზ რაზიკაშვილს ქართველი საზოგადოება იცნობს ბაჩანას ფსევდონიმით. იგი თავის და-ძმებისგან განსხვავებით, დაბალი ტანის კაცი ყოფილა, რისთვისაც შინაურულად ბაჩო შეარქვეს. ეს მეტსახელი ბავშვობის დროს არ მოსწონდა და ჯავრობდა კიდეც, მაგრამ შემდეგ შეეჩვია და სალიტერატურო ასპარეზზე ბაჩანას ფსევდონიმით გამოვიდა.

როგორც თანამედროვეები იგონებენ, ნ. რაზიკაშვილი იყო მხარბეჭიანი ვაჟკაცი, მკვირცხლი, ფიცხი და ღონიერი. მაღლა ავარცხნილი გრუზა ქოჩორი და თაფლისფერი თვალები, სანდომიანი სახე ნამდვილ პოეტურ შეხედულებას აძლევდა.

ნიკომ ჩარგლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ უფროსი ძმის ვაჟა-ფშაველას რჩევითა და დახმარებით სწავლა გააგრძელა გორის საოსტატო სემინარიის მოსამზადებელ კლასში.

ვაჟამ დიდი გავლენა მოახდინა ძმაზე, ეხმარებოდა მას, აძლევდა რჩევა-დარიგებას, გააცნო სემინარიის მოწინავე მოსწავლეთა წრე.

ჯერ კიდევ მოსამზადებელ კლასში სწავლის დროს ბაჩანამ მონაწილეობა მიიღო სემინარიის მოსწავლეთა ჟურნალის „რიჟრაჟის“ გამოცემაში. ეს ჟურნალი 1881 წელს დაარსდა ცნობილი ლოტბარის ლადო აღნიაშვილის ხელმძღვანელობით და რაკი ბაჩანას ლამაზი წერა ეხერხებოდა, ჟურნალის გადაწერა მას მიანდეს.

მოსამზადებელი კლასის დამთავრების შემდეგ ბაჩანა საოსტატო სემინარიაში ჩაირიცხა. მას, როგორც წარჩინებულ მოსწავლეს და ეკონომიკურად ხელმოკლეს, სტიპენდია დაუნიშნეს.

იმხანად ბაჩანა უკვე ლექსებს წერდა, რომელსაც პირველ რიგში, საყვარელ მასწავლებელ ნიკო ლომოურს აცნობდა. ნიკო აფასებდა პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეს და ცდილობდა, ყოველნაირად ხელი შეეწყო მისთვის.

საოსტატო სემინარიის დამთავრებამდე ბაჩანას საცდელი გაკვეთილის ჩატარება დაავალეს. გაკვეთილზე სემინარიის ხელმძღვანელობა და გამოცდილი მასწავლებლები დაესწრნენ. მეცადინეობა ისე სანიმუშოდ ჩატარდა, რომ ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა ერთხმად აღიარეს რაზიკაშვილის ღირსება, რწმენა გამოთქვეს, რომ მისგან შესანიშნავი მასწავლებელი დადგებოდა.

სემინარიის დამთავრებისთანავე ბაჩანას გულით უნდოდა, რომ სწავლა გაეგრძელებინა რუსეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა არ მისცა ამის საშუალება.

ბაჩანა მასწავლებლად დანიშნეს კახეთში, სოფელ ვეჯინში, სადაც გულმოდგინედ შეუდგა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდას. თითოეულ მოსწავლეს რომ კარგად გასცნობოდა, დაიწყო მათი ოჯახური პირობების შემოწმება, ცალკე აღრიცხა უღარიბესი ბავშვები და მიზნად დაისახა, შეძლების ფარგლებში, მათი დახმარება. ბაჩანამ თავისი ხარჯით შეუძინა მათ რვეულები და ფანქრები, გულისხმიერი სიტყვით გაამხნევა.

ახალბედა მასწავლებელმა სწავლის დაწყებისთანავე ჩაატარა მოსწავლეთა მშობლების საერთო კრება, სადაც სოფლის თავკაცებიც დაისწრო. კრებაზე საქმიანი სჯა-ბაასი გაიმართა სწავლის მნიშვნელობაზე, ბაჩანამ გულწრფელად მოუწოდა მშობლებს, რომ სიძნელეებს არ შეშინებოდნენ, ბავშვებისათვის განათლება მიეცათ. იმასაც შეპირდა, რომ ბეჯითსა და საზრიან ბავშვებს, რომლებიც ვეჯინის სკოლას დაამთავრებდნენ, დაეხმარებოდა თბილისში ან სხვა ქალაქში მეტი განათლების მიღებაში.

ვეჯინში მუშაობის დროს ბაჩანამ შეძლო ერთი ობოლი, უსახლკარო მოზარდის გორის საოსტატო სემინარიის მოსამზადებელ კლასში მოწყობა, რისთვისაც წინასწარ მოკრძალებული წერილი გაუგზავნა თავის ყოფილ მასწავლებელს, იმსანად უკვე ცნობილ მწერალს ნ. ლომოურს. ნიკომ თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და მაშინვე დაეხმარა ბაჩანას მიერ გაგზავნილ მოზარდს.

თანამედროვეებს კარგად ახსოვთ, თუ როგორი მცოდნე და გულისხმიერი მასწავლებელი იყო ბაჩანა; როგორი ჩამორ-

ჩენილი მოსწავლეც უნდა ჰყოლოდა, იმდენს ამეცადინებდა, რომ მოზარდს მის მიერ გადაცემული მასალა აღარ ავიწყდებოდა. ბაჩანას არაერთხელ უთქვამს, უნიჭო და გონებაჩლუნგი ბავშვები იშვიათად გვხვდებიან, მაგრამ არიან მოზარდები, რომლებიც ახსნილ მასალას ძნელად ითვისებენ და, ჩვენ, მასწავლებლებს ასეთ ბავშვებთან მეტი მუშაობა გვმართებსო.

სამწუხაროდ, გულმართალი, შრომისმოყვარე მასწავლებელი თავიდანვე თვალში ამოიღეს სოფლის ბობოლებმა, „წარჩინებული წოდების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა. რაკი ბაჩანა პირში მთქმელი კაცი იყო და დაუფარავად ამხელდა მათ ფუქსავატურ ცხოვრებას, გადაეკიდნენ. ისინი მასწავლებელს უცქერდნენ, როგორც მთის კაცს, მთიელს კი მათთვის ჭკუა როგორ უნდა ესწავლებინა? მაგრამ, რაკი ბაჩანას ბკლავიც უჭრიდა და კალამიც, ამიტომ მასთან პირდაპირ კამათს ერიდებოდნენ, ეშინოდათ კიდეც მისი, მაგრამ ჩუმად გეგმავდნენ გზებს მისი სოფლიდან მოსაშორებლად.

ამის გამო იყო, რომ ერთ-ერთ ოჯახში ლხინის დროს იმავე სოფელში მცხოვრებმა ნასვამმა თავადმა მოსაკლავად გაიმეტა და შელაპარაკების დროს ჩასცა ხანჯალი. მძიმედ დაჭრილი მასწავლებელი განსაცდელს ძლივს გადაურჩა და მკურნალობის შემდეგ ის ისევ საყვარელ სკოლას დაუბრუნდა.

ბაჩანა არაერთხელ გაუფრთხილებია სკოლის მზრუნველს მიხაკო ანდრონიკაშვილს, რომ თავი დაენებებინა მოსწავლეთა მშობლებთან პატრიოტულ თემაზე საუბრისათვის, ეგ შენი საქმე არ არისო, მაგრამ მასწავლებლის პასუხი ერთი იყო: სოფლის მშრომელებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მასწავლებელი მარტო ბავშვების აღმზრდელი კი არ არის, არამედ უფროსების შთამაგონებელია; თუ არა ჩვენ, მასწავლებლებმა, მაშ, ვინ უნდა შეაგნებინოს ხალხს სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავდადებაო.

სკოლის ვაიმზრუნველმა ანდრონიკაშვილმა იმდენი აბეზღა ბაჩანა ზემდგომ ორგანოებში, რომ ბოლოს მიზანსაც მიაღწია, ვინმე დარსკისგან მიიღო გადაწყვეტილების ბარათი, რომ რაზიკაშვილი, როგორც უვარგისი მასწავლებელი, გაეთავისუფლებინათ.

სწორედ იმხანად, კერძოდ, 1890 წელს, ხევსურეთის სოფელ ბარისახოში ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ

წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლა გახსნა და ბაჩანა მასწავლებლად იქ დანიშნეს. ის სკოლა ხევსურეთში ცოდნის პირველი აკვანი იყო, ხოლო ბაჩანა მისი პირველი მასწავლებელი.

ხევსურეთში ახლადჩასულ ბაჩანას სერიოზული ბრძოლა დასჭირდა იმისათვის, რომ სკოლის ასაკის მოზარდები შეეკრიბა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ხევსურებს შვილების განათლება არ უნდოდათ, მათი აზრით, როგორც წინაპრებს უცხოვრიათ, შთამომავლებსაც იმავე გზით უნდა ეცხოვრათ. ბაჩანამ თითოეულ ოჯახში მისვლითა და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებით გლეხებს შეაგნებინა, რომ დრო შეიცვალა, უცოდინრობა ღუპავს კაცს, ცოდნა კი სიბნელიდან გამოიყვანს და ცხოვრებას გაუადვილებს, მისი რჩევა იმდენად სარწმუნო და დამაჯერებელი იყო, რომ ხევსურების ცხოვრებაში გარდატეხა მოხდა, სკოლაში ჯერ რამდენიმე მოსწავლე გამოცხადდა, შემდეგ კი მათი რიცხვი თანდათან გაიზარდა. მალე მასწავლებელმა იმდენად შეაყვარა თავი თავის აღსაზრდელებს, რომ მის მზეს ფიცულობდნენ.

ბაჩანა ბარისახოში და მის მეზობელ სოფლებში დაუახლოვდა გლეხებს, ესაუბრებოდა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის ცალკეულ საკითხებზე, უხსნიდა სწავლა-განათლების საჭიროებასა და სარგებლობას. ვისაც კი რამე გაუჭირდებოდა, მასწავლებელს შესჩიოდა და ისიც ანუგეშებდა, შესაძლებლობის ფარგლებში ეხმარებოდა. ბაჩანასთან არაერთხელ მისულან მოხელეების მისამართით თხოვნა-არზის დასაწერად და მასაც მაშინვე შეუსრულებია მათი წადილი.

ბაჩანამ სოფლის მშრომელთა ყურადღება და პატივისცემა იმითაც დაიმსახურა, რომ საგულდაგულოდ შემოღობა სკოლის გარშემო მოზრდილი ნაკვეთი, სადაც ბოსტანი მოაწყო და ხეხილი გააშენა.

თუ რა მძიმე პირობებში უხდებოდა ცხოვრება ბაჩანას, კარგად ჩანს ძმის, თედო რაზიკაშვილისადმი გაგზავნილ წერილში:

„... ვზივარ ბევრჯერ ჩემთვის, საცოდავად ფიქრებში გართული, ვუკრავ ფანდურს, ვესაუბრები ბევრს რასმე ჩემის გულის ამონაკვნესისას და საწყალი ჩემი ცოლი კი ზის და ჩამოდის ცრემლები. ესეც ნუგეშია ტანჯულის მგოსნისა —

არა, ძმაო? ჩემი მოწაფეები, კაცო, ეს ჩემი საყვარელი ძმები და შვილები... ისინი რომ არ მართობდნენ კიდევა, სხვა რამე უფრო უარესი დამემართებოდა. დავჯდები, გარს შემოვისხავ ჩემს ბარტყებს, ვკითხულობ და ხშირად მეც ვტირი ჩემს მოწაფეებთან“.

ბარისახოში ბაჩანამ ათი წელიწადი იმსახურა და თავის კეთილშობილურ მიზანსაც მიაღწია, შეაყვარა ბავშვებს სკოლა და არაერთ მოზარდს სკოლის გარეთაც შეასწავლა წერა-კითხვა. ამის შემდეგ იგი მაღაროსკარის დაწყებით სკოლაში გადავიდა სამუშაოდ და იქაც ჩვეული გატაცებით შეუდგა ბავშვების აღზრდა-განათლებას. სოფელში სკოლის შენობა სანახევროდ დანგრეული დახვდა და დიდი შრომა დასჭირდა მის შესაკეთებლად. ამ საქმეში სოფლის თავკაცები და მოსწავლეთა მშობლებიც დაეხმარნენ.

მაღაროსკარში ბაჩანას მოზარდი თაობის სკოლაში მიზიდვა აღარ გაძნელებია. მოსწავლეებმა და მათმა მშობლებმა შეატყვეს თუ არა, რომ მასწავლებელი მათი კეთილდღეობისათვის იღვწოდა, ნდობით განეწყვნენ და მის თხოვნასა თუ დავალებას უყოყმანოდ ასრულებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, დიდხანს არ გაგრძელებულა ბაჩანას მასწავლებლობა, სკოლას მოულოდნელად ცეცხლი გაუჩნდა და ხანძარმა შენობა მთლიანად შთანთქა.

ბაჩანა მშობლიურ სოფელ ჩარგალს დაუბრუნდა და უფროს ძმას ვაჟა-ფშაველას უამბო მომხდარი ამბავი. ვაჟამ ანუგეშა: ჩემო ბაჩანავ, გული არ დაგწყდეს, რაკი ბავშვებს სკოლა შეაყვარე, ისინი მოსვენებას არ მისცემენ თავიანთ მშობლებს, სანამ ახალ სკოლას არ ააშენებენო.

იმ დროს ბაჩანა არა მარტო შესანიშნავი მასწავლებელი იყო, არამედ უკვე ცნობილი მწერალიც. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, უფრო ხშირად „ივერიისა“ და „დროების“ ფურცლებზე. ავტორი თავის ნაწარმოებებში მკითხველებს უღვივებდა სამშობლოს სიყვარულს, ვაჟკაცობისა და გმირობის სულისკვეთებას.

ვაჟა-ფშაველას ნათქვამი ახდა, მაღაროსკარში სკოლის ახალი შენობა ააგეს. ჩარგალში მცირე ხნის მუშაობის შემდეგ ბაჩანა მაღაროსკარში დაბრუნდა და კვლავ მასწავლებლობას შეუდგა. მოსწავლეები უსაზღვრო სიხარულით შეხვდნენ გუ-

ლმართალ აღმზრდელს. მალე ბაჩანამ სკოლისთვის მცირე ბიბლიოთეკა შექმნა, საბავშვო ლიტერატურა დუშეთიდან და თიანეთიდან ჩაიტანა.

იმხანად უკვე დაწვრილშვილებულ ბაჩანას უჭირდა ცხოვრება და ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მაზრის ცენტრში, დუშეთში გადავიდა სამუშაოდ, უმაღლესდაწყებით სასწავლებელში გაატარა 1918-1919 სასწავლო წელი, იქაც ჩვეული სიბეჯითით შრომობდა, მაგრამ ცხოვრების პირობები მაინც ვერ გაიუმჯობესა. იგი იძულებული გახდა, ფშავში თავისი სახლ-კარი გაეყიდა და ოჯახით სიღნაღში გადასახლდა, სადაც შვიდწლიან სკოლაში დაიწყო მუშაობა.

ბაჩანა დიდი ინტერესით გაეცნო სიღნაღისა და მისი მაზრის ისტორიულ ძეგლებს და ქალაქის ინტელიგენციასთან საუბარში არაერთხელ გულახდილად განაცხადა, რომ მოვლა-პატრონობას საჭიროებდნენ წინაპართა დატოვებული ნაგებობები; ამ კეთილშობილურ საქმეში მისი როლი მართლაც თვალსაჩინო იყო.

1924 წელს ბაჩანა სამუშაოდ გადავიდა სიღნაღის მაზრის ბოდბის შვიდწლიან სკოლაში და მიზნად დაისახა, რომ ბოდბის სკოლა მთელ მაზრაში სამაგალითო გაეხადა, მაგრამ ავადმყოფობამ აღარ მისცა გასაქანი და იძულებული გახდა, თავისი საყვარელი პროფესიისთვის თავი დაენებებინა. მართალია, გამოცდილი მკურნალების დახმარებით ცდილობდა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაეუმჯობესებინა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, სარეცელზე მიჯაჭვული ბაჩანა სკოლის მომავალს გონების თვალით ჭვრეტდა.

რაკი სოფელში მისი ჯანმრთელობა გაუარესდა, სამკურნალოდ თბილისში წაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა მაინც ვერ უშველეს.

ნიკო რაზიკაშვილი — ბაჩანა 1926 წელს გარდაიცვალა თბილისში. ჩვენმა საზოგადოებამ ის, როგორც უკვე ცნობილი პოეტი და სახალხო მასწავლებელი, საკადრისი პატივით დაკრძალა მწერალთა და მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

თედო რაზიკაშვილი

ოავისი უფროსი ძმების: ვაჟა-ფშაველასა და ბაჩანასგან განსხვავებით, თედო რაზიკაშვილი უფსევდონიმოდ გაეცნო საზოგადოებას და როგორც ნიჭიერმა საბავშვო მწერალმა და ღვაწლმოსილმა მასწავლებელმა თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა.

პატარა თედოს წერა-კითხვა ბაჩანამ შეასწავლა, შემდეგ კი ჩარგლის სკოლაში შეიყვანეს, სადაც გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას, მაგრამ როცა ის მესამე კლასში გადავიდა, სკოლა დახურეს და რამდენიმე ხანს მას სახლში უხდებოდა ყოფნა, თუმცა კი, მამის ხელმძღვანელობით საყმაწვილო წიგნების კითხვას დაეწაფა და ხშირად კითხვაში ათენებდა ღამეებს.

თ. რაზიკაშვილი თავიდანვე ლამაზად წერდა და უთუოდ ამის გამოც მამამ მას საქართველოს ისტორიის გადაწერა დაავალა და მან მაშინვე უყოყმანოდ და სიამოვნებით შეასრულა მამამისის წადილი.

მალე თედო ვაჟა-ფშაველამ წაიყვანა თავისთან სასწავლებელში, იქაც მონდომებით შეუდგა სწავლას, მაგრამ, სამწუხაროდ, ვაჟა მასწავლებლობიდან გაათავისუფლეს და მისი ძმა კვლავ სკოლის გარეთ დარჩა.

მოგვიანებით, თედო ბაჩანამ წაიყვანა და გორის სემინარიასთან არსებულ რუსული სკოლის უკანასკნელ განყოფილებაში გამოცდების ჩაბარების შემდეგ მოაწყო.

გორში ყოფნის დროს თ. რაზიკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-ლიტერატურულ საქმიანობაში. მას იქ განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობოდა ცნობილი მწერალი-მასწავლებელი ნიკო ლომოური, რომელიც მისი არა მარტო ხელმძღვანელი იყო, არამედ წამახალისებელი პიროვნებაც ლიტერატურულ ასპარეზზე.

გორის სემინარიის დამთავრებისთანავე თედო მასწავლებლად დანიშნეს სოფელ ხელთუბანში, სადაც მთელი პასუ-

ხისმგებლობით შეუდგა შრომას და მალე მარტო მოსწავლეებისა კი არა, მათი მშობლების სიყვარული დაიმსახურა. იმ სკოლას ყოველ მხრივ მხარს უჭერდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელსაც ექვემდებარებოდა.

ახალბედა მასწავლებელი მხარში ამოუდგა ხელთუბნელ მშრომელ გლეხებს და ყოველმხრივ ცდილობდა, შეეტანა სოფელში ცოდნა, მოწინავე იდეები. უთუოდ ამიტომაც იყო, რომ მის მოღვაწეობას პოლიცია ფრთხილად ადევნებდა თვალყურს.

1905 წელს სკოლა მთავრობის მოხელეთა განკარგულებით დახურეს, თედო მასწავლებელს კი 13 წლით გადასახლება მიუსაჯეს, მაგრამ მას ბედად მანიფესტმა მოუსწრო და გზიდან უკან დააბრუნეს, თუმცა კი აღარ შეეძლო ხელთუბანში ცხოვრება და იძულებული იყო, მთაში დამალულიყო. იმხანად მას ხელთუბანში ზარბაზნებით სახლკარი დაუნგრიეს და გადაუწვეს. ამით უნოდათ აღმოეფხვრათ მასში მთავრობისადმი მძულვარება და ზიზღი, მაგრამ ეს ვერ შეძლეს.

თ. რაზიკაშვილი სიყმაწვილიდანვე წერდა ლექსებს და მოთხრობებს, თანამშრომლობდა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ და მოზარდი თაობის სიყვარულს იმსახურებდა. მან თავისი ნაწარმოებებით აკაკის ყურადღებაც მიიქცია, რომელმაც დიდად შეაფასა მისი შემოქმედება. მან განსაკუთრებით მოიწონა თედოს პატარა ბოტანიკური მოთხრობა „ფითრი“. თედოს ლიტერატურულ შრომას საკადრისად აფასებდნენ აგრეთვე ი. გოგებაშვილი, ნ. ლომოური და სხვები.

თ. რაზიკაშვილის ღვაწლი აღსანიშნავია ქართული ზეპირსიტყვიერების შეგროვებისა და შესწავლის საქმეში.

1913 წელს თ. რაზიკაშვილმა გლეხების დახმარებითა და ხელშეწყობით აღადგინა ხელთუბნის სკოლა და ჩვეული მონდომებით შეუდგა მოსწავლეთა აღზრდა-განათლებას.

ვაჟა-ფშაველას უფროსი ქალიშვილი თამარი სიამოვნებით იხსენებდა წარსულს:

„სასკოლო ასაკისა რომ გავხდი, ბიძაჩემმა თედომ წამიყვანა ხელთუბანში, შემასწავლა წერა-კითხვა და შემაყვარა მშობლიური ლიტერატურა. საღამოობით, თავისუფალ დროს ბიძაჩემი მეზობლის გოგო-ბიჭებთან ერთად ხშირად მიყვებოდა ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან საინტერესო ეპიზოდებს და გვასწავლიდა საბავშვო ლექსებს“.

სამწუხაროდ, 1922 წელს ამაგდარი თ. რაზიკაშვილი ხელთუბანში, თავისივე სახლში, ბანდიტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს, რამაც გული დაწყვიტა პატიოსან მშრომელებს და საკადრისი პატივით დაიკრძალა იმავე სოფლის სასაფლაოზე.

ეგნატე ნინოშვილი

ცხოვრების მეტად რთული, ეკლიანი გზა განვლო ეგნატე თომას ძე ინგოროყვამ, რომელიც ქვეყნად ნინოშვილის ფსევდონიმით დამკვიდრდა.

დედით ნაადრევად დაობლებული, სათუთი სულისა და ნაზი აგებულების ბავშვი შვიდი წლის იქნებოდა, როდესაც წერა-კითხვა მამიდამ შეასწავლა. დედით ობოლს მამაც ადრე გარდაეცვალა და შემდეგ მას მზრუნველობდა მამიდა ნინო და ბიძა ალექსი.

მცირე ხნით ეგნატე მღვდელს მიაბარეს, რომელიც ხუცურ ანბანს ასწავლიდა და ლოცვებს აზეპირებინებდა, თან, მთელი დღის განმავლობაში საქმეს აკეთებინებდა, არ აძლევდა მოსვენებას.

მღვდელმა პატარა ეგნატე თავის ძმისწულთან ქ. ფოთში მოჯამაგირედ გაგზავნა. იქაც მას მოსვენება არ ჰქონდა, „ვაჭარი აზნაური“ სასტიკად სტანჯავდა და როცა ბავშვის სანახავად ფოთში ბიძამისი ჩავიდა, გული დაწყვიტა მისმა უმწეო მდგომარეობამ, გამხდარ-გაყვითლებული ეგნატეს ცქერამ და იძულებული გახდა, რომ ისევ სოფელში წაეყვანა.

ეგნატე ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც თავიდანვე გულმოდგინედ შეუდგა მეცადინეობას და მასწავლებელთა ყურადღება მიიქცია.

— ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის პირველ კლასში ვსწავლობდი, როცა ქართული ენის მასწავლებელმა დაასახელა უფროსი კლასის სამი-ოთხი შეგირდი და გვითხრა: ისე მონდომებით იმეცადინეთ, როგორც ისინი სწავლობდნენო, — იგონებს ესე მეგრელიძე, — წარჩინებულთა შორის იყო ინგოროყვაც. ამ შეგირდმა, გვითხრა მასწავლებელმა, მოსამზადებელი სამი განყოფილება ერთ წელიწადში გაიარა და მეორე კლასში ამოყო თავიო.

აუტანელ სიღარიბეს განიცდიდა მოსწავლე ეგნატე, არ ჰქონდა საშუალება, რომ ოზურგეთში ბინა დაექირავებინა, იძულებული გამხდარა, საკუთარი ხელით აეშენებინა ქოხი და

იქ ეცხოვრა. იგი გახუნებულ-გაცვეთილი ტანსაცმელით, მაგრამ მუდამ სუფთად ცხადდებოდა სასწავლებელში და ყველა საგანს თანაბარი გატაცებით ეუფლებოდა. ცეცხლის შუქზე ამზადებდა გაკვეთილებს და ზოგჯერ ღამით მთვარის სინათლეზეც გატაცებით კითხულობდა წიგნს.

სასულიერო სასწავლებელში მძიმე რეჟიმი იყო გამეფებული. დაუმსახურებლად ლანძღავდა და ემუქრებოდა ზედამხედველი თავის მოწაფეებს. უკვე მესამეკლასელ ეგნატეს ტოლამხანაგებისგან შემდგარი ჰყავდა საიდუმლო წრე სასწავლებლის ბნელი მესვეურების წინააღმდეგ. ამას ზედ დაერთო ისიც, რომ მასწავლებელი ივ. ლიაძე მოხსნეს და რევიზორმა როცა რამდენიმე მოსწავლე დაკითხა, ისინი წინასწარ ეგნატეს გაეფრთხილებინა: უთხარით, რომ არაფერს გვასწავლიან, ზედამხედველი ქიქოძე გაკვეთილებს აცდენს და ჩვენც გვლანძღავს-თქო.

რევიზორის წასვლის შემდეგ გულღვარძლიანი ქიქოძე მისდგა მომჩივან მოსწავლეებს, სასწრაფოდ დაშალა წრე და ეგნატე „მგლის ატესტატით“ გააძევეს სასწავლებლიდან.

სასწავლებლიდან გარიცხვის შემდეგ ეგნატე ისევ ოზურგეთში დარჩა, იმედი ჰქონდა, აღადგენდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდა. გული არ გაიტეხა, გაძლიერებული ენერგიით შეუდგა მეცადინეობას; დამოუკიდებლად გადიოდა სასკოლო პროგრამას და ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში გამოცდა წარმატებით ჩააბარა, ღირსეულად, მასწავლებლის წოდება მიიღო.

მარტო სინანულს კი არა, ეგნატეს აღშფოთებას იწვევდა ცხოვრების დუხჭირი პირობები, აურაცხელი „ბალიკაიას, სიმონიკაის, გოგიეს“ ბედი და აღანთებდა შურისძიების გრძნობით.

ეგ. ნინოშვილი ოცი წლისა იყო, როდესაც ჩოჩხათში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა. სასწავლო ფიცრული ოთახი მოუწყობელი დახვდა, შუშებჩამტვრეულ და კარებმორღვეულ კლასში თავისუფლად დანავარდობდა ქარი, განსაკუთრებით ძნელი იყო ზამთრის ცივ დღეებში იქ მეცადინეობა, მაგრამ ახალგზდა მასწავლებელი გულს არ იტეხდა და თავის აღსაზრდელებსაც ამხნევებდა, რომ არ შეშინებოდნენ სიძნელეებს.

სოფლის გლეხობა მასწავლებელს უნდობლად შეხვდა, ისინი ვარაუდობდნენ, რომ სხვა მუქთახორა მოხელეებთან ერთად მასწავლებელიც მათ კისერზე დააწვებოდა, მაგრამ მალე დარწმუნდნენ იმაში, რომ მათ მოევლინათ კეთილშობილი და გულისხმიერი ადამიანი, რომელიც მხოლოდ ღარიბი ხალხის სიკეთეზე ფიქრობდა და მოზარდებს გულმხურვალედ მოუწოდებდა, რომ ბეჯითად ესწავლათ, რითაც შემდეგ უთუოდ გაიუმჯობესებდნენ ცხოვრების პირობებს. გულისხმიერი დამოკიდებულებით ეგნატეს ახლობლური ურთიერთობა დაუმყარებია როგორც ღარიბ-ღატაკ გლეხებთან, ისე თავის აღსაზრდელებთან.

როგორც თანამედროვეები იგონებენ, ეგნატეს საუბარი იყო ღრმად შთამაგონებელი, წარმტაცი. მას სძულდა ლაყბობა, მრავლისმეტყველება, სიტყვას მოკლედ მოჭრიდა, მაგრამ გულს კი შეძრავდა ორიოდე მოქნეული, ბასრი, მჭრელი სიტყვით.

სოფელ ჩიბათში ადგილობრივი მასწავლებლის სეონ შერმადინის ძე ჭყონიას ავადმყოფობის გამო ეგნატე ასწავლიდა მის მოსწავლეებს და გატაცებით უნერგავდა წიგნის სიყვარულს.

ჩიბათის მკვიდრმა ვლადიმერ ლომიძემ ასე გაიხსენა წარსული: „ეგნატეს ღარიბი ხალხის შვილები უყვარდა. აგვარჩევდა მოზრდილ მოსწავლეებს და გვეტყოდა: — თქვენ ახალი მომავალი ხართ, ყოველგვარ სიკეთეს მოესწრებით. კარგად რომ ისწავლოთ, ცოდნას შეიძენთ, — მტერი ვეღარ დაგიბრიყვებთ და ქვეყანას გამოადგებითო“.

ეგნატე ასწავლიდა ბავშვებს ქართველი მწერლების ლექსებსა და მოთხრობებს არა მხოლოდ სახელმძღვანელოდან, არამედ სხვა წიგნებიდანაც არჩევდა შესაფერ ნაწარმოებებს. აკაკის ლექსი „გაზაფხული“ რომ აუხსნა, როგორც ნამოწაფარი ე. ბარამიძე იგონებს, — ბავშვები გაუფრთხილებია, ეს ლექსი ყველგან არა თქვათო.

ეგ. ნინოშვილი მოზარდებს შთააგონებდა: „შეისწავლეთ ის მეცნიერება, რომლისადმი გრძნობთ მოწოდებას... დაადექით იმ საქმეს, რომლისადმი გრძნობთ ლტოლვას, ოღონდ გახსოვდეთ, რომ მუდამ უნდა ხელმძღვანელობდეთ იმ აზრით, რომ თქვენი სწავლა ქვეყანას უნდა ემსახურებოდეს“. გულ-

მართალი მასწავლებლის ამ მოსაზრებას ახლაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ეგნატეს ნამოწაფარმა, 90 წლის მოხუცმა ოქროპირ ვასაძემ ასე გაიხსენა ყოფილი მასწავლებელი:

„... ეგნატე ჩემი და ჩემი ტოლების საუკეთესო მეგობარი იყო. იგი ჩვენთან იმდენ საერთოს პოულობდა, როგორც ტოლი ტოლთან. ერთ ზამთარს დიდი თოვლი მოვიდა. ბავშვები თოვლბურთას ვთამაშობდით და ეგნატეც ჩვენთან იყო. უცებ მამასახლისი გამოჩნდა. ეგნატემ მოსწავლეები წაგვაქეზა, ჩვენც მეტი რა გვინდოდა, იმდენი ვაბურთავეთ ის პირშავი, რომ კინაღამ დავახრჩეთ. ეგნატე ყასიდად გველაპარაკებოდა: ახალგაზრდებო, ხუმრობას თავი დაანებეთ, რა თქვენი საქმეა ხელმწიფის ტოლ კაცთან თამაშიო... ვინ იცის, რამდენხანს ვაბურთავებდით, ერთ ჩვენს ამხანაგს კატეგორიულად რომ არ გავეფრთხილებინეთ: ბიჭებო, გვეყოფა ხუმრობაო. გაფითრებული მამასახლისი ძლივს წამოდგა, თოვლი გაიბერტყა. კარგა მანძილით რომ დაგვშორდა, ეგნატეს დაემუქრა: თუ ვყოფილვარ კაცი, გადაგიხდი სამაგიეროს, ეს ყიზილბაშები შენ წააქეზეო“.

... მაშინ მასწავლებლისათვის ჯამაგირი მამასახლისს უნდა მიეცა. ამ ამბის შემდეგ სამი თვე გავიდა და ეგნატეს შრომის საფასური არ მიუღია... შემდეგ კი ამ საქმეში მაზრის უფროსი ჩაერია და მასწავლებელმა ძლივს მიიღო ხელფასი.

ეგ. ნინოშვილი თვალყურს ადევნებდა მასწავლებლების შრომას, მისი მოსაზრებით ნამდვილი სახალხო მასწავლებელი გონებით მაღალი, ნებისყოფით მტკიცე და ზნეობრივად ფაქიზი უნდა ყოფილიყო.

სახალხო მასწავლებელი წარმოდგენილი ჰყავდა არა როგორც ცოდნის გადამცემი და გამავრცელებელი ადამიანი, არამედ ნამდვილი პედაგოგი, ხალხის მესაიდუმლე და მეგობარი, მისი ცხოვრების გაუმჯობესებისა და წინსვლისათვის ხელშემწყობი.

სოფლის ბობოლა მოხელეები ეჭვის თვალით უყურებდნენ მასწავლებელს და დახმარების ნაცვლად ხშირად ხელს უშლიდნენ, ბოლოს მაინც იძულებული გახადეს, რომ თავი დაენებებინა მასწავლებლობისათვის.

მასწავლებლობის შემდეგ ეგნატეს სხვადასხვა ადგილებში უხდებოდა სამსახური; ერთხანს ტელეგრაფისტად მსახურობდა სუფსის რკინიგზის სადგურზე, შემდეგ სოფლის მწერალი იყო ჩიბათში... მაგრამ ყველგან სიღატაკე თან სდევდა.

ეგნატე ქართველ მწერლობას პირველად ჟურნალისტის სახით მოგვევლინა. „ივერიაში“ დაბეჭდილ კორესპოდენციებში სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად გაბედულად ამხელდა საერო და სასულიერო ბიუროკრატების მიერ სახალხო სკოლასთან დამოკიდებულების აღმაშფოთებელ ფაქტებს.

ეგ. ნინოშვილმა თავისი პედაგოგიური ნააზრევი ნაწარმოებებში გადმოგვცა, ასეთებია „მოსე მწერალი“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“, განსაკუთრებით კი მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. ამ უკანასკნელში მასწავლებელი სპირიდონ მცირიშვილი კეთილგონიერი, პროგრესული შეხედულების ადამიანია. მისი იდეალია პატიოსანი შრომა, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ მისი პირადი კეთილდღეობისათვის ზრუნვა. ნაწარმოებში იგრძნობა მასწავლებლის ღვაწლი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. თავის ერთ საყურადღებო წერილში, რომელიც ა. თოიძისადმია გაგზავნილი, ასეთი პასუხია გაცემული: „... მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ გმირი მცირიშვილი, ერთ ჩვენს ნაცნობს ჰგავსო, — ამბობ. — რაღა მოთხრობის ავტორს? მართალია, მხოლოდ გარეგნობით, ისე კი მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზე“.

დუხჭირი ცხოვრების გამო ხანმოკლე იყო ეგ. ნინოშვილის სიცოცხლე, უთუოდ პირობები რომ ჰქონოდა, უფრო ხანგრძლივად იცოცხლებდა და მეტსაც დაგვიწერდა.

ნიკო ლომოური

ნიკო ლომოურს ქართველი საზოგადოება იცნობს, როგორც ნიჭიერ მწერალსა და შესანიშნავ პედაგოგს, ღვაწლმოსილ ადამიანს, რომელიც დღენიადაგ სამშობლოს კეთილდღეობისათვის იღვწოდა და ხალხის სიყვარულს იმსახურებდა.

ნიკო ლომოური ქართულ ლიტერატურაში ლექსებით შემოვიდა. განსაკუთრებით საინტერესოა „ყინვა და პატარა მოწაფე", რომელშიც დიდოსტატურადაა დახატული ღარიბი გლეხის ლტოლვა სწავლისაკენ. მის მადლიან კალამს ეკუთვნის რომანი „წუთისოფელი", მოთხრობები: „ქაჯანა", „ალი", „ბედი უბედურთა", „ყოველის მხრიდან", „ქრისტიანი ლეკები" და სხვ.

ნ. ლომოურმა თბილისის სასულიერო სემინარიის წარმატებით დამთავრების შემდეგ უკრაინაში, ქ. კიევის აკადემიაში გააგრძელა სწავლა და იქაც ჩვეული მონდომებითა და სიბეჯითით მოწინავე სტუდენტთა რიგებში ჩადგა.

ნიკომ აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის წოდებით დაამთავრა, რაც მას ფართოდ უღებდა კარს სასულიერო კარიერისაკენ, მაგრამ ამ უპირატესობაზე უარი განაცხადა და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ თავისი ცოდნა და შესაძლებლობა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებისათვის მოეხმარებინა.

1879 წელს ნ. ლომოური მიიწვიეს თბილისის სათავადაზნაურო სასწავლებელში ინსპექტორის თანამდებობაზე, სადაც მთელი გატაცებით შეუდგა შრომას, მზრუნველ მამასავით მოეკლინა თავის აღსაზრდელებს და მოკლე დროში მათი გულწრფელი სიყვარული დაიმსახურა.

სამწუხაროდ, სასწავლებელში გამეფებული იყო მკაცრი რეჟიმი, რუსიფიკატორული დამამცირებელი პოლიტიკა საგრძნობლად ზღუდავდა ქართველ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერესებს. ნიკომ შეგნებულ დისციპლინაზე

დამყარებული რეჟიმის შემოღებით და განსაკუთრებით კი გაკვეთილების შემდეგ მოსწავლეებთან მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე საინტერესო საუბრებით სასწავლებლის დირექციის სიძულვილი დაიმსახურა.

ბატონმა ნიკომ სათავადაზნაურო სასწავლებელში სამი წელი მძიმე პირობებში გაატარა და კვლავ ასე რომ არ გაგრძელებულიყო, 1883 წლის აგვისტოდან თავისი თხოვნის საფუძველზე განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და იმ ხანებშივე დაინიშნა ქ. გორში ამიერკავკასიის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარიაში ქართული ენის მასწავლებლად.

ნიკოს გორში გამგზავრება მიუხაროდა. ეს ქალაქი მისთვის ბავშვობიდანვე საყვარელი იყო. იგი მიზნად ისახავდა, რომ გორის მაზრის სოფლის მშრომელებთან ახლოს ყოფილიყო.

ნ. ლომოური თავისი მოთხრობის ერთ-ერთ გმირს ასე ალაპარაკებს: „მე მინდა სოფლად დავსახლდე. სოფელი შეწუხებულია გაუნათლებლობით, სხვადასხვა სნეულებით და ორფეხა წურბელა ნადირებით. სკოლითა და ადვილად გასაგები ლექციებით შევებრძოლო პირველთა; სამკურნალო მცენარეებით შევასუსტებ მეორეთა; სიმართლის ცოდნით, პურის მაღაზიების დაარსებით და სხვა, გარემოებაზე დამოკიდებული მოქმედებით წინ დავუდგები მესამეთ“. ეს პატრიოტული სიტყვები მისი ავტორის სულისკვეთების გამომხატველია.

ნიკო გორის საოსტატო სემინარიაში გულმოდგინედ შეუდგა შრომას და იქაც მოკლე ხანში მოსწავლეთა საყვარელი მასწავლებელი გახდა.

როგორც გორელი მოღვაწე კ. ელიოზაშვილი იგონებს, „გორის საზოგადოებრივი ცხოვრების სული და გული ნიკო იყო, მის გარშემო იყრიდა თავს გორის ინტელიგენცია. როცა საჭირო იყო რამე ქართულ საზოგადო საქმეზე ხმის ამოღება, ნიკოსთან მიდიოდნენ“.

სავალალოდ, თვითმპყრობელობის სისასტიკე გორშიც იგრძნობოდა, ამის შედეგი იყო, რომ უდიერად იქნა დარბეული ხალხსონური ორგანიზაცია, მისი მოთავეები დაისაჯნენ.

დასჯილთა შორის მოხვდა პროგიმნაზიის ქართული ენის მასწავლებელი მიშო (მიხეილ) ყიფიანი, რომელიც მაშინვე დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. მის ადგილზე კი 1884 წლის თებერვლიდან ნ. ლომოურმა შეთავსებით დაიწყო მუშაობა.

„ყიფიანი მოგვაშორეს, მაგრამ ბედმა არ დაგვსაჯა და არა ნაკლები კეთილი კაცი მოგვევლინა მასწავლებლად, — ეს იყო ნიკო ლომოური". — იგონებს ყოფილი მოსწავლე და შემდეგ კი ცნობილი მწერალი ანასტასია ერისთავი-ხოშტარია.

როგორც პირველ, ისე მეორე სასწავლებელში ნ. ლომოურის მიზანი იყო, თავისი აღსაზრდელებისათვის შეეყვარებინა ქართული ენა და ლიტერატურა, რომელიც შეზღუდული იყო გარუსების მოტრფიალე, გადაგვარებული მოხელეების მიერ.

ნიკოს დროდადრო უხდებოდა მგზავრობა გორის მაზრის სოფლებში, ამყარებდა კავშირს გლეხებთან, ესაუბრებოდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე, გულმხურვალედ მოუწოდებდა, რომ ბავშვებისათვის ცოდნა მიეცათ, რაც მათი ოჯახისათვის და სამშობლოსათვის სიკეთის მომტანი იქნებოდა.

ნ. ლომოურმა ფასდაუდებელი დახმარება გაუწია მშობლიურ სოფელ არბოს, სადაც სერიოზული სიძნელეების მიუხედავად, გლეხის ბავშვებისათვის დააფუძნა წერა-კითხვის შემსწავლელი სკოლა, რომელსაც გორიდან სისტემატურად ეხმარებოდა: უგზავნიდა წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს... მასწავლებელს კი დროადრო რჩევა-დარიგებას აძლევდა.

საზაფხულო არდადეგების დროს ნიკო არბოში ჩადიოდა, შემოიკრებდა სკოლის მოსწავლეებს, გამართავდა მათთან ახლობლურ, მხიარულ ბაასს და საუბრით არკვევდა მათი ცოდნის დონესა და ხარისხს, შემდეგ კი ცალკე მიიხმობდა მასწავლებელს და საჭიროებისამებრ მითითებას აძლევდა.

გლეხებს უყვარდათ ამაგდარი თანასოფელი, გაჭირვების დროს მიმართავდნენ მას დახმარებისათვის და სჯეროდათ, რომ მათ თხოვნას ნიკო უყურადღებოდ არასდროს დატოვებდა, შეძლების ფარგლებში უთუოდ დაეხმარებოდა მათ. არბოელი ბავშვები მას ძია ნიკოს ეძახდნენ და ყოველთვის უსაზღვრო სიყვარულით ხვდებოდნენ.

გორის საოსტატო სემინარიაში ნ. ლომოურს იმდენად დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა, რომ როცა კი მოსწავლე დისციპლინას დაარღვევდა, დირექტორი ნიკოს ავალებდა საქმის გამორკვევას და ზომების მიღებას. ყოფილა შემთხვევა, როცა სემინარიაში ნიკოს არყოფნის დროს დისციპლინა დარღვეულა, დირექტორს მაშინვე გაუგზავნია კაცი ქალაქში მის საძებნელად, რომ მდგომარეობა უფრო არ გართულებულიყო.

როგორც თანამედროვეები იგონებენ, საოსტატო სემინარიაში ნ. ლომოური ყველაზე გულისხმიერი და საყვარელი მასწავლებელი ყოფილა, მას პატივისცემით ხვდებოდა დიდი თუ პატარა, მისი ალერსიანი, ტკბილქართული მეტყველება ატკბობდა ყველას.

როგორც ბენ. ჩიქობავა იგონებს, „...შეუდარებელი იყო ნიკო ლომოურის ლიტერატურის გაკვეთილი. კეთილშობილი სახე ერთთავად გაუსხიოსნდებოდა, მშვენიერი ტემბრის ხმა მომაჯადოვებლად აჟღერდებოდა და მთელი არსებით აღფრთოვანებული ისე გაგვიტაცებდა გულიდან ამოხეთქილი სიტყვებით გამოთქმული ნათელი აზრებით სამშობლოსა და ხალხის სიყვარულზე, რომ ზარის დარეკვას ვერ ვგებულობდით ხოლმე“.

საერთოდ, ნ. ლომოური ყოველ გაკვეთილს პედაგოგიურ და პატრიოტულ შეხედულებათა ტრიბუნად იყენებდა. მართალია, ხშირად ფრთხილად იქცეოდა, მაგრამ სემინარიის ადმინისტრაციას მისი საუბრები მოსწავლეებთან შეუმჩნეველი არ რჩებოდა და მეთვალყურეობას უწევდნენ.

საყურადღებო ფაქტია, რომ ადმინისტრაციას ნიკო მასწავლებლის საკლასო ოთახის კარებზე გამოჭრილი ჰქონდა სათვალთვალო სარკმელი, რომელიც ხშირად ღია იყო. იმ სარკმელს მოსწავლეები ზიზღით უყურებდნენ და „საჯაშუშო ხვრეტილს“ უწოდებდნენ. სარკმელს მასწავლებელი უყურადღებოდ არ ტოვებდა და როცა გარედან მის სიახლოვეს ვინმე გამოჩნდებოდა, იგი მაშინვე ოფიციალურ პროგრამულ მასალას უბრუნდებოდა.

ნ. ლომოურს მოსწავლეთა ზოგადი განათლება მიაჩნდა პროფესიული განათლების ძირითად საფუძვლად, დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ ყოველი მასწავლებელი მომზადებული

შესულიყო გაკვეთილზე, თავისი საგნით დაეინტერესებინა ბავშვები. ამასთან ერთად, იგი დიდ ყურადღებას აქცევდა მოსწავლეთა საოჯახო პირობების შემოწმებას, მშობლებთან საუბარს აღზრდის თემაზე.

შრომისმოყვარე და გულმართალ მასწავლებელს თუკი რამე სარგებლობის მოტანა შეეძლო ხალხისათვის, თუნდაც ეს ძნელი შესასრულებელი ყოფილიყო, უსათუოდ უნდა შეესრულებინა. საქმის შესრულებაში ნიკო მარტო სიამოვნებას კი არა, სიამაყესაც გრძნობდა, მხნეობას მატებდა ღარიბების მიმართ მზრუნველობა, პატივისცემა.

ქ. გორში დროდადრო იმართებოდა ხალხოსანთა საიდუმლო კრება, რომელსაც ნიკო არა მარტო ესწრებოდა, არამედ მონაწილეობდა კიდეც, გამოდიოდა მგზნებარე სიტყვით, სამშობლოს ნათელ მომავალზე ბჭობდა, გარკვეულობა შეჰქონდა ამა თუ იმ საკითხის გაგებაში. ამავე დროს არიგებდა მსმენელებს, ფრთხილად ემოქმედათ, ხელში არ ჩავარდნოდნენ გადაგვარებულ რუსიფიკატორ მოხელეებს.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში ქ. გორში კულტურული საზოგადოების თაოსნობით შეიქმნა დრამატული წრე, რომელიც მალე დასის სახელწოდებით გახდა ცნობილი და ჰყავდა თავისი გამგეობა. დასი წარმოდგენებს მართავდა როგორც გორში, ისე მის მაზრაში შემავალ ქალაქებსა და სოფლებში. ნიკო დასთან ახლოს ტრიალებდა, ხშირად მისი მონაწილეობით ხდებოდა შერჩევა ცხოვრების სინამდვილის ამსახველი პიესებისა.

ნ. ლომოური გორში სათავეში ჩაუდგა ღარიბი სტუდენტებისათვის დამხმარე საზოგადოებას, რომლისთვისაც აგროვებდა ფულს და გზავნიდა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში ჩასული ქართველი ღარიბი სტუდენტებისათვის. იგი ფულთან ერთად პატრიოტული შინაარსის წერილებსაც უგზავნიდა, მამაშვილურად ამხნევებდა, ურჩევდა, სწავლაში სიძნელეებს არ შეშინებოდნენ, ებეჯითათ. შორს წასული სტუდენტებისგან მას მადლობის უამრავი წერილი მოსდიოდა, რომელიც ხალისს მატებდა და თავის ახლობლებს სიამოვნებით უკითხავდა.

ნიკოს ეამაყებოდა, რომ სამშობლოს არაერთი მასწავლებელი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე აღუზარდა. საოსტატო სემინარიიდან და ქალთა პროგიმნაზიიდან მისი აღზრ-

დილები იყვნენ ძმები ნიკოლოზ (ბაჩანა) და თედო რაზიკაშვილები, რომლებიც შემდეგ ცნობილი პედაგოგები და საზოგადო მოღვაწეები დადგნენ, მწერლები: შიო მღვიმელი, ია ეკალაძე, ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და სხვ. ბატონი ნიკო თავის ნამოწაფრებთან არ წყვეტდა კავშირს, დროდადრო ხვდებოდა მათ და სამსახურებრივ საქმეში რჩევა-დარიგებას აძლევდა.

როგორც ნ. ლომოურის ნამოწაფარი ილია რუხაძე იგონებს, ნიკო 1909 წლის ოქტომბერში სოფელ საგურამოს სწვევია და ილია ჭავჭავაძის სახლში გახსნილი სკოლის ქართული ენის გაკვეთილს დასწრებია, მოსწავლეთა ცოდნით კმაყოფილი დარჩენილა და როცა ბავშვებისთვის უკითხავს, ილია ჭავჭავაძის ლექსები ხომ არ იცით ზეპირადო, რამდენიმე მოწაფეს თანხმობა განუცხადებია, უთქვამთ „მესმის, მესმის“, „გაზაფხული“ და სხვ. რითაც იგი დიდად გაუხარებიათ. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ კი მასწავლებლისთვის ცალკე უთქვამს, ნაყოფიერად გიმუშავია ყმაწვილნო, იქვე რჩევაც მიუცია, კლასში რვა-ათი მოსწავლე მცირე რიცხვია, მე დარწმუნებული ვარ, რომ სოფელში სასკოლო ასაკის მოზარდები კიდევ იქნებიან და შენ თავი ვალდებულად უნდა ჩათვალო, გაზარდო მოსწავლეთა რიცხვი. გახსოვდეს, ადვილი არ არის გლეხების დაჯერება იმაში, რომ სწავლა მათი ბავშვებისათვის აუცილებელია და სასარგებლო. იცოდე, პირველ რიგში საჭიროა გლეხების ნდობა და პატივისცემა დაიმსახურო და შემდეგ მათი დაჯერება აღარ გაგიძნელდებაო.

ნ. ლომოურს ახლობლური ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ პედაგოგებთან: ი. გოგებაშვილთან, ლ. ბოცვაძესთან, ვ. ბარნოვთან და სხვებთან. ისინი ზოგჯერ კომპეტენტურ რჩევასაც თხოვდნენ პედაგოგიურ საკითხებში.

ნ. ლომოურს განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა თავის ყოფილ მასწავლებელ იაკობ გოგებაშვილთან და მუდამ გულახდილად უზიარებდა ფიქრსა თუ მოსაზრებას, გულის საიდუმლოსაც კი.

ი. გოგებაშვილმა ნიკოს რჩევითა თუ მითითებით არაერთი შესწორება შეიტანა თავის „ბუნების კარში“. ნ. ლომოური დიდად აფასებდა იაკობის მიერ შედგენილ სასწავლო

სახელმძღვანელოებს, მათ შორის „ბუნების კარს“ ჩინებულ წიგნს უწოდებდა.

ყველა, ვინც კი ახლოს იცნობდა ნ. ლომოურს, სამართლიანად აღნიშნავდა, რომ მისი სიტყვა და საქმე არასდროს ცილდებოდა ერთმანეთს და როცა ის ამბობდა, კაცი ის არის, ვინც სიტყვას საქმედ გადააქცევსო, მსმენელთათვის უდავო ჭეშმარიტება იყო.

ამაგდარ ნიკოს თითქოს არასდროს ჰქონია მოცლა, რომ თავის პირად სიამოვნებაზე, დასვენებაზე ეფიქრა. ის სხვების ჭირ-ვარამს ითავისებდა, მზად იყო, როგორც კი შეეძლო, დახმარებოდა, ნუგეში ეცა მათთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ლომოურმა თავისი ცხოვრება სისტემატურ შრომაში გაატარა, მაინც ყოველთვის ხელმოკლეობასა და გაჭირვებას განიცდიდა. თავის წვრილშვილზე ზრუნვა და სხვების მიმართ ყურადღება-დახმარება ზოგჯერ აიძულებდა, დამამცირებელი საქმეებიც კი უთაკილოდ გაეკეთებინა, ევლო სახლებში და კერძო გაკვეთილები ჩაეტარებინა შეძლებული ოჯახის ბავშვებისათვის, რომ რამდენადმე მაინც გაეუმჯობესებინა ცხოვრების პირობები, ეს მაშინ, როცა იგი სახელმოხვეჭილი პედაგოგი და ცნობილი მწერალი იყო. ნიკო თავის პირად გაჭირვებას უდრტვინველად იტანდა, ახლობლებიც კი ვერ ნახავდნენ მას მოწუწუნესა და გულნაღვლიანს. იგი სამშობლოს მომავალს ნათელი ფერებით ჭვრეტდა.

ნიკო ლომოური ჯერ კიდევ შემოქმედებითი უნარით აღსავსე, 1915 წელს გარდაიცვალა. თავისი ხალხის წინაშე მორალურად ვალმოხდილმა ადამიანმა, რომელმაც მხოლოდ სამოცდაორი წელი იცოცხლა, ნეტარმოსაგონარი სახელი დაიმკვიდრა და მადლიერი თაობის ხსოვნიდან მისი სახელი არასოდეს ამოიშლება.

ივანე როსტომაშვილი

ჩვენი ერის ღირსეულ წინაპართა შორის ნეტარმოსაგონარი სახელი დაიმკვიდრა ცნობილმა მასწავლებელმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ივანე პავლეს ძე როსტომაშვილმა, რომლის ღვაწლი დიდმა ილიამ ფუტკრის სასარგებლო შრომას შეადარა და თავის უმცროს მეგობარს სიყვარულით „ჩვენი ფუტკარი“ უწოდა.

პატარა ივანე მშობლებმა თელავის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანეს. შრომისმოყვარე და ცოდნამოწყურებულმა ბავშვმა მაშინვე მიიქცია მასწავლებლების ყურადღება, როგორც ნიჭიერმა მოსწავლემ.

ივანეს მამა დაინტერესებული იყო, რომ შვილი სამხედრო კარიერისათვის მოემზადებინა, რისთვისაც თელავის სასწავლებლიდან ერთი წლის შემდეგ ივანე გამოიყვანა და თუქურმიშის სამხედრო სკოლაში მოაწყო.

სამხედრო სკოლაში, რომელსაც სალდათის სასწავლებელსაც უწოდებდნენ, შემოღებული იყო მკაცრი რეჟიმი, მეცადინეობისა და დასვენების ცხრილის დარღვევა არავის ეპატიებოდა, სწავლა რუსულ ენაზე იყო, ბავშვები ეუფლებოდნენ იარაღის ხმარებას, ცხენოსნობას, მიმართავდნენ სპორტს.

სალდათის სკოლაში სწავლის პერიოდში ივანემ სრულიად დაივიწყა მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და როცა თელავს დაუბრუნდა, გარუსებულმა ყმაწვილმა ბევრი იწვალა, რომ ქართული ენა ესწავლა. სამხედრო კარიერაზე ფიქრი, რაც მამამისმა ჩაუნერგა, ყაზარმულმა სკოლამ შეაცვლევინა და მტკიცედ გადაწყვიტა, რომ სხვა გზით წასულიყო.

ივ. როსტომაშვილი თვითმომზადებით თბილისის საოსტატო სემინარიაში შევიდა. ეს სასწავლებელი შემდეგ ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. იქ ივანე ეზიარა მოწინავე, პროგრესულ იდეებს.

1874 წელს ივანემ წარმატებით დაამთავრა ინსტიტუტი და სამუშაოდ საინგილოს სოფელ კახში გაამწესეს. იგი თა-

ვიდანვე გატაცებით შეუდგა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებას.

კახის სკოლა მართლმადიდებლობის აღმდგენელმა საზოგადოებამ 1868-1869 წ.წ. დაარსა. სკოლის პირველი მასწავლებელი ყოფილა ვინმე დიაკვანი მიხეილი. იგი მალე სხვაგან გადაუყვანიათ სამუშაოდ და სკოლა ერთხანს უმასწავლებლოდ დარჩენილა. ბატონი ივანე კი რიგით მესამე მასწავლებელი ყოფილა.

კახის სკოლა ოთხწლიანი იყო, მაგრამ პირველ კლასში მისული ყველა მოსწავლე მეოთხე კლასამდე ნაკლებად აღწევდა. მათი მშობლების უმრავლესობა კმაყოფილდებოდა იმით, რომ ბავშვებმა წერა-კითხვა შეისწავლეს და მეტ ცოდნას საჭიროდ აღარ თვლიდნენ. ამ საკითხს გაზეთი „დროებაც" გამოეხმაურა 1877 წელს (№ 27) და კახის სკოლაზე წერდა: „... შკოლაში ყოველ წელს სწავლობს არანაკლებ 60-70 შეგირდი. რვა წლის განმავლობაში ეს სკოლა გვაძლევს ჩვენ მხოლოდ 12-15 კურსდამთავრებულ მოსწავლეს".

სკოლაში ივანეს მისვლისთანავე მხოლოდ 15 მოსწავლე დახვდა, მაგრამ გული არ გასტეხია და მათთან გაკვეთილები ხალისიანად ჩაატარა. მისმა მცდელობამ მალე შედეგი გამოიღო და მოზარდებმა მეზობელი სოფლებიდანაც დაიწყეს სკოლაში სიარული.

საინგილოში მუშაობის დროს, 1876 წელს, ივ. როსტომაშვილმა გამოაქვეყნა სასწავლო სახელმძღვანელო „არითმეტიკული გამოცანები სახალხო სკოლებისათვის და მშობლთათვის"

ივანეს თაოსნობით სკოლა კეთილმოეწყო, გამდიდრდა თვალსაჩინოების მასალებით და იქვე, ეზოში ვარდ-ყვავილები და ხილნარი მცენარეები დაირგო.

რამდენიმე წლის შემდეგ ივ. როსტომაშვილი მაზრის ცენტრში ზაქათალის სკოლაში გადაიყვანეს მასწავლებლად და იქაც გულისხმიერი და დაუზარელი შრომით არა მარტო მოზარდების, არამედ მათი მშობლების სიყვარული დაიმსახურა.

ზაქათალაში დაუახლოვდა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებს და მათთან ერთად ამხელდა უსამართლო ბოროლების თავგასულობას. ამის გამო ივანე სასწავლებელშივე დააპატიმრეს და სასჯელის მოსახდელად გაგზავნეს თბილისში.

მისი დაპატიმრება დედაქალაქში გახმაურდა, ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილის დახმარებით მან თავი დააღწია განსაცდელს.

1880 წელს ივ. როსტომაშვილი სამუშაოდ გადადის თელავში და ინიშნება სამოქალაქო სასწავლებელში მასწავლებლად. მალე წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელშიც აძლევენ გაკვეთილებს.

გულისხმიერმა მასწავლებელმა თელაველი მშრომელების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავა გეგმა, რომ ქალაქში ვაჭრობის საქმე მოწესრიგებულიყო. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით დაარსდა საზოგადოებრივი სავაჭრო, ანუ „დეპო" და თვითონ ჩაუდგა სათავეში.

მალე მისივე თაოსნობითა და ხელმძღვანელობით თელავსა და სოფ. კურდღელაურში ჩამოყალიბდა სახალხო ბანკები, დაარსდა წერა-კითხვის შემსწავლელი საკვირაო სკოლა.

ივ. როსტომაშვილის დიდი ხნის წადილი იყო, რომ თელავში ღარიბი გლეხის გოგონებისათვის სკოლა დაეარსებინა. მაგრამ ამ მიზნის შესრულებაში დაბრკოლებები ეღობებოდა, ბოლოს მაინც დიდი ილიას და დ. ყიფიანის დახმარებით შეძლო 1883 წელს სკოლის გახსნა, რომელიც მალე ისე მოეწყო, რომ გოგონები იქვე იკვებებოდნენ და არც სწავლის გადასახადს იხდიდნენ.

სიძნელეების მიუხედავად სკოლამ ოთხი წელიწადი იარსება და ასზე მეტ გოგონას მისცა ცოდნა-განათლება.

ბატონმა ივანემ ფრთები შეასხა ცოდნამოწყურებული თელაველი ახალგაზრდების წადილს, რომ მშობლიურ ქალაქში ბიბლიოთეკა-წიგნთსაცავი დაეფუძნებინა. ამ საქმესაც სათავეში ჩაუდგა და გაბედულად შეებრძოლა დაბრკოლებებს.

ახლადგახსნილ ბიბლიოთეკას 1884 წელს ივანემ შესწირა ქართულ და რუსულ ენებზე გამოცემული საკუთარი წიგნები.

ივანემ და მისმა მეუღლემ ელისაბედ ჩოლოყაშვილმა სამშობლოს აღუზარდეს შვიდი შვილი. მათ აღზრდილებს ახასიათებდათ შრომისმოყვარეობა, ნებისყოფის სიმტკიცე, კვლევა-ძიების ნიჭი. მათ არაერთხელ ისახელეს თავი მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლაში და სადაც კი უმსახურიათ (თეატრში, საინჟინერო, სამედიცინო თუ პედაგო-

გიურ ასპარეზზე), ცოდნითა და გულმოდგინებით ხალხის სიყვარული მოუხვეჭიათ.

ივ. როსტომაშვილმა რამდენიმე წელი ჯავახეთში (ქ. ახალქალაქში) იმსახურა და იქაც მოკლე დროში, როგორც მასწავლებელმა და საზოგადო მოღვაწემ მშრომელი ხალხის პატივისცემა დაიმსახურა. მრავალჭირნახულ ქართულ მიწაზე ცხენით და ფეხით შემოიარა, დეტალურად აღწერა ნასოფლარ-ნასახლარი, ტაძარ-მონასტერი, ამოიკითხა მრავალრიცხოვანი წარწერა, გადაიღო სიძველეთა ძეგლების ფოტოსურათები და მთელი ეს ძვირფასი მასალა გამოაქვეყნა სამეცნიერო კრებულში.

ბატონმა ივანემ თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მის მიერ შედგენილი საბავშვო ნაწარმოებების სიუჟეტები ცხოვრების სინამდვილიდან არის აღებული, მკითხველს უნერგავს შრომისა და კაცთმოყვარეობის გრძნობას, მისი საბავშვო ნაწარმოებები აღმზრდელობითი ხასიათისაა, ავტორი თავს არ ახვევს ბავშვებს რთულ ამბებს, არც აბეზარებს გადაჭარბებული ჭკუის დარიგებით, ჰყვება ისე საინტერესოდ, რომ მკითხველი ადვილად მიხვდება, თუ რას ასწავლის მწერალი, რა არის მისთვის საყურადღებო.

თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ბატონმა ივანემ ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში; 1901 წელს მისი რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „მოგზაური", რომელიც თემატურად მოიცავდა მეცნიერების სხვადასხვა დარგს, მაგრამ მასში ძირითადად ქვეყნდებოდა შემეცნებითი ხასიათის პოპულარული სტატიები.

„მოგზაური" დახმარებას უწევდა სახალხო განათლების მუშაკებს. მასწავლებლები ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალებს დროდადრო იყენებდნენ გაკვეთილებზე.

1910 წლის დეკემბრიდან ბატონი ივანეს რედაქტორობით გამოვიდა გაზეთი „სინათლე", რომელიც ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ცხოვრებას, გაბედულად ამხელდა ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას და ჩაგრულ ხალხს მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა.

ივ. როსტომაშვილი მასწავლებლებს შთააგონებდა, რომ არ შეშინებოდნენ სიძნელეებს და აღეზარდათ ქვეყნისათვის

ღირსეული თაობა. „მოგზაურის“ 1904 წლის (№ 1-2) ერთ ნომერში ვკითხულობთ: „...აღდეგ და მხნედ შეუდექი შენი მშობლის და მის უმწეო ძეთა ჭეშმარიტ აღზრდას. იყავ თავისუფალ და დამოუკიდებელ, გეყო საუკუნეების მონობა!.. დაუმტკიცე ქვეყანას, რომ მარტო შენ ხარ ნამდვილი და ჭეშმარიტი აღმზრდელი ხალხისა და მის ძეთა. იყავ დღეგრძელ და ნაყოფიერ!“

რედაქტორის ასეთი გაბედული ნათქვამი მთავრობის ბნელი მოხელეების აღელვებას იწვევდა და მას მტრული თვალით უყურებდნენ, მისი ოჯახი რამდენჯერმე გაჩხრიკეს, მაგრამ ბატონ ივანეს გული არ გასტეხია და კვლავინდებურად აგრძელებდა ხალხისათვის საკეთილდღეო მოღვაწეობას.

როგორც ივ. როსტომაშვილის ჟურნალში, ისე გაზეთშიც დროდადრო ქვეყნდებოდა პედაგოგიურ თემაზე საყურადღებო მასალები. პედაგოგი ავტორების ლექსებსა და წერილებში ჟღერდა ჩაგრული ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეა.

ამაგდარმა ივ. როსტომაშვილმა ცხოვრების შინაარსიანი გზა განვლო. იგი სიკვდილამდე დაახლოვებული იყო მშრომელ ხალხთან, განსაკუთრებულ გულისხმიერებას იჩენდა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. თავის პედაგოგიურ და ლიტერატურულ ნაწერებში აქსოვდა სიყვარულს მათ მიმართ.

სოფრომ მგალობლიშვილი

ცნობილი ქართველი მწერლისა და პედაგოგის სოფრომ მგალობლიშვილის მემორიალურმა ავტობიოგრაფიულმა მოთხრობამ „წარსულიდან“, რომელიც 1898-1900 წლებში დაიწერა და ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა, თავისი საინტერესო, შთამაგონებელი შინაარსით მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

მოთხრობის მთავარი გმირის, შაქრო გეგელაშვილის ნაამბობში მკითხველი შეიცნობს ავტორის, სოფრომ მგალობლიშვილის ცხოვრების პირობებს. ნაწარმოებში მრავალ საგულისხმო ცნობას შეხვდებით ძველი სკოლის მუშაობის შესახებ, გაიგებთ, თუ როგორ მკაცრ პირობებში მიმდინარეობდა მოსწავლეთა აღზრდა-განათლება.

მართლაც, ქ. გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ს. მგალობლიშვილი სწავლობდა, პედაგოგიური მეთოდების ნაცვლად იყენებდნენ მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯას, აბუჩად იგდებდნენ მოზარდებს.

პატარა სოფრომმა იმ სასწავლებელში შესვლისთანავე იგრძნო ჯოჯოხეთური პირობები: „კლასში იდგა გნიასი, ყვირილი, ტირილი. იმას როზგს ურტყამდნენ ხელზე ან თავზე. ზოგს თმას აწიწკნიდნენ, ზოგს ყურებსა, — ეს ორი უკანასკნელი სასჯელი უფრო შეღავათიან სასჯელს წარმოადგენდა“.

ს. მგალობლიშვილმა ბავშვობის შთაბეჭდილებები შემდგომში გაამდიდრა ცხოვრების სინამდვილის ამსახველი ახალი ფაქტებითა და ისე წარმოგვიდგინა თავის მოთხრობაში.

ავტორი ზიზღით იხსენიებდა თბილისის სასულიერო სემინარიაში გატარებულ წლებს და სამართლიანად დასცინოდა აღზრდის მახინჯ, არაპედაგოგიურ წესებს, გულისტკივილით იგონებდა არაერთ გულქვა, შეუბრალებელ მასწავლებელს, რომელიც მოსწავლეებს სძულდათ და ახსენებდნენ შერქმეული სახელებით: „ყეყეჩა“, „ქიშმიშა“, „ბურნუთის კოლოფი“ და სხვ. მათგან გამოთაყვანებულ მოზარდებს კი ვაი პედაგოგები ეძახდნენ: „თხის ტვინას“, „თხუნელას“, „ყვინჩილას“ და ა. შ.

სწავლა-აღზრდა სასულიერო სემინარიაში არ იყო პედაგოგიურ პრინციპებზე დამყარებული. რამდენიმე მასწავლებლის გარდა, რომლებიც მომზადებულები შედიოდნენ გაკვეთილებზე და გულისხმიერებას იჩენდნენ მოზარდებისადმი, უმრავლესობას ჩაკლული ჰქონდა კეთილშობილური გრძნობები და უსაზღვრო სისასტიკით იქცეოდა.

თავის მოგონების წიგნში ს. მგალობლიშვილი პატივისცემით იხსენიებს იმ მასწავლებლებს, რომლებიც კეთილისმყოფელ გავლენას ახდენდნენ მოსწავლეებზე, ესენი იყვნენ: თომა ტურიაშვილი, გიორგი იოსელიანი, ნიკოლოზ ცხვედაძე და სხვ. მათი კეთილშობილური რჩევა-დარიგება და მზრუნველობა მოსწავლეებს იმედიან განწყობილებას უქმნიდა.

ს. მგალობლიშვილმა მწერლობა ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაიწყო, მან დიდი მონდომებითა და ინტერესით თარგმნა შილერის „ორლიანელი ქალწული“ და როხელის „სიკვდილით დასასჯელის უკანასკნელი დღეები“. მისი თარგმანები სემინარიელმა მეგობრებმა მოიწონეს და უწინასწარმეტყველეს სამწერლო სარბიელზე კარგი მომავალი. მეგობრების ქებით წახალისებულმა სოფრომმა დაიწყო თანამშრომლობა „დროებასა“ და „მნათობში“, შემდეგ კი მრავალ გამოცემათა მონაწილე გახდა.

სემინარიაში სწავლის დროს ს. მგალობლიშვილმა ხელნაწერ ჟურნალში გამოაქვეყნა მოთხრობა „რა მიზეზია?“ რომელიც შემდეგ საგულდაგულოდ გადაამუშავა და მისგან შექმნა ნაწარმოები „დედა მაია“. იმავე მოთხრობამ უბიძგა „ღამის მეხრე ცეცოს“ დასაწერადაც. ამ ნაწარმოებების გამოქვეყნების შემდეგ მან უფრო ინტენსიურად მოჰკიდა ხელი კალამს და ქართული ლიტერატურა დაამშვენა ისეთი საინტერესო ქმნილებებით, როგორიცაა: „საფლავში ჩამომძახე“, „პირველი სისხლი“, „ჯორზაქარა“ და სხვ. რომლებშიც ნათელი ფერებით არის გამოხატული ავტორის მებრძოლი სულისკვეთება.

ს. მგალობლიშვილმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ქართული საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში, მისი ნაწარმოებები: „ყაყიტას ქურდი“, „თინას გიშერა“, „საყმაწვილო მოგონებანი“ და სხვა, ახლაც ჩვენი მოზარდების საყვარელი ნაწარმოებებია.

სასულიერო სემინარიის დამთავრებისთანავე ს. მგალო-

ბლიშვილი გამწესდა მასწავლებლად გორში. ამ ქალაქში იმ-ხანად მძლავრი იყო ხალხისნური მოძრაობა, რომელშიც სო-ფრომიც ჩაება და მასწავლებლობის წლებში გარკვეული რე-პრესიებიც განიცადა.

ს. მგალობლიშვილი გორის სასულიერო სასწავლებელში ასწავლიდა ქართულსა და რუსულ ენებს. სამწუხაროდ, იმ დროს სხვა საგნებისგან განსხვავებით ქართული ენა სავალდე-ბულო საგანი არ ყოფილა და ბუნებრივია, მასწავლებელი მის სწავლებაში გასამრჯელოსაც არ მიიღებდა. ამიტომ იყო, ამ საგანს წლების განმავლობაში ან სულ არ ასწავლიდნენ, ან-და გადასცემდნენ უინტერესოდ, ძალზე სქემატურად. სოფ-რომი ამის შესახებ ნაღვლიანად წერდა: „ქართული მიგდებ-ული იყო, იგი ნაბოლარა ბავშვივით იყო ათვალისწინებული“.

თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის პირველ პერიოდს ასე იხსენებს ს. მგალობლიშვილი: „სასწავლებელში ქართუ-ლი ენის რვა გაკვეთილი იყო, ამისათვის ხაზინიდან არ იყო დაგეგმილი ფული და მასწავლებელი ეგრე რიგად ქართული ენის სწავლებით თავს არ იტკიებდა. მე უსასყიდლოდ ვიკის-რე სწავლება. ეს გარემოება ჩემთვის ძალიან ხელსაყრელი იყო: ქართულით მოსწავლეებს დავაინტერესებდი და ნელნელა შევიტანდი ახალგაზრდებში, როგორც მამულიშვილურს, ისე კიდევ ახალი მიმართულების აზრებს“.

ს. მგალობლიშვილმა მოკლე დროში მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა შექმნა, რომელიც ძირითადად ქართული წიგ-ნებით იყო დამშვენებული, გამოწერილი ჰქონდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები, რომელსაც სისტემატურად კინძავდა და ინახავდა. იგი დაინტერესებულ მოსწავლეებს უფლებას აძლე-ვდა, ესარგებლათ მისი ბიბლიოთეკით. მოზარდს, რომელიც მისი ბიბლიოთეკიდან გარკვეული დროით წიგნს გაიტანდა, მასწავლებელი უყურადღებოდ არ ტოვებდა, ეკითხებოდა ნა-წარმოების შინაარსს, რომელიც უკეთესად უამბობდა, აქებდა, ბეჯითს უწოდებდა. მის ქებას მოწაფეები აფასებდნენ. ასეთი გზით მასწავლებელმა თავის აღსაზრდელებს გაუცხოველა ინ-ტერესი მშობლიური ენისადმი.

იმ სასწავლო წელს, გამოცდების ჩაბარების დროს, ყვე-ლა გააკვირვა ქართულ ენაში მოსწავლეთა მომზადებამ, საგნის საფუძვლიანმა ცოდნამ, რაც ს. მგალობლიშვილის დი-

დი დამსახურება იყო. პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლებმა მიმართეს სასწავლებლის დირექტორს, რომ ქართული ენის მასწავლებელს ჯამაგირი მისცემოდა. ამ საქმეში ჩაერია ქალაქის სამღვდელოებაც. კრებაზე დაადგინეს, რომ მშობლიური ენის მაღალხარისხოვანი სწავლებისათვის ს. მგალობლიშვილს უსათუოდ გასამრჯელო მიეღო. მათი თხოვნა იმდენად გულწრფელი და ოფიციალური იყო, რომ დირექციამ თანხმობა განაცხადა, ს. მგალობლიშვილს ხელფასი მიეღო, ვიდრე იგი სასულიერო სასწავლებელში იმსახურებდა.

ამგვარად, მასწავლებელს შრომა დაუფასდა, ქართული ენა სავალდებულო საგანთა გეგმაში შეიტანეს. ამის შემდეგ ს. მგალობლიშვილმა რუსული ენის სწავლებაზე ხელი აიღო და მხოლოდ მშობლიური ენის გაკვეთილების გადაცემით დაკმაყოფილდა. მასწავლებელს განსაკუთრებით სიამოვნებდა ის ფაქტი, რომ არაქართველი მოზარდებიც ეუფლებოდნენ მის საგანს და დავალებებს კარგად ასრულებდნენ.

ს. მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით სასწავლებელში დაიწყო ხელნაწერი ქართული ჟურნალის გამოცემა, რამაც უფროსკლასელ მოსწავლეთა დიდი ნაწილი დააინტერესა.

ბატონი სოფრომი, როგორც ენერგიული მასწავლებელი, ავტორიტეტით სარგებლობდა, რაშიც ხელს უწყობდა გულმოდგინე შრომა მშობლიური ენის მაღალხარისხოვან სწავლებაში და სამართლიანი ბრძოლა უხეში რეჟიმისა და დრომოჭმული, კონსერვატორული მეთოდების წინააღმდეგ.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ს. მგალობლიშვილი აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პრესაში და აქაც მის ნაყოფიერ შრომას არა მარტო გორში, არამედ მთელ საქართველოში ბევრი დამფასებელი ჰყავდა.

როგორც ცნობილია, 1886 წლის იანვრიდან ილია ჭავჭავაძემ თავისი ჟურნალი „ივერია“ ყოველდღიურ გაზეთად გადააკეთა და გამოცდილ კალმოსნებთან ერთად სოფრომსაც სოხოვა თანამშრომლობა. დიდი ილიას თხოვნა სოფრომმა სიამოვნებით მიიღო. იმავე წლის ზაფხულის დამდეგს, მოწაფეების დათხოვნისთანავე, ის ჩავიდა თბილისში, გამოცხადდა „ივერიის“ რედაქციაში და შეხვდა მის რედაქტორს, რომელმაც გულთბილად მიიღო, ახლობლურად ესაუბრა. მალე მან რედაქციაში დაიწყო მუშაობა, სექტემბრის თვიდან

კი გაზეთის კორესპონდენტობა იკისრა და მერე ისევ დაბრუნდა თავის საყვარელ სასწავლებელში.

ს. მგალობლიშვილი დღენიადაგ მოსწავლეებთან ახლოს ტრიალებდა, იზიარებდა მათ ჭირ-ვარამს, ამხნევებდა მოზარდებს, რომ სწავლის პერიოდში სიძნელეებთან ქედი არ მოეხარათ, საფუძვლიანი ცოდნა მიეღოთ, რომ ცხოვრების პიროზები გაეუმჯობესებინათ. სოფრომ მასწავლებელმა არაერთი გზასაცდენილი მოზარდი გამოასწორა და სასარგებლო კაცად აქცია. მისი კოლეგებისთვის ცნობილი იყო, რომ სოფრომი მოსწავლეს, თუ ხიჭსა და უნარს შეამჩნევდა, მას ყოველმხრივ ხელს უწყობდა, მატერიალურად ეხმარებოდა.

მასწავლებელს ჩვევად ჰქონდა, რომ თუკი რომელიმე მოსწავლე წესრიგს დაარღვევდა, მას ცალკე გამოიძახებდა, ყოველგვარი ხმაურის გარეშე არიგებდა, აგრძნობინებდა, რომ ის უდისციპლინობით არცხვენდა არა მარტო სასწავლებელს, არამედ ოჯახსაც. წესრიგის დამრღვევებს ასე მიმართავდა: შვილებო, მეცოდებით, სასწავლებლიდან რომ დაგითხოვენ, მაშინ ხომ მთლად გაუბედურდებით და დაიღუპებითო.

ს. მგალობლიშვილისათვის თავიდანვე ცნობილი იყო, რომ გაუნათლებლობის ტყვეობაში ყოფნა უფრო აუტანელს ხდიდა ცხოვრებას და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ხშირად გლეხებთან საუბრის დროს ამ საკითხზეც ამახვილებდა ყურადღებას.

სოფრომ მასწავლებლის თაოსნობით გორის სასულიერო სასწავლებლის პროგრესულად მოაზროვნე მასწავლებლებმა გადაწყვიტეს, რომ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ქალაქში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის აღორძინებაში, რისთვისაც მიზნად დაისახეს, გაემართათ იაფფასიანი სახალხო წარმოდგენები, გამოევლინათ მომღერლები და მოცეკვავეები, შეეკრიბათ ხალხური თქმულებები... იმხანად სოფრომმა დაწერა საინტერესო სტატია განთქმულ ლოტბარ ლადო აღნიაშვილზე, რომლის მომღერალთა გუნდის გამოსვლა საზოგადოებაში პოპულარობით სარგებლობდა. სტატიის ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლას, მის გამომზიურებას.

უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ გორში თეატრის დაარსება ს. მგალობლიშვილის სახელთან არის დაკავ-

შირებული. ამ მნიშვნელოვანი კულტურის კერის დაფუძნებას იგი ასე გადმოგვცემს: „კვეხნაში ნუ ჩამომართმევთ და გორში პროვინციული თეატრი ჩემი დაარსებულია. ეს აზრი მე გავუზიარე აღალო თუთაევს და ნიკო დიასამიძეს, ისინი საზოგადოებრივ საქმეში ერეოდნენ, შეძლებაც ხელს უწყობდათ. ღვთის წინაშე, მაზრის უფროსი რევაზ ერისთავი — ძველი „ცისკრის“ თანამშრომელიც დაგვეხმარა. ქალაქის ბაღში იდგა ხის მრგვალი შენობა, ირგვლივ ბალკონებით, ეს იყო სატანცაოდ აშენებული, გადმოგვცეს ჩვენ: მე, დიასამიძესა და თუთაევს. დავიწყეთ წარმოდგენების მართვა...“

წარმოდგენისათვის პიესის შერჩევაში სოფრომი აქტიურად მონაწილეობდა. მალე მაყურებელმა სცენაზე იხილა ილია ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილი“, ჭრიაშვილის როლს თვითონ სოფრომი ასრულებდა.

გორის გარდა წარმოდგენები იმართებოდა მაზრის სოფლებშიც.

ს. მგალობლიშვილი გორში დარჩა 1893 წლამდე. იგი არც იმის შემდეგ ფიქრობდა, რომ მიეტოვებინა პედაგოგიური სარბიელი და მშობლიური ქალაქი, რომლის კეთილდღეობაზე მუდამ ზრუნავდა, მაგრამ პოლიციის მუდმივმა მეთვალყურეობამ და უფრო მკაცრი რეპრესიების მოლოდინმა აიძულა, რომ შორს წასულიყო. გადავიდა სამუშაოდ ქ. ფოთში, სადაც მან გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამმართველოს მდივნის თანამდებობა მიიღო.

სოფრომმა ზღვისპირა ქალაქში ოთხი წელი გაატარა, შემდეგ კი საბოლოოდ თბილისში დამკვიდრდა.

ღვაწლმოსილმა სოფრომმა პედაგოგიურ ასპარეზზე თითქმის ორი ათეული წელი იღვაწა და ნაყოფიერი შრომით მარტო აღსაზრდელების კი არა, კულტურული საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა, შემდეგ კი, სკოლაში, მართალია, აღარ უმუშავია, მაგრამ სადაც არ უნდა ყოფილიყო, მოზარდებს ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდა. მან არაერთ ახალგაზრდას ჩაუნერგა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, გაუკვლია ცხოვრების გზა და თავისი ხალხისადმი უანგარო სამსახურს შეაჩვია. ამიტომ არის, რომ მადლიერი თაობის ხსოვნაში მისი სახელი დღესაც კეთილმოსაგონარია.

ეკატერინე გაბაშვილი

ეკატერინე გაბაშვილმა ქართული ლიტერატურის ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა. მისი ნაწარმოებები ნათელი ფერებით ასახავს მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობებს, გაბედულად ამხელს ქვეყნად გამეფებულ უსამართლობას, არ ფარავს დრომოჭმულ წეს-ჩვეულებებს, პირმოთნეობასა და სიყალბეს. მისი შემოქმედება ბედდაჩაგრული ადამიანების სიყვარულის სათუთი გრძნობით არის გასხიოსნებული.

იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარს“ მრავალი წლის განმავლობაში ამშვენებდა ქალბატონი ეკატერინეს საინტერესო მოთხრობები „მაგდანას ლურჯა“ და „ჩვენი კაკლის ხე“. უთუოდ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მწერალი ქალი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალებში, იგი სიკვდილამდე იყო ჟურნალი „ოქტომბრელის“ (ახლა „დილას“) სარედაქციო კოლეგიის წევრი.

ეკ. გაბაშვილი არა მარტო კალმით, არამედ პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობითაც ემსახურებოდა სამშობლოს, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების კეთილშობილურ საქმეში.

ჯერ კიდევ ცხოვრების ფართო გზაზე გასვლამდე ქალბატონმა ეკატერინემ თავისი მისწრაფება ასე დაახასიათა: „ჩემი ბუნება მოითხოვდა ამგვარად მუშაობას, სადაც უნდა ვყოფილიყავი და რა მდგომარეობაშიც უნდა ვყოფილიყავი, უსათუოდ ვასწავლიდი ვისმეს, ჩავაგონებდი წერა-კითხვის ცოდნის დიდ მნიშვნელობას“.

ეკატერინე სიამოვნებით იხსენებდა თავის ყოფილ მასწავლებლს ნიკო ინაშვილს, რომლის აზრით, ქალი მომავლის ქვაკუთხედია. ქალმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოსო. ინაშვილის შეგონება მუდამ თან სდევდა და ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლისკენ მოუწოდებდა.

ეკ. გაბაშვილს მასწავლებლობა იმიტომ კი არ იტაცებდა, რომ ის ქალისთვის ერთადერთი სამოღვაწეო ასპარეზი იყო, არამედ წერა-კითხვის გავრცელება უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორად მიაჩნდა მშრომელი ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის.

იმხანად გორი პროვინციული ქალაქი იყო, სწავლა-განათლება ძალზე ჩამორჩენილ დონეზე იდგა. განსაკუთრებით ცუდად იყო დაყენებული ქალთა განათლების საქმე. რაკი ქალაქში არ არსებობდა ქალთა სასწავლებელი, ვისაც კი საშუალება ჰქონდა, გოგონებს „შინაურულად", ოჯახში კერძო პირთან ასწავლიდა წერა-კითხვას. კერძო მასწავლებლების უმეტესობას კი სასწავლო სახელმძღვანელოები არ ჰქონდა და მის ნაცვლად საეკლესიო წიგნებს, ან სხვა ლიტერატურას იყენებდა.

იმ დროს, როცა განათლებული თავადის ქალების უმრავლესობა ფუქსავატ ცხოვრებას ეწეოდა, თვითონაც თავადის ქალს ეკატერინეს, სხვებისგან განსხვავებით, ხალხის განათლება ღირსების საქმედ მიაჩნდა.

ჯერ კიდევ სკოლაში, მასწავლებლად მუშაობის დაწყებამდე, ეკატერინე ქ. გორში დაინტერესებულ ახალგაზრდებს ზოგს წერა-კითხვას ასწავლიდა, ზოგსაც ინსტიტუტში შესასვლელად ამზადებდა. მოზარდებს ასწავლიდა დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის მიერ ნაჩუქარი სახელმძღვანელოებით და იმ მეთოდით, რომელიც ბატონ იაკობს ჰქონდა შემოღებული.

გორის ცოდნამოწყურებულმა საზოგადოებამ ეკ. გაბაშვილს დეპუტაცია აახლა და თხოვა, რომ გაეხსნა ქალთა პირველდაწყებითი სკოლა, რასაც მწერალი ქალი სიამოვნებით დათანხმდა და მაშინვე შეუდგა ქალაქში სასწავლო ასაკის გოგონების აღრიცხვას.

გასული საუკუნის 70-იან წლებში გორის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი პერიოდი იყო, დაინთო ცოდნის ჩირაღდანი, რომელსაც მცოდნე და გულისხმიერი ახალგედა მასწავლებელი, ქალბატონი ეკატერინე ჩაუდგა სათავეში.

ქალთა სამრევლო სკოლა გაიხსნა ყოვლად წმინდის სახელობის სომხური ეკლესიის გალავანში. სკოლის სამეცადინო ოთახები ძალზე ღარიბულად გამოიყურებოდა. მერხების

ნაცვლად უბრალო გრძელი სკამები იდგა, დაფის მოვალეობას ასრულებდა უხეში შავად შეღებილი ფიცარი... ეკატერინემ სასწავლო ნივთები და წიგნები თბილისიდან გამოიწერა და თანდათანობით მოსწავლეთა რიცხვი იმდენად გაზარდა, რომ სკოლაში ორმოცამდე გოგონა გააერთიანა. ქართველ მოზარდებთან ერთად სწავლობდნენ სომეხი და ოსი ბავშვებიც.

სასწავლო წლის ბოლოს სკოლის მუშაობა შეამოწმა ცნობილმა მოღვაწემ პეტრე უმიკაშვილმა, რომელიც მოსწავლეთა დამაკმაყოფილებელი პასუხებით კმაყოფილი დარჩა და უანგარო შრომისათვის მასწავლებელს მადლობა გამოუცხადა, პატივისცემის ნიშნად სამახსოვროდ გადასცა ახლადგამოცემული „ვისრამიანი“.

როგორც ცნობილია, 1870-1872 წლებში დაიწყო სოფლებში სახალხო სკოლების გახსნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ხალხის ნაწილი გულგრილად უყურებდა ცოდნის კერას, განათლებისადმი არ იჩენდა ინტერესს. ეს კი ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ ხმა იყო დარხეული, ვინც სკოლაში ისწავლის, მას აუცილებლად სალდათად წაიყვანენო. იმხანად კი სალდათობა აუტანელი იყო.

ქალბატონი ეკატერინე დადიოდა ოჯახიდან ოჯახში, ეთათბირებოდა ხალხს, რომ არ აჰყოლოდნენ ჭორებს და შვილები სკოლაში გაეგზავნათ.

სკოლისადმი ხალხის დამოკიდებულება საინტერესო ფაქტების მოშველიებით დაასურათა მოთხრობაში „გლეხკაცის აზრი სოფლის სკოლაზე“.

როცა ჩვენი ერის დიდი მოჭირნახულეების ილიასა და იაკობ გოგებაშვილის თაოსნობით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა, ქალბატონი ეკატერინე მაშინვე გამგეობის წევრად აირჩიეს და ისიც ჩვეული გატაცებით შეუდგა შრომას, რითაც გამგეობის ხელმძღვანელების ყურადღება მიიქცია. იმ ხანებშივე მან აქტიური მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში.

ეკ. გაბაშვილი პრესაში დროდადრო აქვეყნებდა წერილებს სახალხო განათლების საკითხებზე. მას განსაკუთრებით აწუხებდა აჭარელ ქალთა უმწეო მდგომარეობა და დაბეჯითე-

ბით მოითხოვდა მათთვის ადგილზე კვალიფიციური მასწავ-
ლებლების გაგზავნას.

გულისხმიერი მწერალი და მასწავლებელი სწავლას სა-
მკაულად თვლიდა და დღენიადაგ იღვწოდა ხალხის განათლე-
ბისათვისა და სოფლის კულტურული დონის ამაღლებისათ-
ვის. იგი წერდა პიესებს და სპექტაკლებს დგამდა გორში, ახა-
ლქალაქში და სურამში. სანახაობიდან აღებულ შემოსავალს
კი საქველმოქმედო მიზნით იყენებდა.

ქალბატონი ეკატერინე დროდადრო მოგზაურობდა ქარ-
თლის რაიონის სოფლებში, დიდი ინტერესით ეცნობოდა გლე-
ხების ცხოვრების პირობებს, ნახულობდა სკოლებს და მას-
წავლებლებს ეთათბირებოდა თუ როგორ უფრო უკეთესად
მოეწყოთ ბავშვთა აღზრდა-განათლება. მისი რჩევა-დარიგე-
ბა მუდამ მიზნობრივი იყო.

1895 წელს ეკ. გაბაშვილმა ილია ჭავჭავაძისა და იაკობ
გოგებაშვილის დახმარებით თბილისში გახსნა ქალთა ჭრა-
კერვის სკოლა. ეს იყო ერთ-ერთი პროფესიული სასწავლე-
ბელი ჩვენს დედაქალაქში, სადაც სპეციალური საგნის (ჭრა-
კერვის) გარდა ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სა-
გნებიც, დაწყებითი სკოლის სასწავლო გეგმისა და პროგრამის
მიხედვით.

სწავლა უფასო იყო. მის საარსებო წყაროს შეადგენდა
ქველმოქმედთა შემოწირულობანი და მოსწავლეთა ნამუშევ-
რების რეალიზაციის გზით შემოსული თანხები.

სკოლასთან არსებობდა გამგეობა, რომელშიც გაერთია-
ნებული იყვნენ არა მარტო საგნის მასწავლებლები, არამედ
კეთილგონიერი მოამაგეებიც. გამგეობის შემადგენლობაში
შედიოდნენ ცნობილი ადამიანები: ოლღა გურამიშვილი (ილია
ჭავჭავაძის მეუღლე), ოლღა ბეჟანიშვილი (ილია აღლაძის მე-
უღლე), ეკატერინე სარაჯიშვილი (დავით სარაჯიშვილის მე-
უღლე), ნ. მაჭავარიანი და სხვები.

ქალბატონი ოლღა გურამიშვილი დროდადრო აწყობდა
ლატარია-ალეგრებს და მის შემოსავალს ახმარდა გოგონების
აღზრდას.

ეკ. გაბაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა
გოგონების მაღალიდეურ აღზრდას, რომ თითოეული მათგა-
ნი შემდეგ ოჯახში სამაგალითო დიასახლისი დამდგარიყო.

სკოლადამთავრებულებს, ვისაც კი საშუალება ჰქონდა, რომ სწავლა გაეგრძელებინა, იქაც თვალსაჩინო იყო ქალბატონი ეკატერინეს დახმარება.

ჭრა-კერვის სასწავლებელი ხუთწლიანი იყო და მას ოცდახუთი წლის განმავლობაში ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა ქალბატონი ეკატერინე.

დიდი ილია კარგად იცნობდა სკოლის მუშაობას, აფასებდა ეკატერინეს შრომისმოყვარეობას და სამშობლოს მოჭირნახულად თვლიდა. ეკ. გაბაშვილის ღვაწლს ყოველთვის პატივისცემით იხსენებდნენ მცხეთელი რძლები: დარო და პელო მრევლიშვილები, რომლებიც ხელფასის აუნაზღაურებლად მასწავლებლობდნენ და მშობლიურ მცხეთაშიც საზოგადოების ყურადღებას იქცევდნენ. ბევრმა მცხეთელმა გოგონამ მათგან ისწავლა ჭრა-კერვა, ქარგვა, დიასახლისობა, სადილის მომზადება, სუფრის წარმართვა...

ჭრა-კერვის სკოლადამთავრებული გოგონების მნიშვნელოვანი ნაწილი დაოჯახების შემდეგაც არ ივიწყებდნენ ქალბატონ ეკატერინეს, დროდადრო ნახულობდნენ მას და ზოგჯერ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით რჩევასაც თხოვდნენ. მრავალშვილიანი ეკატერინეც გულთბილად ხვდებოდა თავის აღზრდილებს და როგორც მზრუნველი დედა, უპასუხოდ არავის ტოვებდა.

ღრმად მოხუცებულობის დროსაც თავს ევლებოდა ბავშვებს; ასწავლიდა, რჩევა-დარიგებას აძლევდა და უნერგავდა სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია იყო გამოჩენილი ქართველი მწერლების ილიასა და აკაკის ლიტერატურული ტრადიციის სახელოვანი გამგრძელებელი.

მწერალი-მასწავლებელი ქალბატონი ანასტასია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გვერდში ედგა ქართველ ხალხს და თავისი ნაწარმოებებით ქვეყნად გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის კეთილშობილურ გრძნობას უნერგავდა მკითხველებს.

ანასტასია გორის ქალთა პროგიმნაზიაში სწავლობდა, სადაც მას ქართულ ენას ასწავლიდა ჯერ ცნობილი ხალხოსანი მიხეილ ყიფიანი, ხოლო მისი გადასახლების შემდეგ კი ცნობილი მწერალი ნიკო ლომოური. მათ შეაყვარეს ცოდნამოწყურებულ გოგონას ქართველი მწერლები.

პროგიმნაზიის დამთავრების შემდეგ ანასტასია უბრუნდება თავის საყვარელ სოფელ ფცას, უახლოვდება მშრომელ გლეხებს, რომლებიც სიღატაკეში ცხოვრობდნენ და მათი ჭირ-ვარამის მოზიარე ხდება. იქვე განეწყო ღრმა სიძულვილით უსამართლობის წინააღმდეგ.

სოფელში გაბედულად იწყებს ზრუნვას მოზარდი თაობის განათლებისათვის, თავს უყრის ბავშვებს და სრულიად უანგაროდ ასწავლის მათ წერა-კითხვას და ქართულ ლიტერატურას. ბავშვების გარდა სწავლაში ჩააბა უუფლებო გლეხის ქალები. თავის მოსწავლეებს პირველ რიგში გააცნო ილიასა და აკაკის ლექსები, რომელთა ნაწილი ზეპირადაც შეასწავლა.

ანასტასიას პირველი ლიტერატურული ნაწარმოები „ბესო“, რომელიც რუსული ენიდან იყო თარგმნილი, დაიბეჭდა 1885 წელს. მის პირველ ნაბიჯს მალე მწერლის ორიგინალური ნაწარმოებებიც მოჰყვა და მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

1893 წელს სოფელ ფცას ესტუმრა გამოჩენილი პოეტი აკაკი წერეთელი, რომელსაც ახალბედა მწერალი-მასწავლებელი მოწიწებითა და სიყვარულით შეხვდა. პოეტს თავისი

მოსწავლეებიც წარუდგინა. ბავშვები მოკრძალებით ჩამწკრივდნენ ძია აკაკის წინ. მალე მან თვითონ გამოიყვანა მორცხვობის მდგომარეობიდან, გაუცინა, ყველას სათითაოდ ხელი ჩამოართვა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ყოფილიყვნენ. ასეთმა მიდგომამ პატარები გაახალისა და გაათამამა.

— ლექსები იცით? — ჰკითხა პოეტმა და გადახედა შეკრებილებს.

— დიახ, ვიცით... ერთხმად წამოიძახა რამდენიმემ და სანამ რომელიმე პატარა ლექსის თქმას დაიწყებდა, აკაკიმ ღიმილით წამოიწყო:

„ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო
ჩემო...“

აქ პოეტმა განგებ წაიბორძიკა და რამდენიმე წუთის შემდეგ თქვა:

— დამავიწყდა... მოიცათ... მომაგონეთ...

ბავშვები გაოცდნენ, უთუოდ იფიქრეს, ამისთანა კარგი ლექსი როგორ უნდა დაავიწყდეს დიდ მგოსანსო, შემდეგ კი მორცხვად სიტყვა მიაწოდეს, რასაც პოეტის სიცილი მოჰყვა და მან ბოლომდე ლექსი წაიკითხა, მერე მან პატარები სათითაოდ გადაკოცნა. ამის შემდეგ ბავშვები თითქოს ერთმანეთს შეეჯიბრნენ, რომ მგოსნისათვის ეჩვენებინათ, რამდენი ლექსები იცოდნენ მათ.

გამოთხოვების დროს აკაკიმ კვლავ ჩამოართო ხელი პატარებს, უსურვა კარგი მომავალი, ბეჯითი სწავლით ესახელებინოთ სამშობლო. მათ გულისხმიერ მასწავლებელსაც თავაზიანად გამოეთხოვა. აკაკიმ თან წაიღო ანასტასიას ახლადდაწერილი მოთხრობა „ბატონებმა არ დაიწუნეს“, რომელიც მალე დაიბეჭდა ჟურნალ „კვალში“. ამას მოჰყვა მწერლის სხვა მოთხრობებიც, როგორიცაა „ლაზარემ გადააჭარბა“, „კერა“, „დედები“ და სხვ.

1897 წელს ანასტასია ცოლად გაჰყვა პოეტ დუტუ მეგრელს (დიმიტრი თომას ძე ხოშტარიას) და მის გვარს ქმრის გვარიც მიემატა.

1910 წელს ანასტასია ერისთავ-ხოშტარია საცხოვრებლად გადადის ქ. გორში. იქ მან თავისი ინიციატივით დააარსა

ქართველ ქალთა საზოგადოება „მანდილოსანი“. იმ საზოგადოების მოვალეობა იყო მორალური და ნივთიერი დახმარება გაეწია გაჭირვებული ქალებისათვის. მან თავის დროზე დიდი როლი ითამაშა ქართველ ქალთა განათლება-გათვითცნობიერების საქმეში. „მანდილოსნის“ პირველმა წარმატებამ გააცხარა და აღაფრთოვანა საზოგადოება, რომელიც ემყარებოდა საუკუნოებრივ ოცნებას, თანასწორობასა და ერთუფლებიანობას.

აქ ყველას ერთნაირი ღირსება ენიჭებოდა, ერთგვარი ძალის გადამწყვეტი ხმა ჰქონდა მოსარეცხე ქალიდან დაწყებული ქალბატონამდის. ერთნაირი ღირსება ჰქონდათ და ერთსულოვნად შეებნენ საქმეში და მალე გახსნეს უფასო სკოლები, საზოგადოებრივი საკრებულოები, მომზადდა ყველაფერი გორში უფასო სამშობიარო სახლის გასახსნელად. მალე გაკეთდა ყველაფერი და მალეც დაიშალნენ. ერთსულოვნად აჰყვნენ ერთმანეთს და სამწუხაროდ, უთანხმოებაც ჩამოვარდა ამ საზოგადოების სულისჩამდგმელის ანასტასიას წინააღმდეგ. მოწინააღმდეგეები: სარეცხის მრეცხავები, ხაშის მხარშველი ქალები და სხვები, ვერ ხედავდნენ მწერლის სიკეთეს და მის მიმართ მწარე სიტყვები უმადურობამ გამოათქმევინათ.

ცხოვრების ბოლო წლები ქალბატონმა ანასტასიამ დედაქალაქში გაატარა, სადაც დროდადრო ხვდებოდა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს, რომელთა შორის განსაკუთრებით უყვარდა საუბარი მწერლებთან და მასწავლებლებთან, ვინ მოთვლის, რამდენ პედაგოგს მისცა რჩევა-დარიგება მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების კეთილშობილურ საქმეში.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას სახელი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართულ კლასიკურ მწერლობასთან. ცნობილი რომანების: „მოლიპული გზისა“ და „ბედის ტრიალის“ ავტორი მუდამ დარჩება ქართულ ლიტერატურაში, როგორც ნიჭიერი ოსტატი, მრავალი დიდი თუ პატარა, თანადროული ცხოვრების ამსახველი.

ილია რუხაძე

ილია ზოსიმეს ძე რუხაძე თითქმის ერთდროულად გამოვიდა სამწერლო და პედაგოგიურ ასპარეზზე. ჯერ კიდევ ახალგზედა კალმოსანი 1902 წლიდან იწყებს თანამშრომლობას ქართულ ჟურნალ-გაზეთებში „რუ-ილის“ ფსევდონიმით. მისი ნაწარმოებები, რომელიც ქვეყნდებოდა: „კვალში“, „ერში“, „ნაკადულში“ და სხვა ორგანოებში, ეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა საკითხებს, განსაკუთრებით კი მშრომელი გლეხების აუტანელ პირობებს. ბატონ ილიას სულ გამოქვეყნებული აქვს 32 მოთხრობა.

აღსანიშნავი ფაქტია ისიც, რომ ი. რუხაძე 1882 წლიდან მშობლიურ ხონში ვ. ბალანჩივაძის ხელმძღვანელობით ჩაება თეატრალურ ხელოვნებაში და მალე სხვებთან ერთად საძირკველი ჩაუყარა ხონის მუდმივმოქმედ სცენას.

გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემდეგ, 1903 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში: სენაკში, დუშეთში, საგურამოში და კავკავში.

სენაკის ორკლასიან სკოლაში ბატონი ილია პირველი მასწავლებელი არ ყოფილა და იქ მისვლისთანავე გაითვალისწინა წინამორბედი პედაგოგის შრომა და გულმოდგინედ შეუდგა მუშაობას. თავიდანვე იგრძნობოდა, რომ მას უყვარდა ბავშვები, ეხმატკბილებოდა პატარებს და ისინიც გულისხმიერ აღმზრდელს უჯერებდნენ, უყოყმანოდ ასრულებდნენ მის დავალებას. ბატონმა ილიამ, როგორც კი საშუალება ჰქონდა, შეაკეთა საკლასო ოთახი და რამდენადმე გაზარდა მოსწავლეთა რიცხვი.

ი. რუხაძე სენაკიდან, მეგობრების რჩევით, დუშეთში გადავიდა სამუშაოდ. მას იქ უკვე დიდიხნის და უფრო მოზრდილი სკოლა დახვდა, სადაც მოსწავლეები ექვს თუ შვიდ კლასამდე სწავლობდნენ. მან კი პირველ და მეორე კლასებში დაიწყო მასწავლებლობა და იქაც დაუზარელი შრომითა და

პატარებისადმი გულისხმიერი მიდგომით, სიყვარული დაიმსახურა.

დუშეთში ცხოვრება გაუჭირდა მასწავლებელს, მან რამდენგანვე დაქირავებული ბინა გამოიცვალა, რომლის ღირებულებაც საკმაოდ ძვირი იყო და ორი წლის შემდეგ დედაქალაქში გადავიდა სამუშაოდ, მაგრამ იქ იოლად ვერ იშოვა სამსახური.

საგურამოში ილია ჭავჭავაძისეული ლამაზი სამსართულიანი სახლი, რომელიც ათეული წლების განმავლობაში ქართული აზროვნების ნამდვილი შტაბი იყო, სადაც თავს იყრიდნენ ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების წამყვანი ძალები და ხალხის უკეთესი მერმისისათვის იღვწოდნენ, დიდი ილიას სიკვდილის შემდეგ დადუმდა.

ქვრივმა ოლღა გურამიშვილმა-ჭავჭავაძემ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას სთხოვა, რომ საგურამოში, სადაც მრავალი წლის განმავლობაში იღვწოდა დიდი მწერალი, გახსნილიყო ილიას სახელობის სკოლა. საზოგადოებამ ეს კეთილშობილური სურვილი სიამოვნებით დააკმაყოფილა.

მალე წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომლითაც იწვევდა მსურველს საგურამოს ახლადდაარსებულ სკოლაში მასწავლებლად.

მასწავლებლად წასვლის სურვილი განაცხადა ახალგაზრდა პედაგოგმა, ჟურნალისტმა და საზოგადო მოღვაწემ ილია რუხაძემ. იგი დაუყოვნებლივ გამოცხადდა საზოგადოების გამგეობაში ლუარსაბ ბოცვაძესთან, რომელმაც გულთბილად მიიღო და მაშინვე გამოჩენილ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს წარუდგინა, — ამ ახალგაზრდას საგურამოს სკოლაში წასვლა აქვს გადაწყვეტილიო.

იაკობმა ხელი ჩამოართვა და ჩვეული დინჯი ხმით მიმართა:

— ყმაწვილო, დიდ და ძნელ საქმეს გავალებს გამგეობა. აბა, შენ იცი, როგორ წაიყვან მოსწავლეთა აღზრდის საქმეს, როგორ გაამართლებ გამგეობის ნდობას.

ილია რუხაძემ თანხმობის ნიშნად თავი დაბლა დახარა.

შემდეგ იაკობმა გამგეობის წევრებს დაავალა:

— ამ ყმაწვილს ნუ დავაგვიანებთ, მიეცით ყველაფერი, რაც დასჭირდება თავის სკოლისათვის!

ორმა თანამშრომელმა მაშინვე მეორე ოთახიდან გამოუტანეს რამდენიმე ცალი „დედა ენა“, რვეულები, ფანქრები, კალმები... და რუხაძეს ჩააბარეს.

როცა ი. რუხაძემ წასვლა დააპირა, იაკობმა მას მხარზე ხელი შეახო და უთხრა:

— გთხოვ, ყმაწვილო, როცა საგურამოდან თბილისში დაბრუნდები, ჩემთან შემოიარო, გამაგებინო, თუ მუშაობის როგორი პირობები გექნება იქ. გახსოვდეს, დიდ ილიას სახლში მასწავლებლად მუშაობას იწყებ და ღირსეულად უნდა იმუშაო მისმა მოსახელემაო.

ჭავჭავაძის ხსენებაზე იაკობს თვალები ცრემლებით დაენამა.

სწავლის დაწყებიდან ჯერ კიდევ ერთი თვე არ იყო გასული, რომ ი. რუხაძეს სამსახურებრივი საქმის გამო თბილისში მოუხდა წასვლა. მან პირველ რიგში ბატონი იაკობი ინახულა.

იაკობმა შინაურულად მიიღო რუხაძე და დიდი ინტერესით გამოკითხა, თუ როგორ შეეწყო საგურამოს სკოლას.

— არა უშავს, ბატონო იაკობ, კარგად შევეგუე სკოლას, სიძნელეები, მართალია, მაქვს, მაგრამ არ მაშინებს...

იაკობმა დაწვრილებით გამოკითხა სტუმარს, თუ რა სიძნელეები ჰქონდა მუშაობაში და ილიამაც თანმიმდევრობით უამბო ყოველივე.

სოფელში მისვლისთანავე შემოიარა ყველა ოჯახი და მოუწოდა გლეხებს, რომ უთუოდ შვილები სკოლაში მიეყვანათ. მართლაც, მეორე დღესვე სკოლაში რამდენიმე ბავშვი გამოცხადდა. მშობლების უმეტესობა სიჯიუტეს იჩენდა, სწავლა რა საჭიროაო. სკოლა, რომელიც ი. ჭავჭავაძისეულ შენობაშია მოთავსებული, სოფლიდან საკმაოდ დაშორებულია და ნახევრადშიშველ ბავშვებს ცუდ ამინდში უძნელდებათ სიარული. ილია წინამძღვრიშვილმა მერხები და დაფა გადმოგვცა. ის კიდევ მპირდება დახმარებას და ეს მახარებსო.

— სიძნლეები რომ შეგხვდებოდა, ჩემო ილია, მეც კარგად ვიცოდი, მაგრამ გატყობ ენერგიული ყმაწვილი ხარ, ბავშვებს და მათ მშობლებს სკოლას შეაყვარებ, შრომას არ დაიზარებ... ილია ჭავჭავაძე ჩვენი ხალხის დიდი განმანათლებელი, უბადლო მასწავლებელი იყო და შენ უნდა გეამაყებოდეს, რომ მის საყვარელ საგურამოში, მის სახლში მასწავლებლად მუშაობო, — უთხრა იაკობმა.

კეთილმა მასპინძელმა ილია მასწავლებელს საჩუქრად უშინსკის პედაგოგიური თხზულებანი გადასცა, ეს წიგნი კარგი სახელმძღვანელოა, მუშაობაში დაგეხმარებაო.

ილიამ საჩუქრისათვის მადლობა მოახსენა და წასვლა დააპირა.

— აბა, ჩემო მეგობარო, კარგად იყავი, — უთხრა წასვლისას მასპინძელმა, — ვინძლო, აღზარდო ადამიანები ისე, როგორც დიდი ილია მოგვიწოდებდა. თუ რამ დაგჭირდეს, არ მოგერიდოს, მინახულე...

მართალია, ჭავჭავაძისეული სახლის პირველ სართულზე სკოლა 1908 წლის შემოდგომაზე დაარსდა, მაგრამ მისი ოფიციალური გახსნა მოხდა 1909 წლის 9 იანვარს.

იმავე წელს სკოლის მუშაობა შეამოწმა აპოლონ წულაძემ და თავისი გულისტკივილი გამოაქვეყნა გაზეთ „მომავალში“. „... სკოლაში ძლივ-ძლიობით ეტევა 30 მოსწავლე. მასწავლებელმა გულნაღვლიანად განაცხადა: „შემეძლო სამოცი მოსწავლისათვისაც მომეკლო, მსურველებიც იყვნენ, მაგრამ ოთახის სივიწროვის გამო, უარი ვუთხარიო... სკოლა სიბნელეში, ქვედა სართულზეა, ამ დროს კი ზემო სართულში მამულის მოიჯარადრის ცოლი განისვენებს...“

პედაგოგიური ჟურნალი „განათლება“ თავის ფურცლებზე დროდადრო აქვეყნებდა მასალებს საგურამოს სკოლის მუშაობის შესახებ.

შრომისმოყვარე და გულისხმიერი მასწავლებელი ი. რუხაძე კარგ ამინდში ხშირად ბავშვებს გარეთ, ეზოში ამეცადინებდა. მისი თაოსნობითა და ხელმძღვანელობით სისტემატური ყურადღება ექცეოდა ილიასეულ კარ-მიდამოში სისუფთავისა და წესრიგის დაცვას.

ილია რუხაძემ საგურამოს სკოლაში 1911 წლის დამლევამდე იმსახურა, შემდეგ კი თბილისში გადავიდა, მაგრამ იქ რაკი სამუშაო ვერ იშოვა, კავკავში (ახლანდელ ვლადიკავკავში) გადავიდა სამსახურში და ქართულ სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა.

კავკავის სკოლაში უკვე გამოცდილ და დახელოვნებულ მასწავლებელ ი. რუხაძეს იქაური ქართველები პატივისცემით შეხვდნენ და დაეხმარნენ, რომ ცხოვრებისა და მუშაობის ნორმალური პირობები ჰქონოდა.

მასწავლებელი დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი და ოსი ბავშვების დამეგობრებას და იქაც გაკვეთილებს ყოველთვის მომზადებულად, მაღალ იდეურად ატარებდა. კავკავში დიდი ინტერესით გაეცნო ოსი პოეტებისა და მწერლების შემოქმედებას, განსაკუთრებით მოსწონდა კოსტა ხეთაგუროვის ნაწარმოებები, ცდილობდა, ქართულ ენაზე ეთარგმნა მისი რამდენიმე ლექსი.

კავკავში ბატონმა ილიამ ხუთი თუ ექვსი წელი იმსახურა და შემდეგ დედაქალაქში დაბრუნდა.

ილია რუხაძის შინაარსიან ცხოვრებაში უთუოდ აღსანიშნავი თარიღია 1959 წლის 22 მაისი. იმ დროს საგურამოში საზეიმო ვითარებაში აღინიშნა სკოლის დაარსების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, სადაც მარტო საგურამოელები კი არა, მეზობელი სოფლების მშრომელებიც დაესწრნენ. იმ დღისთვის სპეციალურად მიწვეული იყო სოფლის პირველი მასწავლებელი ილია რუხაძე, რომლის მობრძანებას სკოლაში ყველა სიხარულით შეხვდა.

საზეიმო მიტინგზე შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა ამაგდარი ილია რუხაძე. მისმა გამოსვლამ — წარსულის გახსენებამ მსმენელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

მხცოვანი ილია სიხარულის ცრემლებით შეხვდა საგურამოში თავის პირველ მოსწავლეებს: დავით და ელენე უნდილაშვილებს, გაბო ჩიხაშვილს, მართა ბიჩნიგაურს, ევა მაისურაძესა და სხვებს. ყოფილ მასწავლებელთან ერთად ნამოწაფრებმა ტკბილად გაიხსენეს ბავშვობის დაუვიწყარი წლები.

ბატონი ილია სიამოვნებით გაეცნო ილია ჭავჭავაძის სახელობის რვაწლიანი სკოლის მუშაობას, დირექტორის, სა-

გურამოელი მარიამ გზირიშვილის დახმარებით დაათვალიერა საკლასო ოთახები და კაბინეტები, რითაც კმაყოფილი დარჩა. ინახულა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და ნახა ის ოთახიც, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ ასწავლიდა ბავშვებს.

საგურამოდან გამგზავრების შემდეგ ბატონმა ილიამ კეთილ მასპინძლებს განუცხადა, რომ სკოლის იუბილე და იქ მისი მიწვევა დაუვიწყარი იქნება, მისი ხსოვნიდან არასოდეს ამოიშლებოდა.

ლ ა ლ ი ო ნ ი

ქართულ ლიტერატურაში არსენ მამულაიშვილი ლალიონის ფსევდონიმით შემოვიდა. სამწერლო ასპარეზზე თავდაპირველად გამოჩნდა „ფირალი დავლაძით“, რომელიც გამოქვეყნდა 1895 წელს ჟურნალ „მოამბის“ მე-4 და მე-5 ნომრებში და მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. შემდეგ მას მოჰყვა მოთხრობები „მშობლები“, „ეფემიას ოცნება“ და სხვ. აღსანიშნავია, რომ მისი პატარა მოთხრობა „რაქვიანა“ წლების განმავლობაში სასწავლო სახელმძღვანელოში იყო შეტანილი.

მწერლის ნაწარმოებებში ნათელი ფერებით არის ასახული გურული გლეხების უსიხარულო ცხოვრება.

ცნობილმა ჟურნალისტმა გრიგოლ ყიფშიძემ არ. მამულაიშვილი დადებითად შეაფასა, მის ნაწარმოებებს უწოდა: „მშვენიერი ქართულით დაწერილი“, „ჩვენი საჭირბოროტო საგნის“ ამსახველი, „ახალი ტიპის“ დამხატველი, მათი ავტორი კი გამოჩენილი მწერლის ეგ. ნინოშვილის ღირსეულ მემკვიდრედ, გურული ხალხის გულის მესაიდუმლედ მიიჩნია.

არსენ მამულაიშვილი ჯერ სწავლობდა ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში, შემდეგ კი თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა და შემდეგ პედაგოგიურ ასპარეზზე გამოვიდა.

თავიდან მუშაობის დაწყება მოუხდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, ჯერ აზერბაიჯანის ქ. შამახაში სამოქალაქო სკოლის მასწავლებლად, შემდეგ კი მუშაობა გააგრძელა ნახჭევანში, იმავე ტიპის სასწავლებელში. იქ რუსულ სკოლებში მუშაობდა და თავისუფალ დროს მოზარდებს დიდი გატაცებით ესაუბრებოდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. მან იმდენად დააინტერესა თავისი აღსაზრდელები, რომ მათ ქართული წერა-კითხვის შესწავლაც მოითხოვეს, მაგრამ დირექციამ ამის ნება არ მისცა. იგი რამდენიმე ბავშვს ფარულად ასწავლიდა ქართულ ანბანს.

ცხოვრების მძიმე პირობების მიუხედავად არსენი დაუზარელად ემსახურებოდა სკოლას; გაკვეთილებს მომზადებულად ატარებდა, ჰქონდა ბავშვებთან ახლობლური დამოკიდებულება და პატარებიც აფასებდნენ მის გულისხმიერებასა და მზრუნველობას, უყოყმანოდ ასრულებდნენ მასწავლებლის დავალებას.

სამწუხაროდ, სამშობლოდან მოწყვეტილ არსენს ჯანგატეხილობა დაეტყო, დროდადრო სიცხეს აძლევდა, ახველებდა. მან დიდი წვალებითა და მეგობრების დახმარებით შეძლო თბილისში გადმოსვლა, ქართულ გიმნაზიაში მასწავლებლად მუშაობის დაწყება და მალე მან დაიმსახურა ერთერთი მოწინავე პედაგოგის სახელი. ბედად, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაც გაუმჯობესდა. მასწავლებლობასთან ერთად არსენი საზოგადოებრივ დავალებებსაც ხალისითა და მონდომებით ასრულებდა.

900-იან წლებში არსენი სახალხო მასწავლებლის ივანე გომელაურის თანადგომითა და დახმარებით თბილისში აარსებს კერძო პანსიონს, რომელიც დაკომპლექტებული იყო ქართველი ბავშვებით და ყველა საგნის სწავლება მხოლოდ ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. პანსიონში მოსწავლეთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა და მასწავლებლები მიზნად ისახავდნენ, რომ თვალსაჩინოების მასალებით გაემდიდრებინათ სკოლა.

მთავრობის მოხელეები მგლური თვალით უყურებდნენ პანსიონს, აუგად ახსენებდნენ მის მასწავლებლებს და ხელს უშლიდნენ მუშაობაში.

ბოროტმზრახველებმა მიზანს მიაღწიეს, პანსიონი დახურულად გამოცხადდა და მისი მასწავლებლები უმუშევრად დარჩნენ. ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში არსენი ეძებდა სამსახურის ადგილს, მაგრამ ყველგან დაბრკოლებები ეღობებოდა. ბოლოს, კი, 1906 წელს აღდგენილი იქნა მასწავლებლად და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ დაინიშნა თბილისშივე ვერის პირველი უმაღლესი დაწყებითი სკოლის მასწავლებლად და მას სიკვდილამდე აღარ მოსცილებია.

არ. მამულაიშვილს გულწრფელად უყვარდა სამშობლო, საზოგადოების წინაშე დროდადრო გამოდიოდა მოხსენებით, ამბობდა: რითი გვჯობიან დასავლეთ ევროპის მცხოვრებლები

ჩვენ? ჩვენზე კარგი ისტორია მათ არა აქვთ, არც უნარი, მხოლოდ საჭიროა მეტი შრომა ქვეყნის სასარგებლოდაო.

საყურადღებო ფაქტია, რომ არსენი გამოჩენილი ქართველი მესტამბის ექვთიმე ხელაძის სიძე იყო, სიძე-სიმამრს შორის განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა სუფევდა. ექვთიმე აფასებდა მის ნიჭს, წაკითხული ჰქონდა არსენის ყველა ნაწარმოები და ცდილობდა, მისთვის ხელი შეეწყო, რომ უფრო მეტი ეწერა, მხატვრული ნაწარმოებებით გაემდიდრებინა მშობლიური ლიტერატურა. ექვთიმეს სტამბა მდებარეობდა ახლანდელი კოლმეურნეობის სახელობის მოედნის ტერიტორიაზე. სიმამრმა იქ გამოუყო სამუშაოდ პატარა ოთახი, რომ თავისუფლად ეწერა, მაგრამ პირველი რევოლუციის ბობოქარ დღეებში სტამბას ხანძარი გაუჩნდა, განადგურდა დგამ-მოწყობილობა, ცეცხლმა შეიწირა მთლიანად არსენის ბიბლიოთეკა და ნაწერები, რამაც გული დაწყვიტა მის მეპატრონეებს და ქართველ კულტურულ საზოგადოებას.

უთუოდ საინტერესოა ექვთიმე ხელაძის ქალიშვილების სოფიოს და ტერეზას მოგონებები არ. მამულაიშვილზე.

ქალბატონი სოფიო იგონებს:

„არსენი ჩვენი ოჯახის სიძე იყო, მას ცოლად ჰყავდა ჩვენი და ნინო, სათნო და გულისხმიერი ქალი, მათ ჰყავდათ ერთადერთი ქალიშვილი თამარი, რომელსაც მშობლები სამშობლოს სიყვარულის გრძნობით ზრდიდნენ. გოგონას ისე შეაყვარეს მხატვრული ლიტერატურა, რომ გასაოცრად სწრაფად ითვისებდა საბავშვო ლექსებს და თუ სტუმრები გყავდა, ის გაბედულად გამოდიოდა მათთან ლექსით.

მამაჩემი აფასებდა სიძის ნიჭს, ისინი ხშირად საუბრობდნენ ლიტერატურისა და სახალხო განათლების საკითხებზე.

ჩვენს სახლში დროდადრო იკრიბებოდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, არსენი მათ საუბრებში აქტიურად მონაწილეობდა, მამა კი სტუმრებს შინაურულად მასპინძლობდა.

რაკი არსენი თავის ბინაში ვიწროდ ცხოვრობდა და წერისთვის არ ჰქონდა ნორმალური პირობები, მამამ სტამბაში ცალკე პატარა ოთახი გამოუყო და იქ შეეძლო დამშვიდებით ეწერა. იმ ოთახში მან ბიბლიოთეკაც მოაწყო, რომელიც შემდეგ ნაწერებთან ერთად ხანძარმა შთანთქა“.

ქალბატონი ტერეზა იგონებს:

„ჩვენი სიძე არსენი ნამდვილად ჩამოყალიბებული მასწავლებელი იყო, უყვარდა ბავშვები და ახარებდა მათთან ყოფნა. როცა ის მასწავლებლად შორს აზერბაიჯანში გაემგზავრა, გვითხრა, იქაურ მოზარდებს შევაყვარებ ქართულ ლიტერატურას და ისტორიასაო. ეს ნათქვამი მან კიდეც შეასრულა, როცა სამშობლოში დაბრუნდა, ქ. შამახიდან და ნახჭევანიდან თავისი ნამოწაფრების წერილებს ღებულობდა, რომლებშიც ნათლად იგრძნობოდა ჩვენი ქვეყნის სიყვარული.

არსენი ზაფხულის არდადეგების დროს ამზადებდა მოსწავლეებს, მაგრამ გასამრჯელოს არ ღებულობდა, ამბობდა: ჩემთვის სწავლის საფასური ის იქნება, თუ კარგად ჩააბარებენ გამოცდებს და მოეწყობიან სასურველ სკოლაშიო“.

არ. მამულაიშვილი 1919 წლის 18 სექტემბერს 52 წლის ასაკში, შემოქმედებითი გაფურჩქვნის პერიოდში გარდაიცვალა და დაკრძალული იქნა მწერალთა და ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

ღვაწლმოსილ მწერალსა და მასწავლებელს მადლიერი თაობა კეთილად იხსენებს.

ია ეკალაძე

მწერალი, პუბლიცისტი, რედაქტორ-გამომცემელი და მასწავლებელი იაკობ ცინცაძე ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრდა ია ეკალაძის ფსევდონიმით.

ია ეკალაძეს აუტანელ პირობებში მოუხდა ცხოვრება და სწავლა. მაშინ სკოლებში სწავლა ძირითადად უცხო ენაზე მიმდინარეობდა და როგორც თვითონ იხსენებდა, მასწავლებელთა უმრავლესობა მკაცრნი და უხეშნი ყოფილან. ვაი იმას, ვინც იცელქებდა, მაშინვე დაისჯებოდაო. ერთ ხანს ისედაც ღარიბი ბავშვი იძულებული გამხდარა, რომ სასწავლებლიდან გაქცეულიყო, მაგრამ დაუჭერიათ და მაშინვე უფროსთან მიუყვანიათ, მას კი დარიგების ნაცვლად მკაცრად დაუტუქსია, ესეც არ უკმარებია და ერთი კვირის განმავლობაში უსადილოდ დაუტოვებია.

გორის სასულიერო სასწავლებელში პატარა ია განსაკუთრებით დაახლოვებულა ხალხთან მწერალ-მასწავლებელ სოფრომ მგალობლიშვილთან, რომელიც მზრუნველობდა ღარიბ მოსწავლეებს და მათ შორის იასაც. იგი თავის აღსაზრდელებს სამშობლოს სიყვარულს უნერგავდა. იმავე დროს რედაქტორობდა სასწავლებელში გამოსულ ხელნაწერ ჟურნალ „შრომას“, რომელშიც მეოთხე კლასელი იაც აქტიურად თანამშრომლობდა.

გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ი. ეკალაძე თბილისის სასულიერო სემინარიაში შევიდა. იქ წარმატებით სწავლობდა და თვითგანათლებითაც იმაღლებდა ცოდნის დონეს.

1893 წელს ია სემინარიიდან გარიცხეს მოსწავლეთა აჯანყებაში მონაწილეობის გამო და დიდ გაჭირვებაში ჩავარდა; უბინაობა, შიმშილ-წყურვილი და მძიმე ეკონომიური პირობები თან სდევდა მას, მაგრამ ყველაფერს გაუძლო და როცა სემინარიაში აღადგინეს, გამხდარ-დასუსტებული გამოცხადდა.

იამ სიყმაწვილის წლებშივე დაიწყო გაზეთებში პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნება და მალე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მისი ნაწარმოების „სურათები მოსწავლეთა ცხოვრებიდან“ დასტამბვის გამო „ივერია“ ორი თვით დახურეს, ხოლო პატარა არაკის „რას იცინით“ დასტამბვისთანავე ავტორი სამი წლით ლენქორანში გადაასახლეს. იმ ნაწარმოებში ია ფარდას ხდიდა სემინარიაში გამეფებულ აუტანელ რეჟიმს, სახელდობრ: ჯალათსა და დაუნდობელ ვლადიმერ ეგზარხოსის ბოროტებას.

1894 წელს, როცა „ივერიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა ი. ეკალაძის მოთხრობა „ილიკო ბედენაზე“ თომაანთ კობას ფსევდონიმით, მკითხველებმა მოიწონეს. დიდმა ილიამ კი იმავე წელს ია რედაქციის მუდმივ თანამშრომლად მიიწვია.

დღენიადაგ აწუხებდა მშრომელი ადამიანის ფიზიკური, სულიერი და გონებრივი დამონება, იბრძოდა მათი უუფლებობის, დამონების წინააღმდეგ. იგი სახალხოდ აცხადებდა: „რა არის კაცი, თუ მარადჟამს მონა იქნება... მონა მხდალი და მატყუარა“.

ია ეკალაძე ვერსად ჰპოვებდა ნუგეშს, მაგრამ გულს მაინც არ იტეხდა და საკუთარ თავს ასე ეუბნებოდა: „იბრძოლე მარად, ვაჟკაცივით გაიტანე სვე, ან შენი ადგილით, შენი გულთქმით გახდი მსხვერპლი“.

ცოდნამოწყურებული ია მოგვიანებით, მაგრამ მაინც შევიდა ყაზანის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იქაც სწავლასთან ერთად აგრძელებდა ლიტერატურულ-შემოქმედებით შრომას. ყაზანში დაწერა ფილოსოფიური ლექსი „ტყე“, რომელიც მალე გახმაურდა.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ია გორში გაამწესეს მასწავლებლად და გატაცებით შეუდგა მოზარდი თაობის აღზრდა-განათლებას და მალე მათი სიყვარულიც დაიმსახურა, მან გორში მუშაობის დროს დააარსა გაზეთი „ქართლი“, რომელმაც მკაცრი საცენზურო პირობების გამო მხოლოდ 13 თვე იარსება.

1913 წლიდან ია ეკალაძე დანიშნეს ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად და იქაც ნაყოფიერი შრომით ხასიათდებოდა, თანამშრომლობდა გაზეთ „იმერეთში“. 1917 წლიდან კი თვითონ სცემდა გაზეთ „სამშობლოს“. ერთ ხანს იყო ჩოხატაურში გიმნაზიის დირექტორი, შემდეგ კი მასწავლებლობდა ლანჩხუთში, ხაშურში, თელავში...

ია ეკალაძე გაბედულად იბრძოდა ქართული ენის დამახინჯების წინააღმდეგ, ვერ იტანდა რუსიციზმებს და შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მას — ქართული კრიტიკის ცნობილ წარმომადგენელს, კულტურული საზოგადოება ენასა და სტილს ყოველთვის უქებდა.

ამაგდარი მწერალი და პედაგოგი სამართლიანად ამბობდა, ჩემი ხალხის სიყვარული თან გამყვებაო და ასეც მოხდა, მადლიერი თაობა სიყვარულით იხსენებდა მას.

ცახელი

ცნობილ მწერალს პარმენ თვალჭრელიძეს მკითხველი საზოგადოება იცნობს „ცახელის“ ფსევდონიმით.

მწერალი-მასწავლებელი, ბატონი პარმენი დაბადებულია რაჭაში, ცახში. მშობლიური სოფლის სახელი მან ფსევდონიმად აქცია და ჩვენს ლიტერატურაში ამ ფსევდონიმით იხსენიება.

ცხოვრებისა და მოღვაწეობის თვალსაჩინო გზა განვლო პოეტმა, იგი სიყმაწვილიდანვე წერდა ლექსებს, თარგმნიდა რუსული ლიტერატურის ნიმუშებს და თავიდანვე ავტორიტეტით სარგებლობდა.

1883 წელს, როცა ჟურნალ „ნობათში“ დაიბეჭდა მისი პირველი პოემა „მარინე“, მაშინვე მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია, გამოჩენილმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა მაღალი შეფასება მისცა, სიამოვნებით წერდა: „მარინე“ შეადგენს „ნობათის“ მეორე თვალს, მეორე მარგალიტს. დიახ, ღირსეული კალამი შეხვედრია და მშვენიერი ნაწარმოები შეუქმნია ჩვენი ლიტერატურისათვის... მაღალი პოეტური კილო, ხელოვნურად დახატული, შეკუმშული სურათები, ისე ხელოვნურად, თითქოს თვალწინ ხედავდეთ მათ, ღრმა დრამატიზმი და თავგანწირული სიყვარული მამულისადმი შეადგენენ უმთავრეს ღირსებას ამ ლამაზი ქმნილებისას, რომელიც ბევრს, ძალიან ბევრს ეუბნება კაცის გონებასაც და გულსაც“.

დიდი პედაგოგის ასეთ გულალალ შეფასებაში არაფერია გადაჭარბებული.

საცხოვრებლად დედაქალაქში გადმოსვლისთანავე ახალგაზრდა პოეტი აქტიურ თანამშრომლობას იწყებს „ნობათის“, „დროების“, „თეატრის“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. იქვე მან ხელი მოჰკიდა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს და თავიდანვე სიყვარულით შეხვდა თავის პატარა აღსაზრდელებს, რომლებთანაც მცირე ხანს იმუშავა.

ბატონ პარმენს პედაგოგიური განათლება არ ჰქონია და დაინტერესებული იყო, ამ მხრივ სათანადო ლიტერატურის გამოყენებით ცოდნა მიეღო. სწორედ იმ ხანებში მან სტავროპოლიდან უფროსი ძმის ანტონ თვალჭრელიძის წერილი მიიღო, რომელიც თავისთან იწვევდა პარმენს. მასაც არ დაუყოვნებია, მაშინვე გაემგზავრა სტავროპოლში, შეხვდა ანტონს და მალე მისი დახმარებით, სკოლების გამოცდილი ინსპექტორის ხელშეწყობით, სათანადო გამოცდები ჩააბარა და მასწავლებლობის უფლება მოიპოვა. მანვე სტავროპოლთან ახლოს სოფელ ბეშპანგირის სკოლაში დაიწყო მასწავლებლად მუშაობა.

1903 წლიდან ცახელი იწყებს მასწავლებლობას ქ. ქუთაისში ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში და ქალთა სასწავლებელში. მან მოკლე დროში გულმოდგინე შრომით მოსწავლეთა სიყვარული დაიმსახურა, თავის აღსაზრდელებს უნერგავდა პროგრესულ იდეებს და გამოდიოდა მშრომელი ხალხის მოსარჩლედ.

1905 წლის ბობოქარ დღეებში დაისტამბა ცახელის ლექსები: „მსხვერპლი“, „მუშა“ და სხვა, რომლებიც რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით არის გამსჭვალული, ამით მთავრობის ბნელი მოხელეების უკმაყოფილება დაიმსახურა და პოეტს დევნა დაუწყეს, ცეცხლს მისცეს მისი სახლ-კარი, მაგრამ მაინც ვერ გატეხეს მისი სულისკვეთება და ნებისყოფა.

ცახელის რამდენიმე ორიგინალური ნაწარმოები ი. გოგებაშვილმა შეიტანა თავის „ბუნების კარსა“ და „დედა ენაში“. თავის ერთი ნაწარმოების ეპიგრაფში პოეტი წერდა:

„თქვენთვის დავწერე ეს წიგნი
ყრმებო, პატარა გვრიტებო
და ძღვნად მიიღეთ თქვენ, ჩემო
ძვირფასო მარგალიტებო“.

პოეტი კარგად იცნობდა ბავშვთა სულიერ სამყაროს, მის ინტერესებსა და მისწრაფებებს. მისმა საყმაწვილო ლექსებმა და პოემებმა თავიდანვე გაიკაფა გზა მკითხველის გულში.

უპრეტენზიო, მგზნებარე პატრიოტი და შემოქმედი, რომელიც ჯერ კიდევ ჭარმაგი მოღვაწე იყო, ბოროტმოქმედებმა 1919 წლის 31 აგვისტოს ვერაგულად სიცოცხლეს გამოასალმეს.

ანა ხახუტაშვილი

ანა ხახუტაშვილმა თავისი პირველი მოთხრობა „წამებული აღდგომა“ საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულში“ გამოაქვეყნა და მაშინვე მიიქცია მოზარდი მკითხველის ყურადღება.

ახალბედა მწერალს კარგად ახსოვდა თუ როგორ შეხვდა მას ჟურნალის რედაქტორი, ქალბატონი მარიამ დემურია, სადაც გოგონა მიიყვანა ცნობილმა საბავშვო პოეტმა შიო მღვიმელმა. რედაქტორმა როცა გადაათვალიერა ანას ხელნაწერი, ჰკითხა, თქვენი ნაწარმოებისათვის გვარი რატომ არ მოგიწერიაო? გოგონა დაიბნა, გაწითლდა და მოკრძალებით მოახსენა, გვარი რად უნდაო?

მისმა ნათქვამმა რედაქციის თანამშრომლები გააცინა. — მართლაცდა, გვარი რა საჭიროა! — მხიარულად განაცხადა შიო მღვიმელმა, — შეხედეთ, რა ცოცხალი გოგონაა, რა ცქვიტიაო.

ეს სიტყვა „ცქვიტი“ მაშინვე გულში ჩარჩა ანას და მოთხრობას საკუთარი გვარის ნაცვლად „ცქვიტი“ მიაწერა. ანა ხახუტაშვილი ამ ფსევდონიმით დამკვიდრდა ქართულ მწერლობაში, შ. მღვიმელი კი ამის გამო თავის ნათლულს უწოდებდა ანას.

ა. ხახუტაშვილის პირველ მოთხრობას მალე მეორეც მოჰყვა, მეორეს მესამე და ასე გაგრძელდა ხანგრძლივად. მისი პატარ-პატარა მოთხრობები მკითხველებმა შეიყვარეს, რამდენიმეს მგოსანი აკაკი წერეთელიც გაეცნო, რომელიც დაინტერესდა ანას გაცნობით და ახლობლებს თხოვა, მომგვარეთ ერთი, უსათუოდ უნდა ვნახოო.

მალე ა. ხახუტაშვილი შეახვედრეს მგოსანს, რომელიც ღიმილით შეხვდა ახალბედა მწერალს და ჰკითხა:

— სად ისწავლე, ქალო, ქართულს მშვენიერი ენით წერ, ვინ გასწავლაო?

— მე თვითონ ვისწავლე ხალხში, მეზობლებში... მოკლედ უპასუხა გოგონამ და მოკრძალებით თავი დახარა.

მგოსანს მოეწონა ეს პასუხი და მერე სადაურობა გამოკითხა, ანამაც საპასუხო არ დააყოვნა, — გორის მაზრის სოფელ მეჯვრისხევიდან იყო და პირველდაწყებითი განათლებაც იქ მიიღო, შემდეგ კი თბილისის ქალთა გიმნაზიაში სწავლობდა, მერე, ხელმოკლეობის გამო თბილისის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში ტელეფონისტად მუშაობდა, მაგრამ ეს სამსახური დიდხანს ვერ შეინარჩუნა, იმის გამო, რომ 1906 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობდა, სამსახურიდან დაითხოვეს და კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს, შემდეგ კი საშუალება მიეცა, რომ მოსკოვში გამგზავრებულიყო და ქალთა უმაღლეს კურსებზე შესულიყო, რომელიც წარმატებით დაამთავრა და საკმაოდ განათლებული დაბრუნდა სამშობლოში.

მგოსანმა ყურადღებით მოისმინა ანას ნაამბობი, შეაქო და უსურვა წარმატება მწერლობასა და მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში.

საქართველოში დაბრუნებულმა ანამ საბავშვო მოთხრობების წერა უფრო მეტი მონდომებით გააგრძელა და მასთან ერთად სიყვარულით შეუდგა მასწავლებლობას. ასწავლიდა ჯერ გორში, შემდეგ კი თბილისის ქალთა მე-2 გიმნაზიაში, სადაც მოკლე ხანში კოლეგების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მუდამ თავს ევლებოდა თავის აღსაზრდელებს და ხშირად დამატებით ამეცადინებდა ამა თუ იმ დარგით გატაცებულ მოზარდებს. პატარებმაც უსაზღვროდ შეიყვარეს მასწავლებელი და გულალალად უზიარებდნენ ფიქრსა თუ მოსაზრებებს.

თბილისში ცხოვრების დროს ანა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში, დროდადრო გამოდიოდა ლექციებით აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით და ქართული ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებზე.

ანა ხახუტაშვილმა მშობლიურ სოფელ მეჯვრისხევში დააარსა ბიბლიოთეკა და წლების განმავლობაში ზრუნავდა სხვადასხვა ლიტერატურით მისი გამდიდრებისათვის.

ქალბატონ ანას წიგნები ხშირად ფერად-ფერადი ნახატებით იყო დამშვენებული, რაც უფრო მეტად იზიდავდა ნორჩ მკითხველებს. მისი მოთხრობები, როგორიცაა: „მოცეკვავე მარიკა“, „მხიარული მუსიკოსი“, „მარო და მამალი“ და სხვა მზითა და სიხარულითაა სავსე და ახლაც სიამოვნებით იკითხება.

მწერალი-მასწავლებლის ღვაწლი მუდამ კეთილმოსაგონარი იქნება.

გალაკტიონი

ისე, როგორც ჩვენი მკითხველი საზოგადოებისათვის ილიას, აკაკისა და ვაჟას სახელები გვარების დაუსახელებლად ცნობილია, გალაკტიონსაც როცა ვახსენებთ, აუცილებელი არ არის, იქვე ტაბიძე ვახსენოთ ან დავწეროთ, რისიც ხომ ღირსეულ წინაპართა შორის უკვდავების ბინადარია.

ქუთაისში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევების მახლობლად, დეკახოზ ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში გახსნილი იყო ერთკლასიანი მოსამზადებელი სკოლა, რომელიც ბავშვებს სასულიერო სასწავლებლის პირველი კლასისთვის ამზადებდა. იმ სკოლაში შევიდა პატარა გალაკტიონიც 1899 წლის 1 სექტემბერს. მისი პირველი მასწავლებელი იყო ნადია მაჩიტაძე, მეტად სათნო და გულისხმიერი ქალი, რომელიც თავის აღსაზრდელებს არა მარტო სკოლაში, არამედ მის გარეთაც არ აკლებდა ყურადღებასა და ზრუნვას.

მოსამზადებელი კლასის დამთავრების შემდეგ გალაკტიონი სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეა და თანაკლასელ მოსწავლეთა შორის უკვე გამოირჩევა სიბეჯითით და ცოდნის მაღალი დონით.

თანამედროვეები იგონებენ, რომ ბაგრატის ტაძრის ნანგრევები გალაკტიონის პარნასი ყოფილა. თავისუფალ დროს მეტწილად იქ ატარებდა, წიგნებსაც იქ კითხულობდა. იქვე წაუკითხავს ამხანაგებისთვის თავისი ახალი ლექსები და ქებაც დაუმსახურებია.

გალაკტიონი ყველა საგანს გულმოდგინედ სწავლობდა, მაგრამ გამოირჩეოდა თურმე მშობლიური ლიტერატურის სიყვარულით, სიამოვნებით იზეპირებდა ქართველი პოეტების ლექსებს, პატივისცემით ახსენებდა მათ ავტორებს.

ჩვეულებრივ, სასულიერო სასწავლებლის დამამთავრებელ კლასში, როცა წყდებოდა საკითხი, თუ ვინ უნდა გაეგზავნათ თბილისის სასლიერო სემინარიაში ჩასარიცხად, მოსწა-

ვლეები უფრო ბეჯითად მეცადინეობდნენ. გალაკტიონმაც უმატა მეცადინეობას, პირველი ხარისხის სწავლადამთავრებულთა სიაში მოხვდა და უფლება მიეცა, ჩარიცხულიყო სემინარიის პირველ კლასში.

სასულიერო სასწავლებელში გალაკტიონს გამორჩევით ორი პედაგოგი უყვარდა — რაფიელ ჩიხლაძე, რომელიც სუფთა წერას ასწავლიდა და ქართული ენის მასწავლებელი მელიტონ ჩიგოვაძე, რომელმაც მომავალ პოეტს სამშობლო, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ლიტერატურა შეაყვარა.

1908 წელს, 1 სექტემბერს გალაკტიონი თბილისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში ჩაირიცხა და იქაც თავიდანვე გულმოდგინედ შეუდგა სწავლას.

იმ დროს სემინარიაში გამოდიოდა ორი ხელნაწერი ჟურნალი — „ჯაშუში“ და „წვეთი“. 1908 წელსვე გალაკტიონის რედაქტორობით გამოვიდა ახალი ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“, რომელიც თავის წინამორბედთ არათუ არ ჩამოუვარდებოდა, სჯობდა კიდეც.

იმავე წელს გაზეთ „ამირანსა“ და ჟურნალ „ჩვენს კვალში“ დაისტამბა გალაკტიონის პირველი უსათაურო ლექსები. ახალბედა პოეტის სიხარული გაიზიარეს მისმა ამხანაგებმა, ხოლო მასწავლებელთაგან ყველაზე მეტად ღვაწლმოსილმა პედაგოგმა და ცნობილმა მწერალმა ვასილ ბარნოვმა გაიხარა, რომელმაც გულთბილად დაულოცა გზა ყმაწვილს.

ბატონი ვასილი სემინარიელებს ქართული სიტყვიერების თეორიასა და ისტორიას, ძველსა და ახალ ქართულ ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდა. იგი მოზარდების გულის დიდი მესაიდუმლე, შესანიშნავი დამრიგებელი იყო. სწორედ ამიტომ მის გაკვეთილებს არავინ აცდენდა.

უკვე ხანდაზმული გალაკტიონი, როცა კი ყოფილ თანაკლასელებს შეხვდებოდა და ვასილ ბარნოვს გაიხსენებდა, ამბობდა, მე რომ პირველად დავიწყე მასწავლებლობა ფარცხნალის დაწყებით სკოლაში, თვალწინ მედგა დიდი პედაგოგი ბარნოვი. მინდოდა, მეც ისეთივე მასწავლებელი ვყოფილიყავი, როგორიც ის იყო. თუ რამდენად შევძელი ეს, დაე ჩემმა აღზრდილებმა განსაჯონო...

უთუოდ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ბავშვობის დროს გალაკტიონისათვის ვისაც არ უნდა ეკითხა, როცა გაიზრდები რა უნდა გამოხვიდეო, კასუხი მხოლოდ ერთი იყო — მასწავლებელიო. და მართლაც, მასწავლებლის ოჯახში დაბადებულ გალაკტიონს პატარაობიდანვე ძიზნად ჰქონდა დასახული გამხდარიყო მასწავლებელი და მშობლის საყვარელი პროფესია გაეგრძელებინა.

გავიდა დრო და აი, თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამოსვლის შემდეგ, 1910 წელს გალაკტიონი მოკრძალებით გამოცხადდა სკოლების ზედამხედველ თედო ჟორდანიასთან და ძშობლიურ სოფელ ჭყვიშის სკოლაში მასწავლებლად დანიშვნა ითხოვა. სამწუხაროდ, იმ ხანად ჭყვიშში ადგილი არ აღმოჩნდა და გალაკტიონი ხარაგაულთან ახლოს, სოფელ ფარცხნალის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დანიშეეს.

ახალბედა მასწავლებელი მთელი მონდომებით შეუდგა ბავშვების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს, გულით შეიყვარა პატარები და ბავშვებმაც მის მიმართ უსაზღვრო სიყვარული ჩაინერგეს გულში.

თავისუფალ დროს გალაკტიონი დაიარებოდა მეზობელ სოფლებში, სადაც ყურადღებით ეცნობოდა და იზიარებდა მოწინავე მასწავლებლების გამოცდილებას.

სოფ. ფარცხნალში მცხოვრები გალაკტიონის თანამედროვეების გადმოცემით, იგი მეტად შრომისმოყვარე, ჩუმი და თავაზიანი პედაგოგი ყოფილა. ყოველთვის, როცა კი მისი სკოლა განათლების ხელმძღვანელ მუშაკებს შეუმოწმებიათ, კმაყოფილები დარჩენილან; მოსწონდათ წიგნის კითხვაში კარგად გაწაფული ბავშვები, სასიამოვნო შთაბეჭდილება დარჩენიათ ლამაზ ნაწერებზე, კარგად სცოდნიათ მოზარდებს ანგარიში და რუსული ენაც...

სოფელში გ. ტაბიძეს არა მარტო კარგ მასწავლებლად თვლიდნენ, არამედ აფასებდნენ მის დაუღალავ შრომას კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის. მისი შინაარსიანი საუბრები პედაგოგიურ, ლიტერატურულ თუ საერთაშორისო საკითხებზე გლეხებში დიდ მოწონებას იმსახურებდა. დროდადრო გალაკტიონი ფა-

რცხნალსა და ხარაგაულში მართავდა ლიტერატურულ საღამოებს, სადაც არა მარტო სხვა ცნობილი პოეტების, არამედ საკუთარ ლექსებსაც კითხულობდა.

1910 წელს, სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, ქუთაისში სოფლის მასწავლებელთა ყრილობაზე გალაკტიონმა მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, გააკრიტიკა მოსწავლეებთან მუშაობის არსებული ფორმები და მოითხოვა მათი გადახალისება, გაუმჯობესება. დაგმო სკოლებიდან ქართული ენის განდევნის პოლიტიკა; „სკოლებში ქართული ენის სწავლება არაფერი საჭირო არ არისო, გვეუბნებიან და ამას ჩვენ ვითმენთ, ხოლო ქართველობა რად გინდათო, ვინმემ რომ გვითხრას, ალბათ ცოცხალი ვერ გადაგვირჩება. ეს ხომ ერთი და იგივეა, ქართული ენა თუ არ გვექნება, — არც ქართველები ვიქნებით“.[1]

გულისხმიერ მასწავლებელს ქართული ენის მნიშვნელობის შესახებ სხვა დროსაც გაუმახვილებია მსმენელთა ყურადღება.

მართალია, ფარცხნალის სკოლაში გალაკტიონს დიდხანს არ უმსახურია, მაგრამ მოკლე დროში მან შეძლო სოფლის მშრომელებისა და განსაკუთრებით, თავისი მოსწავლეების სიყვარული დაემსახურებინა.

ამის შემდეგ გალაკტიონს სკოლაში აღარ უმსახურია, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე ახლოს იყო სკოლებთან, ხშირად ხვდებოდა მოსწავლეებს, დაიარებოდა სკოლებში მოწყობილ დილა-საღამოებზე, კითხულობდა საკუთარ ლექსებს, მოუწოდებდა ბავშვებს, რომ კარგი ქცევითა და სწავლით ესახელებინათ მშობლიური სკოლა.

გალაკტიონი დიდად აფასებდა იაკობ გოგებაშვილის ფასდაუდებელ ღვაწლს, მის სასწავლო სახელმძღვანელოებს და მათ ავტორსაც ახალგაზრდობის დროს არაერთხელ შეხვედრია. იაკობი და მისი მეგობარი, ცნობილი მოღვაწე ნიკო ცხვედაძე მთაწმინდაზე, ვეძინის ქუჩის კუთხეში მდებარე ყარაშვილის სახლში ცხოვრობდნენ, იქვე, მეზობლად გალაკ-

---

1 ი. ღრთქიფანიძე, გ. ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა, თბ., 1968, გვ. 39.

ტიონსაც ბინა ჰქონდა და გზად ხვდებოდა დიდ პედაგოგს, მოკრძალებით ესალმებოდა.

1912 წელს ი. გოგებაშვილი რომ გარდაიცვალა, ქუთაისის თეატრში მისი ხსოვნის საღამო მოეწყო, რომელშიც მონაწილეობდნენ: აკაკი, შალვა დადიანი, ი. გრიშაშვილი და სხვები. საღამოზე შინაარსიანი სიტყვით გამოვიდა გალაკტიონიც და ღრმა პატივისცემით მოიხსენია სამშობლოს წინაშე ბატონი იაკობის დამსახურება.

უთუოდ საინტერესოა გალაკტიონის ერთი პატარა ჩანაწერიც, რომლითაც საკუთარ თავს მიმართავს: „მისგან (იგულისხმება იაკობი — შ. მ.) ნაანდერძევმა წიგნსაცავმა დედის ძუძუსთან ერთად გაწოვა სიცოცხლისა და პოეზიის ტკბილი ნექტარი. პაწაწინა ბიჭკომ დედის კალთაში შეისწავლე „აი ია", ექვსი წლისა იყავ, რომ დედაენას დაეუფლე და ათი წლისამ ლექსთა ღმერთთან ილაპარაკე".[1]

ილია ჭავჭავაძისეულ საგურამოს სამსართულიან შენობაში მუზეუმის გახსნამდე, თითქმის ერთი წლის განმავლობაში სხვა მწერლებთან ერთად გალაკტიონიც ისვენებდა და შემოქმედებით შრომას ეწეოდა. პოეტი ხშირად საგურამოს ტყეშიც სეირნობდა და ზოგჯერ იქ ლექსებსაც წერდა.

საგურამოელი მასწავლებელი დავით უნდილაშვილი რამდენჯერმე შეხვედრია გალაკტიონს და უსაუბრია მასთან. „— ერთ დღეს, — იგონებს დავითი, — სკოლიდან შინ რომ მივდიოდი, სოფლის გზაზე შემხვდა გალაკტიონი, რომელიც თბილისში აპირებდა გამგზავრებას და მანქანას ელოდებოდა. მან მითხრა: მასწავლებლის შრომას დიდად ვაფასებ, კეთილშობილური პროფესიაა. მეც ვიყავი ერთხანს მასწავლებელი და ის დრო ყოველთვის სიამოვნებით მახსენდება... მერე გულისტკივილით დაუმატა: ვწუხვარ, რომ ზოგიერთი საგურამოელი არ უფრთხილდება ილიასეულ ბაღსა და კარ-მიდამოს, საქონელს თავისუფლად უშვებენ, ისინი კი ანადგურებენ ნარგავებს... ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ დიდი ილიას დანატოვარს მოუარონ და გაუფრთხილდნენ. ამ საქმეში თქვენი მოსწავლეებიც უნდა ჩაებნენ, დაიცვან სისუფთავე, წესრიგი..."

---

1. ვ. ჯავახაძე, უცნობი, თბ., 1988 წ. გვ. 192.

ამ სტრიქონების ავტორს კარგად ახსოვს საგურამოში გალაკტიონთან რამდენიმე შეხვედრა და მასთან საუბარი; — გვიანი შემოდგომის ერთ ბურუსიან საღამოს, როცა თბილისიდან საგურამოში უნდა გავმგზავრებულიყავი, რესპუბლიკური ბიბლიოთეკიდან გამოსული ტრამვაიში შემთხვევით შევხვდი გალაკტიონს, რომელიც სულ უკანა სკამზე იჯდა და ეტყობოდა, შინ მიდიოდა. მე მას მივუახლოვდი, მივესალმე. პოეტმა გამიღიმა და გულთბილად მოიკითხა მუზეუმის დირექტორი, თავისი სიყრმის მეგობარი გენადი მიხელიძე, — კარგა ხანია არ მინახია, მომენატრაო.

გმირთა მოედანთან ტრამვაიმ სვლა შეანელა, მისი უკანა კარიც გაიღო. პოეტს ეგონა, ჩერდებოდა, გადახტა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა, გზის სანაპიროს მიწაყრილზე დაეცა. მეც მაშინვე თან მივყე, გალაკტიონს ხელი შევაშველე, რომ ფეხზე წამომდგარიყო. როცა ადგა, მადლობა მითხრა დახმარებისათვის და დააპირა გამომთხოვებოდა. მე შევატყე, რომ კოჭლობდა, ალბათ წაქცევის დროს ფეხი იტკინა და გადავწყვიტე, რომ მარჯანიშვილის ქუჩაზე, თავის სახლამდე მიმეცილებინა. მან უარი მითხრა, შენ, ბიძიკო, ალბათ საგურამოში მიგეჩქარება და ნუღარ დაიგვიანებო.

— მართალია, საგურამოში უნდა წავიდე, მაგრამ გაგაცილებთ-მეთქი, — ვუთხარი და ხელმკლავით გავუდექით გზას. ჟინულავდა, შემოდგომის წითელ-ყვითელი ფოთლები ჩვენს წინ ფრიალებდნენ. ცირკის შენობის გასწვრივ მინდოდა ტაქსი შემეჩერებინა, მაგრამ რატომღაც არცერთმა მძღოლმა არ გაგვიჩერა და ფეხით გავუდექით გზას.

როცა პოეტის სახლთან მივედით, გალაკტიონმა მითხრა: — ახლა გვიანია, ბიძიკო, უკვე დაბინდდა, თან წვიმასაც აპირებს და სჯობია, ქალაქში დარჩე და ხვალ წახვიდეო.

— არა, ბატონო გალაკტიონ, — ვუპასუხე მას, — აქ ვერ დავრჩები, ხვალ დილით სკოლაში პირველი გაკვეთილი მაქვს და დამაგვიანდება-მეთქი. ჩემს ნათქვამზე პოეტმა თავი გადააქნია და მითხრა: ჰო, მეც რომ მასწავლებელი ვიყო, ასე მოვიქცეოდიო, — მერე გამოთხოვების დროს ხელი ჩამომართო, მადლობა მითხრა თავის სახლამდე მიცილებისათვის და სადარბაზოში შევიდა. მისი სიტყვები არაერთხელ გამხსენებია.

დავით თურდოსპირელი

საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ძმები გიორგი და დავით ჩხეიძეები ფსევდონიმებით გამოვიდნენ. გიორგი ცნობილია ქუჩიშვილის ფსევდონიმით, ხოლო მისი უმცროსი ძმა დავითი კი, როგორც მწერალი და მასწავლებელი — თურდოსპირელის გვარით იხსენიება. დავითმა თელავის მეზობელი სოფლის — ვარდისუბნის მდინარე თურდოს სახელი ფსევდონიმად აქცია.

დავითმა და გიორგიმ ბავშვობიდანვე საშინელი სიღატაკე გადალახეს და ამის მიუხედავად, გზა გაიკაფეს სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სარბიელისაკენ.

დავით ანდუყაფარის ძე თურდოსპირელი (1888—1948) ჯერ კიდევ თბილისის გიმნაზიაში სწავლის დროს, რედაქტორობდა ხელნაწერ ჟურნალებს „მახვილსა“ და „ჩვენს დროშას“. მანვე სერიოზული სიძნელეების მიუხედავად, გამოსცა ბეჭდვითი ჟურნალი „პირველი ტალღა“, რომელიც ააშკარავებდა მეფის მთავრობის შავრაზმულ პოლიტიკას. ამის გამო ის მკაცრად დაისაჯა, მთავრობის მოხელეებმა დავითი და რედკოლეგიის წევრები რამდენიმე თვით დააპატიმრეს.

1906 წლიდან ქართულ პრესაში ხშირად იბეჭდებოდა თურდოსპირელის ლექსები, მოთხრობები, პუბლიცისტური წერილები, რომლებიც ეხებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხებს, ქვეყნად თავისუფალი ცხოვრებისადმი ლტოლვას. იმავე წელს ცალკე წიგნად დაისტამბა მისი „თავისუფლების მსხვერპლნი“, რომელიც გამოსვლისთანავე მთავრობის მოხელეებმა აკრძალეს.

დავით თურდოსპირელი ოთხ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე ემსახურებოდა სკოლას, მასწავლებლად მუშაობდა ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში: თბილისში, თელავში, სიღნაღში, ველისციხეში, წინანდალში, ფშაველში და სხვაგან. ის მუყაითად ასწავლიდა ქართულ ლიტერატურასა და ისტორიას საშუალო სკოლებში და ტექნიკუმებში, რამდენგანმე დირექტორადაც უმუშავია.

როგორც თანამედროვეები იგონებენ, მისი გაკვეთილები მუდამ ცოცხალი, ემოციური და პედაგოგიურად გამართული ყოფილა. ტკბილმოუბარი და გულისხმიერი მასწავლებელი უყვარდათ ბავშვებს, გატაცებით უსმენდნენ, ასრულებდნენ მის რჩევა-დარიგებას...

განათლების განყოფილებებიდან დავითს დროდადრო ავალებდნენ ახალბედა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრებას და ისიც არა მარტო ისმენდა მათ გაკვეთილებს, არამედ აძლევდა სათანადო რჩევა-მითითებას, თუ შემდეგ უფრო საინტერესოდ როგორ ჩაეტარებინათ მეცადინეობა, თავიანთ მუშაობაში ახალბედებიც ხალისით ითვალისწინებდნენ მის სრულფასოვან მეთოდურ მითითებებს, ახლობლურ დარიგებას.

დ. თურდოსპირელის მიერ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა მაღალ დონეზე ჩატარებამ, მოსწავლეთა მშობლებთან საქმიანმა კონტაქტმა და კრებებზე ღრმაშინაარსიანმა გამოსვლებმა მრავალ ახალგაზრდა მასწავლებელს გამოუმუშავა იმის რწმენა, რომ მოსწავლეთა ღირსეული აღმზრდელი სწორედ თურდოსპირელისნაირი უნდა იყოს, რომ სწორედ ამგვარი პედაგოგი იმსახურებს ბავშვების სიყვარულს. მათ ღრმად სწამდათ, რომ დავითის პროფესიულმა ოსტატობამ დიდად განაპირობა მისი წარმატება.

ბატონი დავითი ჩვიდმეტამდე პროზაული ნაწარმოების ავტორია. მის შრომებში თვალსაჩინო ადგილი უკავია მოზარდების აღზრდის საკითხებს, საქართველოს ბუნების დაცვის აუცილებლობას.

დ. თურდოსპირელს უყვარდა აღსაზრდელების გაყვანა ბუნების წიაღში და იქ მათთან ერთად მცენარეებზე დაკვირვება. მერე მოზარდებთან გატაცებით აგროვებდა გირჩებს, ხის ქერქებს, ფესვებს, ფოთლებს... მიჰქონდა სკოლაში და საგულდაგულოდ აკეთებდა სხვადასხვა ფიგურას ცხოველების გამოხატულებით.

1926 წელს თურდოსპირელის მცდელობით მხარეთმცოდნეობის საზოგადოება ჩამოყალიბდა. იგი დაფუძნდა ქ. თელავის პირველ საშუალო სკოლასთან, რომლის დირექტორიც თვითონვე იყო. მისი ინიციატივით მოეწყო სკოლაში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი და შემუშავდა მხარეთმცოდნეობის საზოგადოების წესდება.

მალე სკოლის მუზეუმი ისე გაფართოვდა, რომ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 1935 წელს თელავის მუზეუმი გადავიდა კახეთის მეფეთა ყოფილი სასახლის ერთ მოზრდილ ნაწილში და მას სახელმწიფოსგან დოტაცია დაუწესდა.

ბატონმა დავითმა მხარეთმცოდნეობის საკითხებზე მასწავლებელთათვის სახელმძღვანელოდ გამოაქვეყნა მეტად საინტერესო წიგნი, რაც იმ დროისათვის ერთობ მნიშვნელოვანი ნაშრომი იყო და მოწონებას იმსახურებდა.

„მხარეთმცოდნეობის საკითხები“, რომელიც 1930 წელს დაისტამბა, ხელიდან ხელში გადადიოდა. მის შესავალ ნაწილში ვკითხულობთ: „... ქვეყნის უახლესი შესწავლა დიდი ხანია, რაც ლოზუნგად გადაიქცა. პედაგოგები უკვე გარკვევით დარწმუნდნენ, რომ ყოველგვარი რამ, რაც ხშირია და თვალებში გვებლანდება, ნაკლებ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ახალი და უცხო კი იწვევს ჩვენს გამახვილებულ დაკვირვებას, ამიტომ არის, რომ ძალიან სუსტი ცოდნა გვაქვს ადგილობრივ ბუნებასა და მის მოვლენებზე. ცუდად ვიცით ჩვენი მხარე... სწორედ ამ გარემოებასთან საბრძოლველად არის მოწოდებული მხარეთმცოდნეობა. შემდეგ ავტორი უმატებს: „მხარეთმცოდნეობის უდიდესი ღირებულება იმაში გამოიხატება, რომ იგი არის შედეგი მშრომელი ხალხის თვითშეგნების გაღვიძებისა“. თუ რას ნიშნავს მხარეთმცოდნეობა და რა მიზანს ისახავს იგი, ამის შესახებ ავტორი გვეუბნება: „... იგი არის მეცნიერული შესწავლა რომელიმე პატარა ტერიტორიალური ერთეულისა, რომელიც ადმინისტრაციული, პოლიტიკური ან სამეურნეო თვისებით ხასიათდება. იგია შესწავლა ამ ერთეულის მწარმოებელი ძალებისა სამეურნეო და კულტურულ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად“.

ავტორი ამ შრომაში სამართლიანად მიუთითებდა, რომ საჭირო იყო, თითოეულ სკოლაში გამოეკვლიათ ქალაქი ან სოფელი, სადაც იგი არსებობდა. უმნიშვნელო ქალაქი და სოფელი მკვლევარისთვის და, მით უმეტეს, მხარეთმცოდნისათვის არ არსებობსო.

ბატონი დავითის გონივრული მოსაზრებით, ადგილობრივი მხარის შესწავლის მიზნით გაშლილი მუშაობა აუცილებელს გახდიდა მუზეუმის შექმნას.

ავტორი მხარეთმცოდნეთა მიერ წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებს რომ ეხება, აღნიშნავს: „უეჭველად უნდა გავაღრთხილოთ პროვინციელი მუშები, რომ არავითარ შემთხვევაში თვით არ იკისრონ არქეოლოგიური გათხრები, ამას ესაჭიროება სპეციალური, ხანგრძლივი მომზადება, ურომლისოდაც კაცმა შეიძლება გაუსწორებელი შეცდომა ჩაიდინოს. ყოველგვარი არქეოლოგიური აღმოჩენის ამბავი უნდა აცნობოს ან ოლქს, ან და საქართველოს მუზეუმს“.

დ. თურდოსპირელი მოსწავლეებისა და მათი მშობლების ყურადღებას ამახვილებდა ბუნების დაცვის საკითხებზე. ამ მხრივ მისი შინაარსიანი წერილები, რომელიც ქვეყნდებოდა გაზეთებში და განსაკუთრებით კი პედაგოგიურ ჟურნალში — „ახალ სკოლისაკენ“, მას მკითხველები აფასებდნენ.

1928 წელს მცენარეთა გაშენებისა და დაცვის საკითხებზე გამოქვეყნდა მისი წერილი „ტყის კვირეული“, რომელშიც აღნიშნულია, რომ თელავის განათლების განყოფილების თაოსნობით გაიმართა თათბირი, რომელსაც, მასწავლებლების გარდა, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ. თათბირზე გადაწყდა, ჩამოყალიბებულიყო ტყისა და ფრინველთა დაცვის საზოგადოება. ხოლო ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ახალგაზრდებს. მათ ევალებოდათ გამოეშვათ კედლის გაზეთები, მოეწყო ტყის მჩეხველთა საზოგადოებრივი გასამართლება, თვალსაჩინო ადგილებში გამოეკრათ სათანადო პლაკატები, ლოზუნგები. მოსახლეობაში ჩაეტარებინათ მოხსენებები. იქვე ისიც იყო აღნიშნული, რომ შებრძოლებოდნენ ტყეში ცეცხლის დანთებას, ხეთა ზროებზე სიტყვების ამოჭრას და სხვ. ბოლოს კი ავტორი შენიშნავდა: ხშირად საქმეს დიდი ენთუზიაზმით და ფახი-ფუხით ვიწყებთ, მაგრამ მალე თავს ვანებებთ. სჯობია, საქმეს სულ ნუ წამოვიწყებთ, თუ ბოლომდე ვერ მივიყვანთო.

როგორც თურდოსპირელის ნამოწაფრები იგონებენ, მათი მასწავლებელი სისტემატურ ყურადღებას აქცევდა ტყის დაცვის საქმეს და დაუფარავად ამხელდა ადამიანებს, რომლებიც არ უფრთხილდებოდნენ ბუნებას და არ ავლენდნენ ავკაცობას. მათ ისიც ახსოვთ, თუ როგორ მიუძღოდა დავითი ნე-

რგებით დატვირთულ მოსწავლეებს, რათა წინასწარ მინიშნებულ ნაკვეთზე მცენარეები გაეშენებინათ.

როცა ბატონმა დავითმა თელავის რაიონის სოფელ ფშავლის საშუალო სკოლის დირექტორად დაიწყო მუშაობა, მაშინვე დიდი ინტერესით გაეცნო სოფლის განაპირას მდებარე ისტორიულ ძეგლებს და ტყეს, შემდეგ კი იქაურ გლეხებთან საუბრის დროს, გულახდილად განაცხადა: თქვენს სოფელს ლამაზი მდებარეობა აქვს, ამწვანებული მთაგრეხილები და მდინარე სტორი ამშვენებს; მომწონს ისიც, რომ რიყეში აკაციები გაგიშენებიათ. თქვენი ბუნების ძირითადი სიმდიდრე ტყეა, რომელსაც უაღრესად დიდი სახალხო და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იმასაც ვიტყოდი, რომ ზოგიერთი თქვენგანი არ უფრთხილდება მას, უმოწყალოდ ჩეხავს და ამგვარმა ადამიანებმა, რაც არ უნდა გვიმტკიცონ, გვიყვარს მშობლიური სოფელიო, ვერ დავეთანხმებითო.

ჟურნალში „ახალი სკოლისაკენ" დაისტამბა ბატონი დავითის საყურადღებო წერილი სათაურით—„ჩვენს სკოლას ხერხემალი უმაგრდება". ავტორი იმხანად თელავის სამაზრო განათლების განყოფილების ინსპექტორი იყო და გულისტკივილით აღნიშნავდა: „... ჩვენ ჯერაც გვყვანან ისეთები, რომლებიც ახალ პროგრამებს სრულიად ამახინჯებენ მათი შეცდომით გაგების გამო. ისეთი მასწავლებლებიც გყვანან, რომელთაც ვერ მიუტოვებიათ ძველი სკოლის იდეები". შემდეგ ავტორი მსჯელობს პედაგოგთა განათლების დონეზე და დაბეჯითებით მოითხოვს მასწავლებელთა გათვითცნობიერებას, მათ კვალიფიკაციის ამაღლებას. იმავე წერილში ვკითხულობთ, რომ თელავის მაზრაში უკვე ჩამოყალიბდა თოთხმეტი პედაგოგიური კოლექტივი. განყოფილებამ ყველას შეუძინა საკმაო რაოდენობის პედაგოგიური ლიტერატურა, გამოუწერა ჟურნალ-გაზეთები, ახლა საჭიროა ამ ლიტერატურის სისტემატური კითხვა და საგაკვეთილოდ ყოველდღიური მზადებაო, დასძენდა იგი.

ბატონ დავითს წესად ჰქონდა შემოღებული, რომ სასწავლო წლის ბოლოს საგულიგულოდ შეეჯამებინა სკოლის მუშაობა და იქვე განესაზღვრა მომავალი წლის საერთო-სას-

კოლო გეგმა და სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირითადი ამოცანები.

დ. თურდოსპირელმა იცოდა, რომ მხოლოდ დაუღალავი ფიზიკური შრომით ვერ იქნებოდა მიღწეული სიკეთე და ბედნიერება, საჭირო იყო ცოდნა, მეცნიერების დაუფლება. ამიტომაც იყო, სწავლის აუცილებლობას დღენიადაგ ქადაგებდა. მწერალ-მასწავლებლის გონივრული მოსაზრება ახლაც აქტუალურია.

ილია სიხარულიძე

ილია სიხარულიძე გურიის ლამაზ სოფელ ბუკისციხეში დაიბადა და იქვე გაატარა ბავშვობისა და ყრმობის დაუვიწყარი წლები. მშობლიური სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ვანის ორკლასიან სასწავლებელში, ხოლო შემდეგ წარმატებით დაამთავრა ხონის სამასწავლებლო სემინარია და შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ცოდნამოწყურებულ ი. სიხარულიძეს მიღებული ცოდნა არ აკმაყოფილებდა და თავის წადილს ფრთები შეასხა, მოეწყო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების განყოფილებაზე და მაშინვე სიბეჯითით ლექტორ-პროფესორების ყურადღება მიიქცია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბატონი ილია სამწერლო და პედაგოგიურ ასპარეზზე თითქმის ერთდროულად გამოვიდა; 1912 წელს ჟურნალ „ნაკადულში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „სიმინდის ყანა“, ხოლო ერთი წლის შემდეგ მომავალმა პოეტმა-პედაგოგმა გაბედულად შეაღო სკოლის კარები, როგორც გულისხმიერმა აღმზრდელმა და მასწავლებელმა.

1925 წელს გამოიცა ი. სიხარულიძის საბავშვო ლექსების პირველი წიგნი „საბავშვო თამაშობანი“. ამ წიგნში გამოქვეყნებულია ლექსები: „აიწონა-დაიწონა“, „საქანელა“, „ყვაო, ყვაო ყვანჩალა“, „ნანა, ფისო ნანინა“ და სხვ. ეს წიგნი იმდენად საინტერესო იყო, რომ გამოქვეყნებისთანავე სწრაფად გავრცელდა, ლექსები ბავშვებმა იოლად გაიზეპირეს და სიყვარულით ახსენებდნენ მის ავტორს.

ბატონ ილიას არაერთი ლექსი აქვს დაწერილი შრომის თემაზე, მისი მიზანი უდავო ჭეშმარიტებაა, — შრომისადმი სიყვარული გააძლიეროს და გააღრმაოს ბავშვებში. თავის ნაწარმოებებში ბავშვებისგან მოითხოვს უფროსებისა და თანა-

ტოლებისადმი პატივისცემას, მეგობრულ დამოკიდებულებას, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წესრიგის დაცვას. პოეტ-მასწავლებელს თავის იგავებში ეხერხებოდა სრულყოფილად დაეხატა მოზარდების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი სახეები.

ქართველი საზოგადოებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ი. სიხარულიძე ხანგრძლივი დროის მანძილზე თავისი მასწავლებლობით და მწერლობით ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებოდა — ნორჩი თაობის აღზრდის დიდსა და კეთილშობილურ მოვალეობას.

ბავშვების გულის მესაიდუმლე პოეტი თბილისის სკოლებში მუშაობის დროს დროდადრო აწყობდა ექსკურსიებს დედაქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებში, ხალისიანად ესაუბრებოდა ისტორიული ძეგლების შესახებ და მათზე ხალხურ ლექსებსაც მოიშველიებდა ხოლმე.

თავისუფალ დროს უყვარდა საბავშვო ბაგა-ბაღებში სტუმრობა, ეცნობოდა პატარების ცხოვრების პირობებს, აცეკვებდა, ამღერებდა, ათქმევინებდა ლექსებს და მერე საკუთარი ლექსებითაც ეხმატკბილებოდა. პოეტის გამოსვლას პატარები ტაშით ხვდებოდნენ და როცა წასვლას აპირებდა, თხოვდნენ, რომ კიდევ მისულიყო მათთან.

ვინ მოთვლის, რამდენი თაობის ნორჩი გული აუღელვებია და გაუხარებია თავისი ხალასი, გულში ჩამწვდომი ტკბილხმოვანი ლექსებით. „ჯეჯილისა“ და „ნაკადულის“, „პიონერის“, „ნორჩი ლენინელისა“ და „დილას“ ფურცლებს ხშირად ამშვენებდნენ ისინი.

პოეტის ერთ-ერთი ბოლოდროინდელი ლექსების კრებული, რომელსაც თავისი ერთი მეტად გავრცელებული ლექსის სახელი დაანათლა, „ამ პატარას, იმ პატარას!“ ისე, როგორც ადრე გამოსული წიგნები, მაშინვე გავრცელდა მოზარდებში.

ფასდაუდებელია ბატონ ილია სიხარულიძის ღვაწლი, როგორც მთელი რიგი სასკოლო სახელმძღვანელოების, მეთოდური ხასიათის წიგნებისა და ბროშურების ავტორისა. ნაყოფი-

ერი იყო მისი მუშაობა როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო და ახალგაზრდული ლიტერატურის სექციის ბიუროს წევრისა და როგორც ჟურნალ „დილას“ სარედაქციო კოლეგიის წევრისა...

მხცოვანმა პოეტმა და მასწავლებელმა არ იცოდა, თუ რა იყო დაღლა, დასვენება, მოწყენილობა, როცა დღედაღამ თავის საყვარელ და განუყრელ მეგობრებთან — ჩვენი ქვეყნის ნორჩ თაობასთან ახლო იყო.

ნახევარი საუკუნის მანძილზე ბატონმა ილიამ გამოზარდა მრავალი თაობა, რომელიც არასოდეს არ დაივიწყებს მის დიდ ამაგს, ზრუნვასა და მშობლიურ სითბოს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მწერლობის ვერც ერთი მემატიანე გვერდს ვერ აუვლის ბატონ ილიას დამსახურებას ჩვენი საბავშვო ლიტერატურის განვითარების კეთილშობილურ საქმეში.

სკოლამდელი და უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები იყვნენ და არიან ი. სიხარულიძის ლექსების გმირებიცა და მისი მკითხველებიც. გაიზრდებიან ისინი და მუდამ სიყვარულით მოიგონებენ თავიანთ ჩუმსა და კეთილ, ღვაწლმოსილ ადამიანს.

ცნობილი საბავშვო პოეტი, ქალბატონი მაყვალა მრევლიშვილი ყოველთვის პატივისცემით იხსენებდა ამაგდარ ილია სიხარულიძეს:

„— ბატონ ილიასთან ერთად აქ, თბილისში, — იგონებდა ქალბატონი მაყვალა, — რამდენჯერმე გამოვსულვარ მოსწავლეებთან საკუთარი საბავშვო ლექსებით და ჩვენი ქვეყნის ნორჩებს ტაშითა და ვარდ-ყვავილების თაიგულებით დავუჯილდოვებივართ“.

პატარებს მამა-შვილური სიყვარულით თავს ევლებოდა ბატონი ილია, რომელსაც ზოგი „პატივცემულ მასწავლებელს“ უწოდებდა და ზოგიც „ძია ილიას“.

ბატონ ილიას უყვარდა საუბარი პატარებთან და ისინიც ახლობლურად ეტიკეტიკებოდნენ და პირდებოდნენ, რომ კარგად მოიქცეოდნენ, ბეჯითად ისწავლიდნენ, დაუჯერებდნენ მშობლებსა და თავიანთ აღმზრდელ-მასწავლებს.

ვინც კარგად იცნობდა ილია სიხარულიძეს, უთუოდ კეთილად გაიხსენებს ღირსეულ ადამიანს, რომელიც დაუღალავად ემსახურებოდა ჩვენი ქვეყნის მოზარდების — ნორჩი თაობის აღზრდა-სწავლის საშვილიშვილო საქმეს; იგი ცხოვრობდა ბავშვებით და ბავშვებისათვის.

მართალია, ბატონი ილია კარგა ხანია ჩვენთან აღარ არის, გულდასაწყვეტია, რომ მას ვეღარ შევხვდებით, მაგრამ მისი ხალასი, ტკბილქართული ენით დაწერილი ლექსები აგრძელებენ პოეტი-მასწავლებლის სიცოცხლეს... ამ რწმენით სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ღვაწლმოსილ, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს და მივაბარეთ იგი დიდებულ ადამიანთა პანთეონს, დიდების წმინდა სავანეს.

მ ეკვ. 99 ტირ. 500

მპს „გამომცემლობა სამშობლოს" სტამბა, თბილისი,
მ. კოსტავას 14.